ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

## ფსიქოლოგიური წნეხი და ნდობის მანდატი

დღეს რუსთავში: ვიტ ჯორჯია-ტორპედო

გიორგი დათუნაიშვილი: უკანდასახევი გზა არ გვაქვს გვ. 2-3

საჭადრაკო ოლიმპიადა

**დღეს რუსებთან დიდი ომი გვაქვს** გვ. 11

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 სექტემბერი **პარასკევი** 2010

№225 (13213) ფასი 60 თეთრი



**ლელო პირველ ადგილზე დაბრუნდა** გვ. 13

# გაირღვა!

25 იანვრის მოლოდინში




## იუვენტუსი გატყდა

გვ. 6




12 მოთამაშე

რუბრიკის პრემიერა

**სამტრედიელები: შეგვეინარჩუნეთ გუნდი, სხვა გასართობი და სიხარული არ გაგვაჩნია!** გვ. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ცენტრალური შეხვედრა დღეს რუსთავში გაიმართება, სადაც "ვიტ ჯორჯია" "ტორპედოს" უმასპინძლებს. ქუთაისური კლუბი დღემდე მოუგებელია და მისი წევრები ნავსის გატეხას დღეს აპირებენ. თავის მხრივ, მხოლოდ გამარჯვებას ისახავენ მიზნად ჯორჯიელებიც, რომლებიც ბოლო ტურებში შედეგიანად თამაშობენ.

"ლელო" ტურის მატჩის წინ "ტორპედოს" ამჟამინდელ და "ვიტ ჯორჯიას" ყოფილ ნახევარმცველ გიორგი დათუნაიშვილსა და ვეტერინართა ფორვარდ ბესიკ ჩიმაკაძეს გაესაუბრა.

# მხოლოდ მუმლაძე და დიღმელაშვილი

## ბესიკ ჩიმაკაძე: გოლიც მინდა და გამარჯვებაც

**- გასული სეზონისგან განსხვავებით, ახლა უკვე "ვიტ ჯორჯიას" ძირითადი ფეხბურთელი ხართ...**

- გუნდიდან ორი თავდამსხმელი წავიდა და ძირითადი შემადგენლობისკენ გზა გამეხსნა. თუმცა გუნდში სხვა ძლიერი ფორვარდებიც არიან და მოედანზე გასვლის უფლება, უპირველეს ყოვლისა, დიდი შრომის ფასად მოვიპოვე. თუმცა მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელობით კმაყოფილი ვერ ვიქნები. თავდამსხმელის მთავარი მოვალეობა გოლის გატანაა, ამ სეზონში კი ჯერ არ გამიტანია. ვიმედოვნებ, რომ ნავსს "ტორპედოსთან" მატჩში გავტეხავ. ბუნებრივია, მთავარი გუნდის გამარჯვებაა, მაგრამ თუ ამაში წვლილს ჩემი გოლითაც შევიტან, ორმაგად ბედნიერი ვიქნები.

**- საგოლე ანგარიშის გახსნა გასულ ტურში, "სპარტაკთან" შეხვედრაშიც შეგეძლოთ.**

- სამწუხაროდ, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე. კიდევ კარგი, ჩვენმა უპირატესობამ შედეგი მაინც გამოიღო და "სპარტაკთან" დამსახურებულად გავიმარჯვეთ. იმედი მაქვს, ჩემი უიღბლობაც მალე დასრულდება. მთავარია, რომ თავს ჯანმრთელად ვგრძნობ და ოპტიმალურ ფორმაშიც მალე შევალ. მოხარული ვარ, რომ "ვიტ ჯორჯიაში" გადასვლით ჩემი ხანგრძლივი უიღბლო პერიოდი დასრულდა.

**- როგორი ტაქტიკით აპირებს "ვიტ ჯორჯია" "ტორპედოს" წინააღმდეგ თამაშს?**

- ჩვენს ჩვეულ სტილში, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და აქცენტს სწრაფ გოლზე გავაკეთებთ. თუ ეს შევძელით, გამარჯვების დიდი შანსიც გვექნება. ისიც უდავოა, რომ მძიმე მატჩი გველის. "ტორპედოს" ჩემპიონატში ჯერ თამაში არ მოუგია და უდიდესი შემართებით ითამაშებს, მაგრამ ჩემი გუნდის წარმატებაში დარწმუნებული ვარ.

**- შედეგებითაც და თამაშის ხარისხითაც „ვიტ ჯორჯიას" პროგრესი აშკარაა...**

- ნამდვილად ასეა, ბევრს ვშრომობთ და მზად ვართ, ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ. მჯერა, მალე კიდევ უფრო შედეგიანად და ხარისხიანად ავთამაშდებით. ევროთასების საგზურის მოპოვების ძალა რეალურად შეგვწევს.


ბესიკ ჩიმაკაძე


გიორგი დათუნაიშვილი

## გიორგი დათუნაიშვილი: უკანდასახევი გზა არ გვაქვს

- "სიონთან" მატჩში ტრავმა მივიღე და სამწუხაროდ, "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ. როგორც იცით, კვარაცხელია ტრავმირებულია, როსტიაშვილს კი "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვს. იმედია, ბიჭები ჩვენ გარეშეც შეძლებენ გამარჯვებას. ისე კი, ძალიან მინდოდა ამ შეხვედრაში მონაწილეობა, "ვიტ ჯორჯიაში" ხომ არაერთი წელიწადი გავატარე.

**- მოუგებელმა სერიამ "ტორპედოს" ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა ხომ არ შეგისუსტათ?**

- ბუნებრივია, ამდენმა წარუმატებლობამ ხასიათი გაგვიფუჭა, მაგრამ საკუთარ ძალებში ძველებურად დარწმუნებულნი ვართ. რაც აქამდე მოხდა, უბრალო უიღბლობა იყო, რომელიც წარმოუდგენელია, დაუსრულებლად გაგრძელდეს. ერთი გამარჯვება და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

**- წარუმატებელმა სტარტმა "ტორპედოს" ამოცანები ხომ არ შეცვალა?**

- არა, ჩვენი მიზანი კვლავინდებურად ჩემპიონატის საუკეთესო ხუთ გუნდში მოხვედრაა და ამასთან, ევროთასების საგზურის მოპოვებაზეც ძველებურად ვფიქრობთ. დიდი პოტენციალის გუნდი გვყავს და შედეგი აუცილებლად გვექნება. მოხარული ვარ, რომ არჩევანი "ტორპედოს" სასარგებლოდ გავაკეთე. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ისტორიის მქონე გუნდია და ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი წარმატების მისაღწევად. აქ ნამდვილი საფეხბურთო გარემოა. კარგად მესმის ჩვენი გულშემატკივრების, მაგრამ ცოტაც მოვითმინოთ და ყველა ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებებს.

**- "ვიტ ჯორჯია" ზაფხულში არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა...**

- გასაკვირი არაა, რომ ჩვენმა წასვლამ თავიდან გუნდზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიასთვის" თაობათა ცვლა ჩვეული ამბავია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი ყოფილი გუნდი მალე ძველებურად ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. "ვიტ ჯორჯია" ახლაც ძლიერია და რუსთავში მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ უკანდასახევი გზა არ გვაქვს, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ტორპედო

# ზაზა ზამთარაძე: მე და კიკნაძე ტორპედოში? არავის შემოუთავაზებია

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თუკი ქუთაისის "ტორპედო" ეროვნული ჩემპიონატის უახლოეს ორ შეხვედრას ვერ მოიგებს, გუნდის მეპატრონე „ვისოლის" ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის შეცვლის: კონკრეტული გვარებიც დასახელდა - **რამაზ მუმლაძეს კიკნაძე-ზამთარაძის** დუეტი ჩაანაცვლებსო.

ზაზა ზამთარაძემ ინფორმაცია კატეგორიულად უარყო: *"მეხუმრებით თუ სერიოზულად მეკითხებით?! "ვისოლთან" არანაირი შეხება არ მქონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ კომპანიის ბენზინით ვსარგებლობ. ესაა და ეს. გულწრფელად გეუბნებით, ჩვენ მომავალ თანამშრომლობაზე არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია და აქედან გამომდინარე, ქუთაისში მუშაობაც არ შემოუთავაზებიათ".*

მუმლაძემ გუნდი ივნისში ჩაიბარა და მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი სასელექციო სამუშაო ჩაატარა, სასურველი შემადგენლობა სხვადასხვა მიზეზების გამო მაინც ვერ შეკრიბა. ზოგიერთმა ფეხბურთელმაც ვერ გაუმართლა: ექვსი ტურის შემდეგ, "ტორპედომ" ერთი მატჩიც ვერ მოიგო და სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ამან ამბიციური ქუთათურები განარისხა – „სამტრედიასთან" წაგების შემდეგ, "ტორპედოს" ბაზაზე მივარდნენ და ახსნა-განმარტება მოითხოვეს, თუ რატომ ვერ თამაშობდა გუნდი. „ზესტაფონთან" გასვლაზე მარცხის გამო კი, მთავარი მწვრთნელის, რამაზ მუმლაძის გათავისუფლება წამოწიეს წინა პლანზე.

"ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძე** წარუმატებლობის მიზეზად იმ სტრესულ მდგომარეობას ასახელებს, რომელშიც ფეხბურთელები მოულოდნელი სტარტის შემდეგ აღმოჩნდნენ.

*"სეზონის დასაწყისს ქუთაისელი გულშემატკივრები და გუნდის წევრები უდიდესი იმედით ველოდით. ყველას გვეგონა, ჩემპიონატს დავიწყებდით და გავაგრძელებდით მხოლოდ წარმატებებით და მხოლოდ გამარჯვევებით. თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, წაგებისგან დაზღვეული არავინაა და მოხდა ის, რაც მოხდა - ექვსი ტურში ერთხელ ვერ მოვიგეთ და ხალხი აღშფოთებულია. ფეხბურთელებზე მეტად მოგება ვის სურს, მაგრამ გულშემატკივრის მიუტევებლობამ ბევრი ტორპედოელი დათრგუნა და ვფიქრობ, სწორედ სტრესული მდგომარეობის გამო ვერ ავლენენ შესაძლებლობებს. "ტორპედოს" მთავარი პრობლემა ესაა. დარწმუნებული ვარ, ერთი მოგებით, მდგომარეობა გამოსწორდება, ბიჭებს სტრესი მოეხსნებათ და ათამაშდებიან. მუმლაძემ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა და წარმოუდგენელია, ადრე თუ გვიან ეს უიღბლობა არ დასრულდეს".*


ზაზა ზამთარაძე (მარცხნივ), გიორგი კიკნაძე

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსიქოლოგიური წნეხი და ნდობის მანდატი

**ჩვენი ფეხბურთელებისათვის მართლაც მისწრება იქნებოდა ოთხდღიანი დასვენება; თუმცა, VII ტურის შემდეგ ისევ „პრემიერლიგურ რეჟიმში" მოუწევთ ასპარეზობის გაგრძელება — 9 დღეში სამ-სამი მატჩის ჩატარება (თან, ჩვენს მოედნებზე) სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის. მაგრამ არა უშავს — მერე ხომ ორკვირიანი სანაკრებო პაუზა იქნება და მწვრთნელ-მსაჯ-ფეხბურთელებს სულის მოთქმის საშუალება მიეცემათ. ამასობაში კი, პირველი წრეც დასრულდება და ნუ გამოვრიცხავთ, რომ სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავაც ორხელისუფლებიანობა (შესაძლოა, მეტიც) იყოს; თუმცა ასეთი გრძელვადიანი პროგნოზების „დასმა" მართლაც ძნელი საქმეა და ამიტომაც ჯობს, კონკრეტულად VII ტურზე ვისაუბროთ, მცირე პაუზის შემდეგ კვლავაც ორ დღეზე რომ არის „განერილი". თანაც, იმ ფაქტმა, რომ ჩემპიონატის ლიდერები (გნებავთ, ფავორიტები) ერთმანეთს არ ხვდებიან, შეცდომაში არავინ უნდა შეიყვანოს: ხუთიდან, სულ მცირე, 3 მატჩი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თუმცა ერთ დაპირისპირებას - „ვიტ ჯორჯია"-„ტორპედოს" შეხვედრას თუ გამორჩეულ ყურადღებას დავუთმობთ, იმედია, სხვები არ გვიწყენენ.**

**დაბოლოს, არცთუ უმნიშვნელო დეტალზე: VII ტურის ყველა მატჩი ერთი და იმავე დროს (16 საათზე) დაიწყება; ასეთი რამ კი XXII ჩემპიონატში მართლაც იშვიათობაა; ისეთივე იშვიათობა, როგორიც... მეტ-ნაკლებად შევსებული ტრიბუნები...**

**ვიტ ჯორჯია–ტორპედო**
Bwin: 1.30 4.50 9.0
24.09. რუსთავი. ფოლადი
**16:00**
არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე
მეოთხე მსაჯი: ჯ. ხორავა

ეს გუნდები უმაღლეს ლიგაში სამწლიანი პაუზის შემდეგ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ, აშკარად სხვადასხვა განწყობით! „ვიტ ჯორჯიას" დამაჯერებელ და ამასთან, ბევრისთვის მოულოდნელად წარმატებულ სტარტზე, უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ. თანაც, **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს, თითქოსდა, ის არ ეყოფოდა, სეზონის დაწყებამდე შვიდმა (!) წამყვანმა ფეხბურთელმა რომ დატოვა, — უშუალოდ, ჩემპიონატის მსვლელობის დროს ტრავმის გამო ძირითადი შემადგენლობის 3 მოთამაშეც (**დავით ლომაია, არდალიონ მიქაბერიძე, გიორგი ვასაძე**) გამოაკლდა; ამ ყველაფრის მიუხედავად, „ვეტერინარები" ქულას ქულაზე აგროვებენ და სატურნირო ცხრილის იმ „მიდამოებში" იმყოფებიან, ბოლო წლებში რომ მიგვაჩვიეს. ისიც სასიხარულოა, რომ გუნდის ლიდერობას ჩინებულად ითავსებენ **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი**. „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელებს როგორც შეეფერება, ეს „დუეტი" სწორედ ისე თამაშობს და ნებისმიერ მატჩში მეტოქეს უამრავ პრობლემასაც უქმნის. სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიამ" საკუთარ მოედანზე (პირობითად თუ ვუწოდებთ რუსთავის „ფოლადის" სტადიონს „ვეტერინართა" საშინაო ასპარეზს) 2 მატჩი ჩაატარა და ჯერჯერობით მაქსიმალური შედეგი აქვს. აი, „ტორპედომ" კი სტუმრად ჩატარებული სამივე შეხვედრა წააგო. თუმცა, მხოლოდ გასვლით შეხვედრებში წარუმატებლობაში რომ ყოფილიყო საქმე, ამას კიდევ რა უჭირდა: ჩემპიონატის დაწყებიდან თვე-ნახევარია გასული და ერთადერთი მოუგებელი გუნდი... „ტორპედოა"! ჰო, ამას მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა: უმაღლეს ლიგაში „ხმაურით", დიდი ამბიციებითა და სოლიდური პატრონით დაბრუნებული „ტორპედოსგან", რატომღაც, ყველა... საჩემპიონო რბოლაში ჩართვას ელოდა. აი, ალბათ, სწორედ აქ დაუშვეს დიდი შეცდომა კლუბის ხელმძღვანელებმა: გასაგებია, რომ გუნდში საკმაოდ კვალიფიციური და წარმატებული მწვრთნელი მიიყვანეს, სტადიონი და საწვრთნელი ბაზა გაარემონტეს, გამოცდილი ფეხბურთელებიც დაიმატეს, მაგრამ, დროის ფაქტორთან ერთად, სხვა „რალაცებიც" ვერ გაითვალისწინეს. „დროის ფაქტორში" კი, რაღა თქმა უნდა, ახალი ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშებას ვგულისხმობთ; თანაც, ვთქვათ გულახდილად: „ტორპედოს" მრავალრიცხოვან ახალწვეულთაგან „საჩემპიონო გუნდის" ფეხბურთელად ყველას ნამდვილად ვერ დავასახელებდით; მოკლედ, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს კლუბის ხელმძღვანელთათვის და გუნდის ერთგული ქომაგებისათვის ამ სიტყვების მოსმენა, ფაქტია, რომ სეზონისწინა ამბიციები... რეალობას აშკარად მოკლებული იყო. ამას გარდა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორსაც ნუ დავივიწყებთ, რაზეც ამ რამდენიმე დღის წინათ „ლელოს" ჟურნალისტი **დავით კოხრეიძე** წერდა და გვინდა ყველაფერში დავეთანხმოთ. „ტორპედოს" ერთგულ ქომაგებში რატომღაც ისეთი აზრი ჩამოყალიბდა, რომ აი, დავბრუნდით უმაღლეს ლიგაში და ჩვენი გუნდის შემჩერებელი არავინ იქნებაო. არადა, „ტორპედოსთვის" მართლაც „ოქროს პერიოდის" (1999-2002 წლები) შემდეგ გუნდის შედეგი რომ სეზონიდან სეზონამდე უარესდებოდა, აღარავის ახსოვს; ჰოდა, ჩვენ „შევახსენებთ": უმაღლეს ლიგაში ასპარეზობისას ბოლო სეზონში (2006-07) „ტორპედო" ერთი „ჩვეულებრივზე-ჩვეულებრივი" გუნდი იყო და ფინანსურად ხომ უჭირდა, ლამის ყოველ ორ თვეში მწვრთნელებს იცვლიდა და მეორე წრეში ორად-ორი მატჩი მოიგო (ისიც, გამოკვეთილ აუტსაიდერებთან). თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, ყოველივე ეს ნაკლებად აინტერესებთ ქართული ფეხბურთის მართლაც გამორჩეული გუნდის არანაკლებ გამორჩეულ ქომაგებს; რა თქმა უნდა, არავის სიამოვნებს, საკუთარი გუნდი თამაშს რომ ვერ იგებს, მაგრამ ყველაფრის... მთავარი მწვრთნელისთვის გადაბრალებაც არასწორად მიგვაჩნია. აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც უსიამოვნო ფაქტზე, თუ როგორი ობსტრუქცია მოუწყვეს **რამაზ მუმლაძეს** „სიონთან" ვერმოგებული მატჩის დროსაც და იმის შემდეგაც...


რამაზ მუმლაძე

ჰო, თუ ვინმეა უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, რაღა თქმა უნდა, რამაზ მუმლაძე, — უმაღლეს ლიგაში ერთწლიანი პაუზის მერე დაბრუნებული სპეციალისტი მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კიდევ კარგი, კლუბის ხელმძღვანელობისგან „ნდობის მანდატი" აქვს, მაგრამ ალბათ, თვითონაც კარგად იცის, რომ „ტორპედომ" გამარჯვებები თუ არ დაიწყო, მაშინ...

...ბედის ირონიაა თუ, რაც გნებავთ, ის დაარქვით: რამაზ მუმლაძე ახალ გუნდთან ერთად სეზონში პირველ გამარჯვებას „ვიტ ჯორჯიასთან" გეგმავს. გუნდთან, სადაც ოთხი წელიწადი იმუშავა და „ვიტ ჯორჯიას" ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელის სახელიც მოიხვეჭა; შეგახსენებთ, რომ მუმლაძის ხელმძღვანელობით „ვიტ ჯორჯია" ერთხელ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ორჯერ კი ვერცხლის მედლები მოიპოვა; აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ სწორედ რამაზ მუმლაძეა ის ერთადერთი მწვრთნელი, „ვიტ ჯორჯიას" არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდხანს, „გადაბმულად" 4 წელიწადი ვინც მუშაობდა!

მთავარი მწვრთნელის გარდა, „ტორპედოში" 3 ისეთი ახალწვეულია, ფეხბურთელებად სწორედ... „ვიტ ჯორჯიაში" რომ ჩამოყალიბდნენ: **დავით დილმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი და ვახტანგ კვარაცხელია.**

დაბოლოს, „ტორპედოსა" და „ვიტ ჯორჯიას" ურთიერთდაპირისპირებათა სტატისტიკაზეც; 1998-2007 წლებში გუნდებმა ერთმანეთში 25 შეხვედრა ჩაატარეს და უპირატესობა (თან, სოლიდური) „ტორპედოს" მხარეს არის: 10 მოგება, 11 ფრე და 4 წაგება (ბურთების სხვაობა 28-19).

### ყველა დაპირისპირება

**1997/98**

ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:2
(გ. მეგრელაძე, შ. ხუჯაძე)

**1998/99**

ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:2
(გ. ჭანკოტაძე; ი. ვაშაკიძე, ზ. იონანიძე)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:0
(ლ. ნოზაძე)

**1999/2000**

ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:1
(ვ. კოტორაშვილი; ზ. იონანიძე)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 0:0

**2000/01**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:1
(ზ. იონანიძე; ვ. გოჩაშვილი)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:0
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 3:0
(ლ. მელქაძე-3)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:1
(გ. დიდავა; ვ. გოჩაშვილი)

**2001/02**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:1
(ზ. ქუთათელაძე; გ. ადამია)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:3
(ა. პოროშინი-2, შ. ბაბუნაშვილი)

**2002/03**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:0
(ზ. იონანიძე)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:3
(ა. ინწკირველი; მ. ასათიანი-2, გ. დიდავა)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 0:0
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:1
(ზ. იონანიძე)

**2003/04**

ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:0
(რ. გოცირიძე)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 2:1
(ა. პოროშინი, ზ. ქუთათელაძე; რ. გოცირიძე)

**2004/05**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 1:1
(დ. გამეზარდაშვილი; ე. მერებაშვილი)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:3
(ლ. ნოზაძე; გ. ნერგაძე-2, გ. მეგრელაძე)
ტორპედო-ვიტ ჯორჯია 2:1
(გ. მეგრელაძე, დ. გამეზარდაშვილი; ო. მარცვალაძე)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:2
(ზ. სახოკია; დ. ბოლქვაძე, ა. კოშკაძე)

**2005/06**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 2:2
(ა. ფოფხაძე, კ. შალამბერიძე; გ. დათუნაიშვილი, დ. დილმელაშვილი)
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 1:0
(დ. იმედაშვილი)

**2006/07**

ტორპედო-ვიტ ჯორჯია 0:0
ვიტ ჯორჯია-ტორპედო 0:0

**სიონი–დინამო**
Bwin: 4.25 3.55 1.7
24.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
**16:00**
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: დ. ჩიგოგიძე, კ. ტეფნაძე
მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

ეს წყვილიც არანაკლებ ინტერესს იწვევს: სეზონის დაწყების წინ ბევრისგან აუტსაიდერობისათვის განწირული „სიონი" ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და ყოველივე ეს სატურნირო ცხრილშიც აისახა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ „სიონისგან", ალბათ, ბევრი არ ელოდა ორი ურთულესი გასვლითი შეხვედრიდან (ზუგდიდიდან და ქუთაისიდან) ქულების წამოღებას. ეგ კი არა, „ბაიასთან" სტუმრად შეხვედრაში ბოლნისელები არბიტრის შეცდომებისგან დაზარალდნენ, თორემ, სულაც გამარჯვებას მოიპოვებდნენ. სწორედ ამ მატჩის შემდეგ არის დისკვალიფიცირებული მასპინძელთა ახალგაზრდა თავკაცი **გიორგი ყიფიანი** და „სიონს" დღეს მოედანზე **გიორგი ყიფშიძე** გამოიყვანს. ისე, ამ უკანასკნელს, „დინამოს" წინააღმდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობით კონკურენტი, ალბათ, არც ეყოლება: ჯერ როგორც ფეხბურთელის, მერე კი უკვე მწვრთნელის რანგში...

ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ „სიონის" ყველაზე უხერხული მეტოქე სწორედ „დინამო" იყო - მხოლოდ და მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევებია, ჩვენ ყველაზე ტიტულოვან კლუბს ბოლნისიდან 3 ქულა რომ ვერ მოჰქონდა. თუმცა, ისიც ხშირად ყოფილა (განსაკუთრებით, ბოლო წლებში), როცა „სიონისა" და „დინამოს" ბოლნისურ დაპირისპირებებს, მასშტაბური თუ არა, „ლოკალური" სკანდალები მაინც რომ ახლდა ხოლმე; ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად ყველაფერი ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ჩაივლის; ოღონდ, „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ**, ალბათ, ჩვენზე უკეთ იცის, თუ როგორი ძნელია ბოლნისში გამარჯვების მოპოვება; მით უფრო, რომ „დინამოს" რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი აკლია. ყოველივე ამის მიუხედავად, ამ წყვილში ფავორიტად მაინც „დინამო" მიგვაჩნია — საჩემპიონო რბოლაში ჩართულ გუნდს ხომ მეტოქეზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს, გამოცდილი ახალწვეულების (**დავით მუჯირი, გია კვარაცხელია, ირაკლი ლილუაშვილი**) დამატებით კიდევ უფრო რომ გაძლიერდა.

**სამტრედია–ზესტაფონი**
Bwin: 4.25 3.55 1.7
24.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
**16:00**
არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, კ. გაბრიაძე
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გულშემატკივრების მართლაც სამართლიან აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, როცა უმაღლესი ლიგის გუნდების ნახევარზე მეტი... თბილისს წარმოადგენდა. ამჟამად სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია და დღეს მორიგი „იმერული დერბი" გველოდება: „სამტრედია"-„ზესტაფონი"! შეგახსენებთ, რომ მასპინძლებმა ერთი ასეთი „გამოცდა" წარმატებით ჩააბარეს: V ტურში „ტორპედოს" მოუგეს; მაგრამ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის **გელა სანაიას** გუნდს დღეს ასეთივე შედეგის გამეორება ძალიან გაუჭირდება; გაუჭირდება, რაღა თქმა უნდა, მეტოქის სიძლიერიდან გამომდინარე: სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ ამ წყვილში ფავორიტად მაინც „ზესტაფონი" მიგვაჩნია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სტუმართა გუნდის მთავარ მწვრთნელს **გია გეგუჩაძეს** ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. თანაც, უშუალო კონკურენტებისგან განსხვავებით „ზესტაფონს" გრძელი სათადარიგოთა სკამიც აქვს და ამ „ფუფუნებით" გეგუჩაძეს შემადგენლობის უმტკივნეულო როტაციის საშუალებაც ეძლევა. თუმცა, „ზესტაფონის" ასპარეზობაში გარკვეული მინუსებიც შეგვიძლია დავინახოთ: ამ ჩემპიონატში გუნდმა სტუმრად 2 შეხვედრა ჩაატარა და ორივეში დამარცხდა! აქვე, ბარემ წინა სეზონის სტატისტიკაც გავიხსენოთ, რომლის მიხედვითაც ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რატომ მივიჩნევთ ამ წყვილის ფავორიტად „ზესტაფონს": ოთხივე დაპირისპირებაში გია გეგუჩაძის გუნდმა გაიმარჯვა...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ამიერიდან, საქართველოს ჩემპიონატის ყოველი ტურის თითოეულ მატჩზე ცნობილი საბუკმეიკერო კანტორის Bwin-ის კოეფიციენტებსაც შეძლებისაგვარად შემოგთავაზებთ.*

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგან. | ბურთები გაშვ. | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 6 | 4 | 1 | 1 | 8 | 3 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 7 | 1 | 11 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 2 | დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 9 | 5 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 5 | 3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 4 |
| 3 | ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 11 | 5 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 9 | 1 | 12 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 0 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6 | 3 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 5 | ბაია | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 7 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 5 | 3 | 8 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 4 | 0 |
| 6 | კოლხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 5 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 3 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 |
| 7 | სიონი | 6 | 1 | 3 | 2 | 3 | 5 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 5 | 5 |
| 8 | სამტრედია | 6 | 1 | 1 | 4 | 7 | 11 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 6 | 10 | 1 |
| 9 | სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 6 | 11 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 4 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 7 | 0 |
| 10 | ტორპედო | 6 | 0 | 3 | 3 | 2 | 5 | 3 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 4 | 0 |

## ქართული ფეხბურთი




დღეიდან შემოგთავაზებთ ახალ რუბრიკას "მეთორმეტე მოთამაშე". გულშემატივარი ფეხბურთის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორიც მწვრთნელი, მოთამაშე, მსაჯი, საფეხბურთო ჩინოვნიკი და ჟურნალისტი.

თითოეულ მათგანს ტრიბუნა მეტ-ნაკლებად აქვს, მაგრამ თითქმის არ ჩანს გულშემატკივარი, რომელიც ამ საფეხბურთო ჯაჭვში ყველაზე ალალი და უანგაროა.

1863 წლის 26 ოქტომბერს ლონდონის „მეისონ კლაბში" შეკრებილი საზოგადოება ფეხბურთის წესებს რომ ადგენდა, უპირველესად იმაზე ფიქრობდა, როგორ გამხდარიყო ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და საინტერესო სანახაობა. ასეც მოხდა: ეს არის "პური და სანახაობის" მანამდე არნახული შოუ, რომელიც საუკუნე-ნახევარია, მსოფლიოს მოსვენებას არ აძლევს, აერთიანებს პრეზიდენტებსა და უბრალო მოკვდავთ, ომის შემდეგ, ხალხის სიხარულისა და მღელვარების უპირველესი საშუალებაა.

და ეს შოუ ვერ იქნებოდა, რომ არა გულშემატკივარი, რომელსაც – როგორც უკვე ვთქვით - საკუთარი ტრიბუნა თითქმის არ გააჩნია. ჩვენ "მეთორმეტე მოთამაშეს" ამ ტრიბუნას ვთავაზობთ. ეს იმიტომ, რომ ბოლო დროს ყველამ დავკარგეთ კავშირი იმ ხალხთან, რომლისთვისაც ვწერთ ჟურნალისტები, თამაშობენ ფეხბურთელები, ყალიბდებიან გუნდები, მუშაობენ ჩინოვნიკები და აშენებენ სტადიონებს.

თუმცა ტრიბუნას ვთავაზობთ მხოლოდ მათ, ვინც სატკივარზე ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის გარეშე ილაპარაკებს, საფეხბურთო მმართველებსა თუ კლუბებს საინტერესო პროექტებს შესთავაზებს და ა.შ.

# სამტრედიელი გულშემატკივარი: შეგვინარჩუნეთ გუნდი, სხვა გასართობი და სიხარული არ გაგვაჩნია!

"სამტრედიის" კლუბის დაფინანსების იმედი დღემდე იმედადვე რჩება – ადგილობრივი ბიუჯეტი უკვე გაწერილია და მისი შეცვლა კანონდარღვევაა, კერძო სპონსორის მისვლის იმედი კი, არა და არ მართლდება. გულშემატკივრები არ ცხრებიან.

გუშინ "სამტრედიის" გულშემატკივარი **ზაზა ნინუა** დაგვიკავშირდა და სამტრედიელი ქომაგების გულისტკივილი გაგვიზიარა:

*"ჩვენი ქალაქისთვის ფეხბურთი სოციალურად უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. "სამტრედიის" ამჟამინდელ პრობლემებს და ყოფნა-არყოფნის საკითხს გულშემატივრები ძალიან განვიცდით. 20 სექტემბერს, ორშაბათს ჩვენი დუბლები "დინამოს" თბილისში შეხვდნენ. უკანა გზაზე მობრუნებული სამი ბავშვი უჭმელობით ცუდად გახდა. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?*

*"სამტრედიის" გულშემატკივრები განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. მხოლოდ და მხოლოდ ის გვინდა, რომ ბიჭებს ხელფასი დროულად გადაუხადონ, გუნდი დამშვიდდება და დალაგდება. ჩვენ მივმართავთ მთავრობას, მიხედონ "სამტრედიას" და ამით ხალხის გულს მოიგებენ. თუკი გუნდი დაიშლება, რისი რეალური საფრთხეც არსებობს, მაშინ მოკვდება არა მხოლოდ ფეხბურთი, არამედ, მთელი რაიონი. ჩვენ არანაირი სხვა გასართობი არ გაგვაჩნია, არც კინო, არც თეატრი, მხოლოდ ფეხბურთი დაგვრჩა და ამ სიხარულსაც ნუ მოგვისპობენ.*

*ჩვენნაირი პატარა რაიონისთვის ფეხბურთის კლუბი ბევრს ნიშნავს: „სამტრედია" ჩვენთვის „რეალზე" მეტია, რადგან ესაა ჩვენი გუნდი, ჩვენი სიხარული და ტკივილი და მას ვერ გავწირავთ. სამტრედიაში თამაშის დაწყებამდე იკეტება ბაზარი, მაღაზიები, ხალხი მუშაობას წყვეტს და სტადიონზე საყვარელი გუნდის საგულშემატკივროდ მიდის.*

*გასულ სეზონში ყველაფერი კარგად იყო, „სამტრედიას" სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინახავდნენ და ბიჭები ხელფასს დროულად იღებდნენ. წელს ყველაფერი აირია, რადგან კერძო მეპატრონის მოსვლის იმედად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება შეწყდა, სპონსორიც არ გამოჩნდა და ახლა ფეხბურთელებს აგვისტოს ხელფასიც არ აუღიათ. უფულობით შეწუხებულები, ფოთის „კოლხეთთან" მოედანზე გასვლას არ აპირებდნენ, მაგრამ დააიმედეს და ითამაშეს. თანხა დღეს უნდა გადაეხადათ; ბიჭებს ეს იმედიც გაუცრუვდათ და გაბრაზებულები არიან. თუკი კუთვნილ ხელფასს მატჩამდე არ დაარიგებენ, შესაძლოა, ხვალ „ზესტაფონთან" არ ითამაშონ.*

*მე მხოლოდ ჩემი და 2-3 კაცის სატკივარზე არ ვლაპარაკობ, ეს მთელი რაიონის მოთხოვნაა - სამტრედია საფეხბურთო კლუბის შენახვასა და გადარჩენას ითხოვს! ჩვენთან უპრეტენზიო ბიჭები შეიკრიბნენ, ბევრს არაფერს იღებენ და არც ითხოვენ, ელემენტარულად, ხელფასების დროულ გადახდას ელიან და ვთხოვ პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს, მოგვაქციონ ყურადღება.*

*მე მგონია, რომ სამტრედია საქართველოში ერთადერთი ქალაქია, სადაც დეპუტატობის კანდიდატს სოციალური პრობლემების მოგვარების დარად, ფეხბურთის მიხედვას სთხოვენ. ასეთი ამბავი მხოლოდ ბრაზილიაში ხდება, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატი ნაკრების გულშემატკივარი უნდა იყოს, სხვაგავრად მისი შანსი ნულის ტოლი იქნება.*

*სამტრედიელები საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს სწორედ „სამტრედიის" მომავალთან დაკავშირებულ გეგმებზე ველაპარაკებოდით და დამაჯერებელი პასუხი მივიღეთ, რომ გუნდს პრობლემა არ შეექმნებოდა. „ნაციონალებმა" დაგვარწმუნეს, კლუბს აუცილებლად მოუვლიდნენ და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, სამტრედიაში ხმების 69 პროცენტი რომ დააგროვეს.*

*ახლა „სამტრედია" ან ისევ ბიუჯეტის კმაყოფაზე აიყვანონ, ან დროულად გამონახონ სპონსორი. სხვა გამოსავალი არაა. გამგებელს, საკრებულოს წევრებსა და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატს "სამტრედია" ჩვენზე ნაკლებად არ აღელვებთ, მაგრამ ეტყობა, საკითხი უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს და ვისაც ეს ეხება, ჩვენი გულშემატკივრების სახელით ვთხოვთ – გადაგვირჩინეთ "სამტრედია"!*

*ასე არ იყო ქუთაისში? „ვისოლი" დაინტერესეს. რომელიმე ბიზნესმენი "სამტრედიითაც" დაინტერესონ. ყველასთან დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენთან რომ ფეხბურთი უყვართ, ეს ყველა სხვა ქალაქისთვის სამაგალითოდ გამოდგება. საერთოდაც, მიხედონ რაიონის გუნდებს და ქართული ფეხბურთის მომავალი თაობები გაიზრდებიან. წლების განმავლობაში ქუთაისის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ბათუმის კლუბები რომ ჩაკვდა, ამის შედეგია ქართულ ფეხბურთში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა და ფეხბურთელთა უმწვავესი დეფიციტი. დააფინანსონ გუნდები, ბიზნესმენებს შეუმცირონ გადასახადი და ყველა ვნახავთ, ქართული ფეხბურთი როგორც განვითარდება".*

კლუბებისა განსახელმწიფოებრიობისა და ეროვნულ ჩემპიონატში ბრენდების მიზიდვა ფეხბურთის ფედერაციისა და პრემიერის ერთობლივი პროექტი გახლდათ. ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** გულშემატკივრის სატკივრით მივმართეთ და ეს პრობლემა ცხინვალის "სპარტაკის" საკითხთან გავაერთიანეთ. ცხინვალის კლუბი დღემდე დიმიტრი სანაკოევის კეთილი ნებით არსებობს, ქართულ ბიზნესს კი სულაც არ ადარდებს, კლუბი საქართველოსთვის არა მხოლოდ საფეხბურთო, სოციალური და პოლიტიკური კუთხითაც მნიშვნელოვანი რომ არის.

*"სამტრედია" ძალიან ამბიციური კლუბია და ვიცი, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამ თემაზე კვირაში ორჯერ მაინც ველაპარაკები სამტრედიის გამგებელს, მაჟორიტარ დეპუტატს და კლუბის პრეზიდენტს. სამწუხაროდ, ეროვნული ნაკრების სპონსორის მოძებნა გვიჭირს და წარმოიდგინეთ, კლუბის შემთხვევაში რა პრობლემებს ვაწყდებით. თუმცა, კლუბის შენახვა უფრო ადვილია, ხარჯი მცირეა და არსებობს მაგალითები, როგორ შეიძლება მისი ბიუჯეტის შევსება. რა თქმა უნდა, პირდაპირ პარალელს ვერ გავავლებ, მაგრამ მოდელად "მანჩესტერის" მაგალითი გამოგვადგება – კლუბს ნაწილობრივ ფანები ინახავენ. ისინი წელიწადში ერთხელ 100 თუ 50 ფუნტს კლუბს ურიცხავენ და "მანჩესტერის" შემოსავალი მილიარდ ევროს აღწევს (?!-რედ.). ინგლისურ კლუბს გულშემატკივართა რაოდენობით არათუ ჩვენი, მსოფლიოს ბევრი კლუბიც ვერ შეედრება, მათი რაოდენობა მილიონებს აღწევს. თუმცა, ნებისმიერი რაიონის კლუბს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, მით უფრო 'სამტრედიას" და ადრე თუ გვიან "მანჩესტერის" მოდელი ჩვენშიც უნდა ავამოქმედოთ.*

*თითოეული გულშემატკივარი კლუბს წელიწადში 10 ლარითაც რომ დაეხმაროს, ბიუჯეტი გარკვეული ნაწილი მაინც შეივსება. უეფას მოთხოვნაა, ბილეთი ორ ევროზე ნაკლებად არ უნდა ღირდეს. ჩვენ კი თბილისში 17-წლამდელთა შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ტურნირს რომ ვუმასპინძლებთ, ხალხი უფასოდ უნდა შევუშვათ. ბილეთს ეს თანხა რომ დავადოთ, გულშემატკივარი აღარ მოვა. ხალხი მზად არაა, კვირაში ერთხელ ბილეთში 5 და 10 ლარი რომ გადაიხადოს. კარგი გუნდია "ვიტ ჯორჯია", "ოლიმპი", "ტორპედო", მაგრამ ქართული ფეხბურთის ბრენდი თბილისის "დინამოა" და და ძალიან მიკვირს, მის თამაშებს მინიმუმ 15 ათასი მაყურებელი რომ არ ესწრება. არადა, 15 ათასი გულშემატკივარი თუნდაც 2-ლარიან ბილეთს რომ იყიდის, ეს გარკვეულ ხარჯს მაინც აანაზღაურებს.*

*სამწუხაროდ, ჩვენთან გულშემატკივრობის კულტურა არ არსებობს. ჰოლანდიაში შოთა არველაძემ სტადიონზე სამი 75-ევროიანი ბილეთი გვიყიდა და ისე შეგვიყვანა. ჩვენთან იმავეს გააკეთებდნენ? როგორ ვერ მიცანი, მე ესა და ეს ვარ, ბილეთი როგორ უნდა ავიღოო - და 5-ლარიან ბილეთის ყიდვასაც ითაკილებდა. აღარაფერს ვამბობ კლუბის მაისურის, შარფისა და სხვა ატრიბუტიკის შესყიდვაზე. ანუ, იმის თქმა მინდა, ბილეთითა და ატრიბუტიკით მიღებული შემოსავალიც თუ ვერ ავამოქმედეთ, კლუბების ბიუჯეტები საიდან უნდა შეივსოს?"*, - ამბობს სიჭინავა.

კალათბურთი

# თემურ შარაშენიძე: დიორის მწვრთნელის ნდობა მეხმარება

"დიორ ეტოს" 18 წლის თავდამსხმელმა **თემურ შარაშენიძემ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ორჯერ ითამაშა – დებიუტი 4 სექტემბერს საქარიაში თურქეთის წინააღმდეგ ჰქონდა, მეორედ ნაკრების ფორმა კი თბილისში სომხებთან მოირგო. მართალია, შარაშენიძე გულშემატკივარმა უსიამოვნო მატჩიდან გაიცნო, მაგრამ უდავოდ საინტერესო ფეხბურთელია, სწრაფი, ენერგიული და ასაკის კვალობაზე ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე მცირეწლოვანი ფეხბურთელი, რომელიც დანარჩენი მოთამაშეებისთვის, ფაქტობრივად, უცნობი იყო, ამბობს, რომ გუნდთან შეგუება არ გასჭირვებია.

*"ისეთი შეკრული, მებრძოლი და მეგობრული გუნდი დამხვდა, ბიჭები ერთმანეთს ენდობოდნენ და ერთმანეთის გატანაზე ფიქრობდნენ, რაც ფეხბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს. იქ უცხოდ თავს ვერც იგრძნობდი. სამწუხარო ისაა, რომ სომხეთთან თამაში ასეთი შედეგით დასრულდა. გული იმაზეც დამწყდა, რომ თურქებთან დებიუტის გოლით აღნიშვნაც შემეძლო, მაგრამ კარგი მომენტით ვერ ვისარგებლე, კარს ოდნავ ავაცილე. მთლიანობაში, გამოძახებით და ნაკრებში თამაშით გახარებული ვარ. იმედია, ახალგაზრდულში შემდეგ შესარჩევ ციკლშიც გამომიძახებენ".*

ალსანიშნავია, რომ უნგრეთის უმაღლეს დივიზიონის გუნდში შარაშენიძე 17 წლის ასაკში აიყვანეს, დუბლებში მხოლოდ სამიოდე თვე დაყო და მალე მთავარ გუნდში გადაიყვანეს. როგორც ამბობს, დიდ სარბიელზე მისი გასვლა მწვრთნელის კეთილგანწყობის შედეგია. ახლა ის შემადგენლობაში ხშირად ჩნდება.

*"18 წლის ბიჭი "დიორ ეტოს" შემადგენლობაში რომ მოვხვდი, ეს უპირველესად მწვრთნელის დამსახურებაა. მისი ნდობა დავიმსახურე, რომლის გარეშეც ძირითადში მოხვედრაზე ვერც ვიოცნებებდი. ერთხელ რომ დამაყენა, თამაში გამომივიდა, ამის შემდეგ, პირველ გუნდში უფრო და უფრო მეტ სათამაშო დროს მაძლევს და საერთოდ, მისგან დიდი ყურადღებას ვგრძნობ. ისედაც, დრო არ დამიკარგავს: "დიორ ეტოში" თითქმის ერთი წელიწადია ვირიცხები და ფიზიკურად და ტაქტიკურად გავიზარდე, ბევრი ვისწავლე და უფრო ათლეტური გავხდი. მართალია, 90 წუთის თამაში თითქმის არ მიწევს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მთელი შეხვედრა რომ არ შემცვალონ, გასაძლებად არ მექნება საქმე"*, - ამბობს შარაშენიძე.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


თემურ შარაშენიძე

ეროვნული ნაკრები. ინტერვიუ ნუკრი რევიშვილთან

# დაცვა დადგა და მეც მშვიდად ვარ

## ხან შენ, ხან აბაევიო...

**მას მერე, რაც გიორგი ლომაიამ სანაკრებო კარიერის დამთავრება გადაწყვიტა, ეროვნული გუნდის მთავარ მეკარედ ნუკრი რევიშვილი მიიჩნევა. წლეულს ჩატარებული 5 სანაკრებო მატჩიდან რევიშვილმა 3 შეხვედრაში (კამერუნთან, საბერძნეთთან და ისრაელთან) ითამაშა.**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ რევიშვილი იმედებს ამართლებს. ამის დასტურად სტატისტიკის მოშველიებაც კმარა. ნუკრიმ სამ შეხვედრაში ორჯერ მშრალად შეინახა კარი და მხოლოდ ერთი ბურთი გაუტანეს. დასანანია, რომ რევიშვილს კლუბში სტაბილურად არ უწევს თამაში. ისრაელთან 7 სექტემბრის შეხვედრაში თამაშის შემდეგ, მისმა გუნდმა მახაჭყალის „ანჟიმ“ რუსულ პრემიერლიგაში 2 მატჩი გამართა, მაგრამ ჩვენებურის გარეშე. დაღესტნელები „როსტოვთან“ სტუმრად და „რუბინთან“ შინ ერთნაირი ანგარიშით 0:1 დამარცხდნენ. ორივე მატჩში მახაჭყალელთა კარს ილია აბაევი იცავდა. შესარჩევი ციკლის ოქტომბრის მატჩებამდე დიდი დრო აღარ დარჩა და ნაკრების მთავარი მეკარის მდგომარეობით დავინტერესდით. ნუკრი რევიშვილს სანაკრებო და საკლუბო თემებზე ვესაუბრეთ.**



ნუკრი რევიშვილი (მარჯვნივ)

**- სანაკრებო პაუზის შემდეგ „ანჟიმ“ ორი მატჩი ჩაატარა, მაგრამ არცერთში გითამაშიათ...**

- დიახ, ამჯერად ილია აბაევს მოუწია თამაშმა. სამწუხაროდ, ორივე მატჩში დავმარცხდით, მეტოქეთა მიერ გატანილი თითო გოლის გადაფარვა ვერ შევძელით. აბაევმა კარგად ითამაშა, მაგრამ გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო.

**- აბაევს როგორ დაახასიათებდით?**

- 29 წლის გამოცდილი მეკარეა, სიმაღლე და საიმედოობა არ აკლია. გუნდში მე და აბაევს თანაბარ მეკარეებად გვთვლიან და მონაცვლეობით ორივეს გვიწევს თამაში.

**- იყო შემთხვევები, როცა ზედიზედ 2-3 მატჩი კარგად ჩაატარეთ, მაგრამ სასტარტოში თქვენ ნაცვლად მაინც აბაევი მოგვევლინა. ეს რით ავხსნათ?**

- „ანჟის“ მესვეურებმა თავიდანვე გვითხრეს, რომ ორივეს თანაბრად მოგვიწევს თამაში. გაჯი გაჯიევმა გაგვაფრთხილა ზედიზედ ორივეს 3-3 მატჩში მოგიწევთ თამაშიო.

**- ზედიზედ 3-3 შეხვედრაში თამაშით შეძლებთ ფორმის შენარჩუნებას?**

- როგორც ხედავთ, ვახერხებთ. მონდომებითა და საკუთარ თავზე მუშაობით ყველაფერი შესაძლებელია. „ანჟიში“ ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს ნაკრების მეკარე ვარ. სექტემბრის მატჩების წინ, გაჯიევს ვესაუბრე, ვითარება ავუხსენი და ვთხოვე შესარჩევ ციკლს ვიწყებთ, მინდა კარგ ფორმაში ვიყო-მეთქი. უმალ მიმიხვდა რაც ვიგულისხმე და საბერძნეთთან მატჩამდე კლუბში ზედიზედ მომინია თამაშმა.

**- სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გკითხავთ. სექტემბრის თამაშებს როგორ იხსენებთ?**

- საბერძნეთთან გასვლითი ფრით, საკვალიფიკაციო ეტაპი რიხიანად დავიწყეთ. ამ მატჩის მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ ბერძნებს ველარ გავუძელით. მიუხედავად ამისა, სტუმრად მოპოვებული ამ ქულით სხვა გუნდებს ვაგრძნობინეთ, რომ ჩვენი ნაკრები ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ბერძნებთან თამაშის შემდეგ, ყველას ერთი განწყობა და მიზანი გვქონდა. ისრაელთან უნდა მოგვეგო. დასანანია, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. არ გაგვიმართლა, თორემ მოგებას ვიმსახურებდით.

**- 2 მატჩი და 2 ქულა. მონაგარზე რას იტყოდით?**

- მთლად უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელ გუნდებთან მოვიპოვეთ ეს ქულები. საბერძნეთი ერთ-ერთი ფავორიტია, ისრაელი კი ცხრილის ლიდერია. ერთსაც დავამატებდი, ჩვენმა ნაკრებმა წელს 5 მატჩი ჩაატარა და არც ერთი წააგო. გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს. ეროვნულის დაცვა ახლა უკეთ გამოიყურება. შეტევაშიც უფრო უკეთ ათამაშდება გუნდი და შედეგიც კარგი გვექნება.

**- წლეულს ნაკრების 5 მატჩიდან სამში ითამაშეთ, ამასთან ორ შეხვედრაში მშრალად. მხოლოდ ერთი გოლი გაგიტანეს...**

- უკანა ხაზი ახლა უფრო საიმედოდ გამოიყურება და მეც მშვიდად ვარ. როცა დაცვის იმედი აქვს, მეკარეც უფრო თავისუფლად და თავდაჯერებულად თამაშობს.

**- ოქტომბერში მალტას ვუმასპინძლებთ და ლატვიას სტუმრად ვეთამაშებით. ბევრი თვლის, რომ ამ მატჩებში 6 ქულას მოვიპოვებთ. ეს პროგნოზი რეალობასთან შორს არ უნდა იყოს. რა აზრის ხართ?**

- ორივე თამაშის მოგება ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება. მალტასთან შინ უნდა მოვიგოთ და გულშემატკივარი გავახაროთ. ლატვიაშიც შეგვიძლია 3 ქულის მოპოვება... ორივე მატჩში გამარჯვება იოლი არ იქნება, მაგრამ ეს უნდა შევძლოთ. ცხრილშიც ზემოთ ავიწევთ და მეტოქეებიც მეტად დაგვაფასებენ.

**- ისევ „ანჟის“ დავუბრუნდეთ. გუნდი წლეულს დაბრუნდა პრემიერლიგაში. ამჟამად მე-12 ადგილზე ხართ. შეძლებთ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- ამ სეზონში სწორედ ეს მოკრძალებული მიზანია. 23 ქულა გვაქვს და უხეში დათვლით, 30 ქულა საკმარისი იქნება პრემიერლიგაში დასარჩენად. ასე რომ, დარჩენილ 9 ტურში მინიმუმ 7 ქულის მოპოვება უნდა მოვახერხოთ. ვფიქრობ მეტიც შეგვიძლია. გვჯერა, წლეულს ადგილის შენარჩუნება არ გაგვიჭირდება, მომდევნო სეზონში კი უფრო ამბიციური მიზანი გვექნება.

**- „ანჟის“ ქართველების საქმე როგორ მიდის?**

- ზაფხულის პაუზისას მცველი ოთარ ხიზანეიშვილი დაგვემატა. სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და თავდაპირველად გაუჭირდა. თუმცა ახლა კარგ ფორმაშია და დაცვაში საიმედოდ თამაშობს. ნახევარმცველი ზურაბ არზიანი ტრავმებმა შეაწუხა და გარკვეული პერიოდი გაუცდა. უკვე გამოჯანმრთელდა და კონდიციებსაც აღიდგენს. ახალგაზრდა თავდამსხმელი გვყავს გიორგი ილურიძე. 19-წლამდელთა ნაკრებშიც იყო გამოძახებული. საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს და კარგ ფორვარდად ჩამოყალიბდება. საამისოდ მას ჩინებული მონაცემები აქვს.

ლეგიონერები




მალხაზ ასათიანისა და მარკ გონსალესის ჩხუბი

# ასათიანი შეწყალებას ითხოვს

მოსკოვურ დერბიში ცსკა-სთან მოგებულ მატჩში (1:0) ჩვენი ნაკრებისა და „ლოკომოტივის“ მცველ **მალხაზ ასათიანს** შეხვედრა არ ჩაუმთავრებია. ასათიანი, რომელიც იმ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, არმიელთა ჩილელ ნახევარმცველ **მარკ გონსალესთან** ჩხუბის გამო სამხრეთამერიკელთან ერთად, 70-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან. რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორივე მოჩხუბარი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. თუმცა, როგორც ირკვევა არის შანსი, რომ დისკვალიფიცირებულებს სასჯელი გაუნახევრონ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო რეგლამენტის თანახმად, თუ ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ნახევარს მოიხდის და დანაშაულს აღიარებს, მაშინ ის დარჩენილ სასჯელს პირობითად მოიხდის და თამაში შეეძლება.

ასათიანმა ერთი მატჩი უკვე გამოტოვა (სტუმრად „ტომთან“), და კვირას 26 სექტემბერს გროზნოს „ტერეკთანაც“ ვერ ითამაშებს. ამ ორი შეხვედრის გამოტოვება სასჯელის ნახევარი იქნება. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ თადარიგი დაიჭირა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტს, ასათიანის დისკვალიფიკაციის განახევრების თხოვნით უკვე მიმართა. პრესასთან საუბარში ასათიანმა გაცხარება აღიარა და შეწყალება ითხოვა.

*„ცსკა-სთან მატჩში ნერვები ვერ მოვთოკე, გავცხარდი და არასწორად მოვიქეცი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემსა და გონსალესს შორის კონფლიქტს მალე დაესვა წერტილი, ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ემოციების ტყვეობაში ვიყავი, თუმცა კარგად ვიცი, ეს ჩემს საქციელს არ ამართლებს. იმედი მაქვს იმასაც გაითვალისწინებენ, რომ ადრე ჩხუბის გამო გაძევება არასდროს დამიმსახურებია. ერთ მატჩში ორი გაფრთხილება მხოლოდ სათამაშო სიტუაციაში, თამაშის წესების გამო მაქვს მიღებული.*

*ვიმედოვნებ, ჩვენი საკითხის განხილვისას ყველა ნიუანსს გაითვალისწინებენ და მე და გონსალესს სანქციას გაგვინახევრებენ.*

*დისკვალიფიკაციას ჩემს საწვრთნელ პროცესზე გავლენა არ მოუხდენია. ვარჯიში არ გამიცდენია და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვაგრძელებ მზადებას. ტომსკში გუნდს არ გავყოლილვარ, ის მატჩი ტელევიზიით ვნახე. დასანანია, ტომ „ტომთან“ უპირატესობა შედეგში არ აისახა, მატჩი 1:1 დასრულდა და მხოლოდ ქულას დავჯერდით“,* - აღნიშნა მალხაზ ასათიანმა.

ჩვენებურის „ლოკომოტივი“ 27 ქულით მერვე ადგილზეა და ქულითა და საფეხურით ჩამორჩება გროზნოს „ტერეკს“, რომელსაც კვირას ეთამაშება. თუ ასათიანს შეიწყალებენ და სასჯელს გაუნახევრებენ, მაშინ მას მომდევნო კვირას, 3 ოქტომბერს „სატურნთან“ გასვლით შეხვედრაში უკვე შეეძლება თამაში.

# გურული პარიზში, ქულის საშოვნელად

ევროპის ლიგაზე „ზესტაფონის“ ძლევის შემდეგ **სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატიმ“ თურქული „გალათასარაის“ ბარიერიც გადალახა და ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ლვოველები ჯგუფის სადებიუტო მატჩში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ შინ 3:4 დამარცხდნენ, მეორე ტურში კი ფრანგულ პსჟ-სთან პარიზში ელით თამაში.

დორტმუნდელთა წინაალმდეგ „კარპატის“ ქართველ ნახევარმცველს ტრავმის გამო არ უთამაშია. „ბორუსიასთან“ მარცხის შემდეგ ლვოველებმა ხასიათი ორი მოგებით გამოიკეთეს. ჯერ ჩემპიონატში „ობოლონი“ 3:0 დაამარცხეს, მერე კი თასის გათამაშებაში ქვედალიგოსანი „ირნიკ-სპორტი“ 5:0 გაანადგურეს. გურული უკვე დაუბრუნდა გუნდს, „ობოლონთან“ შეცვლაზე ითამაშა და მისმა გუნდმა ორი გოლი მოედანზე მისი შესვლის შემდეგ გაიტანა. ამ მოგებით „კარპატიმ“ 20 ქულა დააგროვა და ვიშა ლიგაში მესამე ადგილზეა.

სანდრო გურული უკრაინამდე საფრანგეთში ასპარეზობდა. იქაური ატმოსფერო მისთვის უცხო არ არის და პსჟ-სთან მატჩამდე უკრაინულმა პრესამ რესპონდენტად სწორედ ქართველი ფეხბურთელი შეარჩია.

*„ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გამიცდა, მათ შორის ევროპის ლიგის სასტარტო შეხვედრაც. „ობოლონთან“ ცოტა ხანს ვითამაშე, რადგან სრულად არ გამოვჯანმრთელებულვარ. მოედანზე შესვლისას 1:0-ს ვიგებდით. ეს სახიფათო ანგარიშია და მწვრთნელისგანაც შესაბამისი დავალება მივიღე - შეტევაში მაქსიმალურად აქტიური უნდა ვყოფილიყავი, ხოლო თუ ბურთს დავკარგავდით, მაშინ პრესინგზე მეთამაშა. ვფიქრობ, მწვრთნელის დავალება კარგად შევასრულე, თამაშში ჩემი ჩართვის შემდეგ კიდევ ორი ბურთი გავიტანეთ. თუმცა სჯობს, ჩემი თამაში მწვრთნელმა შეაფასოს. მიხარია, რომ ამ მატჩში მორიგი სამი ქულა მოვიპოვეთ და ცხრილში ერთი საფეხურით ავინაცვლეთ“,* - ასე გაიხსენა „ობოლონთან“ მატჩი სანდრო გურულმა.

რა თქმა უნდა, ინტერვიუს მთავარი თემა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი იყო, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩით დაიწყო.

*„დორტმუნდელებთან მატჩი ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი იყო, რომელიც ორივე გუნდის დამსახურებაა. დასანანი ის არის, რომ დავმარცხდით. ვფიქრობ, წაგებას არ ვიმსახურებდით, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. წარმატებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ, ჩემი აზრით, გულშემატკივრის თვალში არ დავმარცხებულვართ“.*

ჯგუფური ეტაპის წილისყრამდე სანდრო გურული თურმე ფრანგულ გუნდს ნატრობდა მეტოქედ და აუხდა კიდეც. 30 სექტემბერს „კარპატის“ პსჟ-სთან სტუმრად უწევს თამაში.

*„ჯგუფში პსჟ-ს მეტოქეობა გამიხარდა. იმედი მაქვს, პარიზში კარგად ვითამაშებთ და შინ დადებითი შედეგით დავბრუნდებით. თუმცა ეს იოლი არ იქნება. პარიზში რთული მატჩი გველ..ის. პსჟ-მ სტუმრად „სევილია“ დაამარცხა, ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. პარიზში ფრე ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგი იქნება, მაგრამ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. ქულები გვჭირდება, რათა მეტოქეებს დავეწიოთ“,* - თქვა სანდრო გურულმა.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**



სანდრო გურული

## უცხოური ფეხბურთი

● რომა

# რომაული უსიამოვნებები

### ჯალოროსი შავ დღეშია, მექსეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს

იტალიური სპორტული პრესის მთავარი სასაუბრო თემა „რომას" კრიზისი და ის ბოლოდროინდელი ამბებია, რომლებიც ამ გუნდის გარშემო ხდება. „ჯალოროსიმ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და ოთხი ტური ისე მიილია, რომ გამარჯვების გემო არ იცის. მთელი საფეხბურთო იტალია „რომას" მძიმე ჩავარდნაზე საუბრობს, დედაქალაქელები კი ყველაფერს მსაჯებს აბრალებენ.

გასულ ტურში, „ჯალოროსი" ბრეშას ესტუმრა და 2:1-ზე დამარცხდა. მატჩის არბიტრმა **კარმინე რუსომ** სტუმართა კარის მიმართულებით თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ამასთან მოედნიდან **ფილიპ მექსე** გააძევა. ფრანგმა უკანახაზელმა ყვითელი ბარათი მიილო, რაზეც პროტესტი ემოციურად გამოხატა და მის თვალწინ უმალ მეორე ყვითელი ბარათი აფრიალდა... არადა, ფილიპი პროტესტს სამართლიანად გამოხატავდა - მან საჯარიმო მოედნის გარეთ იუხეშა და მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, პენალტის დანიშვნის შესახებ, უსამართლო იყო. მოკლედ, ნებსით თუ უნებლიედ, რეფერიმ „რომა" დაჩაგრა, რაც დედაქალაქელებმა ვერაფრით მოინელეს. ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მექსეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. აი, როგორ ახსნა აღნიშნული გადაწყვეტილება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ:**

*„სადისციპლინო კომიტეტის საქმიანობაში არასდროს ვერეოდი და შესაბამისად, კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ფილიპ მექსე პროტესტის ზედმეტად ხმაურიანად გამოხატვის გამო დაისაჯა. შესაძლოა მატჩის არბიტრს თერთმეტმეტრიანი არ უნდა დაენიშნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავზე კონტროლი დავკარგოთ. ნებისმიერ შემთხვევაში ფეხბურთელი უნდა დაემორჩილოს მსაჯის გადაწყვეტილებას".*



ფილიპ მექსე ბრეშასთან შეხვედრაში ერთ ამბავში იყო და დასაჯეს

„რომას" ბანაკში აღშფოთებას ვერ მალავენ - მაგალითად, **მარკო ბორიელომ** ცხელ გულზე ისეთი განცხადება გააკეთა, რომელიც „მილანის" მესვეურებს ნამდვილად არ მოეწონებოდათ: *„უკვე მივხვდი რა განსხვავებაა როდესაც „რომაში" თამაშობ და არა „მილანში". „როსონერის" ფეხბურთელი ვიყავი, როდესაც რუსომ მაისურის გაცვლა შემომთავაზა, „ბრეშასთან" გასვლით პაექრობაში კი ხელიანად არც კი მომსალმებია. „მილანში" თამაშისას არბიტრთა ასეთ არაობიექტურ ქმედებას არასდროს შევსწრებივარ და ვხდები, რომ „რომაში" ამისგან დაზღვეული ვერ ვიქნები. თუმცა, ამან არ უნდა შეგვაშინოს - ჩვენ დიდი გუნდი გვყავს, რომელიც აუცილებლად უმაღლესი მიზნების მისაღწევად იბრძოლებს. ჩვენი გატეხვა ასე იოლი არ არის და ამაში მალე დარწმუნდებით".*

გაოგნებას ვერც **როზელა სენსი** მალავს, რომელსაც კლუბი გასაყიდად აქვს გატანილი. მოვუსმინოთ პრეზიდენტს: *„ტენდენციური მსაჯობის მომსწრე ადრეც არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ ის, რაც ამ სეზონის სტარტზე ხდება, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან არ უნდა რომ წარმატებას მივაღწიოთ და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ, დავრჩები თუ არა კლუბის პრეზიდენტად, მაგრამ ერთი კი ვიცი, ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ ყოველთვის ვიბრძოლებ".*

„რომას" პრობლემებს **ჟულიო სერჟიოს** ტრავმაც დაემატა. ბრაზილიელმა კიპერმა ჯვარედინი მყესები „ბრეშასთან" მატჩის მსვლელობისას დაიზიანა, მაგრამ რადგან კლაუდიო რანიერის სამივე ცვლილება გაკეთებული ჰქონდა, თამაშის ბოლომდე ჩამთავრებამ მოუწია. ამან კიდევ უფრო გაართულა მისი მდგომარეობა და ექიმთა პირველადი დასკვნით, მინიმუმ ერთი თვით მოუწევს ლაზარეთში გადანაცვლება. არადა, ამ სეზონში სეზარი ალბათ ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „ჯალორისის" შემადგენლობაში. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, სეზარის არყოფნაში „რომას" კარს რუმინელი მეკარე **ბოგდან ლობონტი** დაიცავს.

**ლაშა წიკლაური**

● გამოხმაურება

# კმაყოფილი მწვრთნელები

სერია A-ს გასული ტურის ცენტრალური შეხვედრა რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც „ლაციომ" „მილანს" უმასპინძლა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური, საყაიმო შედეგით დასრულდა. ნამატჩევს, მასპინძელთა თავკაცი **ედუარდო რეია** შეგირდთა ასპარეზობით მეტად კმაყოფილი გახლდათ, რაც ჟურნალისტებთან საუბარში არ დაუმალავს:

*„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფრეზე ვთამაშობდით, ძალიან ცდება. ჩვენი მიზანი გამარჯვება და სამი ქულის მოპოვება იყო, თუმცა რას ვიზამთ, ყოველთვის ვერ მიაღწევ დასახულ მიზანს. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს, რადგან ჩემმა შეგირდებმა მთლიანობაში მაღალი ხარისხის ფეხბურთი ითამაშეს. ვფიქრობ, რომ ფრე ლოგიკური შედეგი იყო, თუმცა შეგვეძლო მოგვეგო კიდეც. „მილანი" ძალიან ძლიერი გუნდია, უდიდესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული და მიუხედავად იმისა, რომ მიზნად გამარჯვება გვქონდა დასახული, აღებული ქულა მაინც აქტივში უნდა ჩავიწეროთ. განვლილ შეხვედრაზე კი უფრო დეტალურად საუბარი გამიჭირდება - გამახარა იმან, რომ გაშვებული გოლის შემდეგ არ გავტყდით და მეტოქეს დიდი ძალებით შევუტიეთ".*

საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილება გამოხატა „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმაც** - ვერ გეტყვით რამდენად გულწრფელი იყო, როდესაც ამას ამბობდა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ასეთი პოზიცია დააფიქსირა: *„მართალია, მორიგი ქულები დავკარგეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ბოლო წუთზე რომ შანსი გამოგვეყენებინა და გოლი გაგვეტანა, დღეს იმაზე ვისაუბრებდით, რომ „მილანმა" თავისი თავი იპოვა და აღმასვლა დაიწყო. ეს ყველაფერი ძალიან პირობითია და არ შეიძლება ერთი კონკრეტული თამაში წყვეტდეს კრიზისშია გუნდი თუ პროგრესის გზას ადგას. მთლიანობაში შეგირდთა ასპარეზობით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან გუნდურმა მექანიზმმა კარგად იმუშავა. მოედნის ცენტრი ჩვენ გვეკავა და მეტოქეს კონტრშეტევების განხორციელების საშუალებას არ ვაძლევდით. სწორედ ასე უნდა გავაგრძელოთ და გამარჯვებები აუცილებლად მოვა. იმედი მაქვს, უკვე მომდევნო ტურში მოვიპოვებთ სამ ქულას და კრიზისზე საუბარი ამით მორჩება".*

**ლაშა წიკლაური**

● იტალია. სერია A. IV ტური

# პალერმომ იუვე გატეხა!

**იუვენტუსი–პალერმო 1:3**

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი - მოტა, ბონუჩი, კიელინი, გრიგერა - კრასიჩი, ფელიპე მელო, მარკიზიო, პეპე (46. იაკვინტა) - დელ პიერო (61. აკვილანი), კვალიარელა (46. ამაური).

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ - კასანი, მუნოსი, ბოვო, ბალძარეტი - ბაჩინოვიჩი (78. რიგონი), მილიაჩო, ნოჩერინო - პასტორე (90. დარმაინი), ილიჩიჩი - პინილა (68. ერნანდესი).

**გოლები:** 0:1 პასტორე (2), 0:2 ილიჩიჩი (62), 0:3 ბოვო (85), 1:3 იაკვინტა (87)

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 23 000

წუხელ, იტალიის ჩემპიონატის მე-4 ტურის ბოლო მატჩი გაიმართა: „იუვენტუსმა" „პალერმოს" უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. შესაძლოა, ამას ბევრი არ ელოდა, მაგრამ შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია იქიდან გამომდინარე, რაც ტურინის „ოლიმპიკოზე" ხდებოდა. „სიცილიელებმა" „ბებერ ქალბატონს" სწრაფი გოლი გაუტანეს, რის შემდეგაც **ლუიჯი დელ ნერის** გუნდი მხოლოდ მოჩვენებით უპირატესობას ფლობდა. „პალერმო" მთელი მატჩის განმავლობაში გაცილებით აზრიანად თამაშობდა და მეორე ტაიმში ის ორი გოლიც დაიმსახურა, **ილიჩიჩმა** და **ბოვომ** რომ გაიტანეს. ტურინელთაგან პრესტიჟის გოლი (თუ შეიძლება, რომ პრესტიჟზე ვისაუბროთ), **ვინჩენცო იაკვინტამ** შეაგდო. ორი ტურის შემდეგ, „იუვე" მე-15 ადგილზეა და თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა, დელ ნერის გათავისუფლების საკითხი აუცილებლად დღის წესრიგში დადგება...

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 3. ბრეშა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-5 | 9 |
| 4. კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5. ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 6. ჩეზენა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 7. კალიარი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-1 | 6 |
| 8. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| 9. სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 10. პარმა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 11. ბოლონია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 12. ჯენოა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13. ნაპოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 14. ბარი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 15. იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-7 | 4 |
| 16. პალერმო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 17. ლეჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 18. ფიორენტინა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 19. რომა | 4 | 0 | 2 | 2 | 4-9 | 2 |
| 20. უდინეზე | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

● კრიზისი

# ნევილი სიმართლეს არ ემალება

**ფილ ნევილმა** თავის ევერტონელ თანაგუნდელებს შეუძახა. მოგეხსენებათ, ქალაქ ლივერპულის ამ გუნდმა სეზონი საშინლად დაიწყო, რასაც შუა კვირაში "ქარლინგის თასზე" "ბრენტფორდთან" დამარცხებაც დაემატა. პირველი ლიგის გუნდმა მერსისაიდელებს ძირითად დროში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, 1:1 ეთამაშა და საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მიიყვანა, სადაც, როგორც მოგახსენეთ, აჯობა. მეტსაც გეტყვით, ბრენტფორდელ **ჩარლი მაკდონალდს** მე-60 წუთზე პენალტი რომ გაეტანა, ვინ იცის, ქვედალიგელებს ძირითად დროშივე გაემარჯვათ.

და ყველაზე უცნაური რა არის, იცით? ის, რომ "ევერტონს" ამ სეზონში მხოლოდ ერთი თამაში აქვს მოგებული და ისიც არა პრემიერლიგაში, არამედ "ქარლინგის თასის" წინა ეტაპზე "ჰადერსფილდთან".

"ბლექბერნთან", "ნიუკასლსა" და "ასტონ ვილასთან" დამარცხების გამო დღლისათვის **დევიდ მოიესის** გუნდი პრემიერლიგაში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.

ნევილი, რომელმაც მიმდინარე სეზონში ტრავმების გამო მხოლოდ ორ შეხვედრაში მოახერხა თამაში, თანაგუნდელებს ეუბნება, რომ ჯერჯერობით ევროსარბიელზე დაბრუნებაზე ფიქრს თავი უნდა დაანებონ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა გასავარდნთა ზონისთვის თავის დაღწევაა.

*"თავს ვერაფრით გავიმართლებთ. სიმართლეს ვერსად დავემალებით. ჩვენ ცუდად ვთამაშობდით და ამ შეხვედრებში გამარჯვებას არ ვიმსახურებდით. ბლექბერნში ვერ მოვიგეთ - უიღბლობააო. ვულვერჰემპტონში ვერ მოვიგეთ - უიღბლობააო. ბირმინგემში ვერ მოვიგეთ - უიღბლობააო. ყველა იმას იმეორებს კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ვერ მოვიგეთო. ეს ყველაფერი ტყუილია და უნდა დავივიწყოთ. დროა, თვალები ფართოდ გავახილოთ და შევხედოთ, სად ვართ სინამდვილეში. დავივიწყოთ ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა. ახლა მთავარი შაბათის თამაშზე ფიქრი და მოგებაა. როგორც ჩანს, სეზონის დასაწყისში ძალიან ბევრი ვიფიქრეთ სეზონის ბოლოზე, ხოლო ახლანდელი გასაკეთებელი დაგვავიწყდა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

● საკონტრაქტო ამბები

# მილერი რეინჯერსთან კონტრაქტს ელის

"რეინჯერსის" მწვრთნელი **უოლტერ სმიტი** გუნდის ფორვარდს **კენი მილერს** ერთობ აფასებს და ამბობს, რომ შოტლანდიის ჩემპიონი მასთან სულ მალე ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ოფიციალურად შოტლანდიის ჩემპიონს "კლაიდსდეილ ბანკის პრემიერლიგის" ჩემპიონი ჰქვია, მაგრამ, ამას არსებითი მნიშვნელობა რასაკვირველია არ აქვს.

გასულ შაბათს, "რეინჯერსისა" და "დანდი იუნაიტედის" შეხვედრაში მილერმა ორი გოლი შეაგდო, სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა რვამდე გაზარდა. სმიტმა შეგირდი შუა კვირაში სათასო შეხვედრიდან გაათავისუფლა. თასზე "რეინჯერსმა" "დანფერმლაინს" 7:2 მოუგო.

მილერისა და "რეინჯერსის" ხელშეკრულება მიმდინარე სეზონის ბოლომდეა ძალაში, შემდეგ კი გადახედვას მოითხოვს. სმიტმა "რეინჯერს ნიუზისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

*"ჩვენ ახალ ხელშეკრულებასთან საკმაოდ ახლოს ვართ. იმედი მაქვს, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში ყველა ნიუანსი შეთანხმდება და კონტრაქტსაც გავაფორმებთ. ამ სეზონში კენიმ უკვე რვა გოლი გაიტანა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ამ ეტაპზე ის საუცხოო ფორმაშია. ჩვენ ბოლო ხანს მას ამპლუა შევუცვალეთ. აქმდე მილერი ცენტრალური თავდამსხმელი იყო, ახლა კი საჯარიმოში უკნიდან შერბის ხოლმე. ის, რომ გოლის გატანისას იგი საკუთარ შესაძლებლობებში სრულიად დარწმუნებულია, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ის, რომ საგოლე პასის გადაწოდებაც კარგად ეხერხება, ხალხმა ახლალა დაინახა".*

ამასობაში "რეინჯერსმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ შოტლანდიის ჩემპიონობამ და ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლამ მის ყულაბაში ფული შეიტანა, რის წყალობითაც ბანკის ვალი 3,7 მილიონი ფუნტით შეუმცირდა. ჩემპიონს გაეზარდა წლიური ბრუნვაც: 2009 წელს ის 39,7 მილიონი ფუნტის ტოლი იყო, ახლა კი 65,3 მილიონის ტოლია.

**ილია ბაბუნაშვილი**



კენი მილერი

● ამბები

## პანამა დელი ვალდესს ჩააბარეს

ახლო წარსულში ცნობილი პანამელი ფორვარდი **ხულიო დელი ვალდესი** თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 43 წლის სპეციალისტმა პანამის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თანამდებობაზე 2011 წლის კონკაკაფის "ოქროს თასის" გათამაშების ბოლომდე იმუშავებს.

*"ჩემი ამოცანა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისთვის ნაკრების მზადების დაწყებაა, - თქვა დელი ვალდესმა, - მუნდიალის შესარჩევი ტურნირისთვის კონკურენტუნარიანი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ და სულ არ აქვს მნიშვნელობა, იმ დროისთვის გუნდის საჭესთან მე ვიდგები, თუ სხვა სპეციალისტი".*

## დიდა სამშობლოში ბრუნდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 36 წლის ბრაზილიელი გოლკიპერი **დიდა** "ფლუმინენსესთან" კონტრაქტს გააფორმებს და რვაწლიანი პაუზის შემდეგ მშობლიური ბრაზილიის ჩემპიონატს დაუბრუნდება.

ბოლო ათი წელიწადი, თუ არ ჩავთვლით 2001/02 წლის სეზონს, როცა სან პაულუს "კორინთიანსში" გაანათხოვრეს, დიდამ "მილანში" გაატარა, რომლის ღირსებაც 200-ზე მეტ მატჩში დაიცვა. თუმცა, გასულ ზაფხულში ბრაზილიელ მეკარეს "როსონერისთან" კონტრაქტი ამოეწურა და კლუბმა მისი გახანგრძლივება არ ისურვა, რის შედეგადაც დიდამ თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო.

**სლავა გასპაროვი**

ესპანეთი. სამწვრთნელო საკითხი

# ვისი თავი დაგორდება პირველად ესპანეთში?

## მწვრთნელთა დოლში ხუანმა ლილო დაწინაურდა

ესპანური პირველობა სულ 4 ტურის დაწყებულია, მაგრამ უკვე აქტუალური გახდა კითხვა - რომელი მწვრთნელის თავი დაგორდება პირველად? ესპანური მედია, კერძოდ კი „დიარიო ასი" მიიჩნევს, რომ ყველას, შესაძლოა, „ალმერიას" თავკაცმა **ხუან მანუელ ლილო დიესმა** „დაასწროს". გუნდის სტარტით უკმაყოფილო ხელმძღვანელობა გუშინ შეიკრიბა მწვრთნელის მომავალზე სამსჯელოდ. კლუბის პრეზიდენტი **ალფონსო გარსია** ძალზე უკმაყოფილოა შედეგებით, ასევე თამაშის იმ სტილით, რასაც ანდალუსიური გუნდი სთავაზობს გულშემატკივრებს. პრეზიდენტი ეჭვქვეშ აყენებს ლილოს სავარჯიშო მეთოდების მართებულობასაც. საბოლოოდ კი „ალმერიას" ბოსები შეთანხმდნენ, რომ ხუანმა ლილოს ერთი შანსი კიდევ მისცენ, მაგრამ თუკი „ალმერია" სტუმრადაც წააგებს ამ უქმეებზე „დეპორტივოს" წინააღმდეგ, მწვრთნელს თანამდებობას დაატოვებინებენ.

„ალმერიას" 4 ტურის შემდეგ სულ რალაც 2 ქულა აქვს და მხოლოდ „სარაგოსასთან" შედარებით უკეთესი გოლთა ბალანსის წყალობით არ არის ბოლო ადგილზე. ხუანმა ლილო სულ რამდენიმე თვეა, რაც „ალმერიას" თავკაცი, მან ანდალუსიური გუნდი დეკემბერში ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც მექსიკელი **უგო სანჩესი** მოხსნეს. ახლა 44 წლის სპეციალისტის ბედი კვირას „რიასორზე" გადაწყდება.

ხუანმა ლილო სხვა სპეციალისტებისგან იმით გამოირჩევა, რომ მას არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, ხოლო მწვრთნელობას ხელი... თინეიჯერობის ასაკში მოჰკიდა! ის 16 წლის იყო, როცა მშობლიური ქალაქის, ტოლოსის „ამაროზის" მთავარი მწვრთნელი გახდა და საქმეს ისე კარგად გაუძლვა, რომ 20 წლის ასაკში ტერსერა დივიზიონის კლუბ „ტოლოსაში" გადაიყვანეს.




ბასკი სპეციალისტი ესპანური ფეხბურთის ისტორიაში პრიმერა დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელი გახდა - ის ჯერ 30 წლისაც არ იყო, როცა „სალამანკას" წვრთნიდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ლილოს იმდენად მდიდარი სამწვრთნელო კარიერა აქვს, რომ უკვე ორჯერ მოასწრო მწვრთნელობის დანებება (ხან კომენტატორობდა, ხან პრესაში სვეტებს წერდა) და ისევ დაბრუნება.

სავარაუდო ტრანსფერი

# ცხოვრებაში მესამედ: სერ ალექსი მანჩესტერის თამაშს არ დაესწრო

## მიზეზი: დავიდ დე ხეა




ინგლისის ლიგის თასის მატჩში „სკანთორპსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის, პრემიერლიგელთა სათადარიგოთა სკამზე სერ **ალექს ფერგიუსონს** ვერ ნახავდით, გუნდი შოტლანდიელი სპეციალისტის გარეშე გავიდა ფონს. არა, მოხუცი ფერგი ავად არ გამხდარა, ზუსტად მაშინ, როცა მისი გუნდი ლიგის თასზე თამაშობდა, სერ ალექს ფერგიუსონი „მესტალიაზე" იმყოფებოდა და „ვალენსია"-„ატლეტიკოს" მატჩს ადევნებდა თვალყურს. თითქოს, ამაში გასაკვირი არაფერია - „ვალენსია" „მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალი მეტოქეა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ, „მირორის" ცნობით, სერ ალექსს სხვა მისიაც ჰქონდა - ის პირადად აკვირდებოდა **დავიდ დე ხეას** თამაშს.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ახალგაზრდა ესპანელი გოლკიპერის შეძენით დიდად არის დაინტერესებული და შოტლანდიელმა სპეციალისტმა განიზრახა, თავად ენახა „საქმეში" დე ხეა. ეს რომ არა, „ვალენსიას" თამაშზე დასაკვირვებლად სერ ალექსი ერთ-ერთი ასისტენტის გამოგზავნით დაკმაყოფილდებოდა. მანჩესტერში დავიდ დე ხეას ჰოლანდიელი **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელად (მალე 40 წლის გახდება) მოიაზრებენ. ინგლისში დარწმუნებულნი არიან, მას შემდეგ, რაც „ატლეტიკომ" ზაფხულში არ გაყიდა **დიეგო ფორლანი** და **სერხიო აგუერო**, მადრიდული კლუბი მზადაა 19 წლის მეკარეს შეელიოს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე.

ევროპის ლიგის პირველი ტიტულის მფლობელი „ატლეტიკო", სავარაუდოდ, 12 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეელევა დე ხეას. „იუნაიტედის" სახელმძღვანელო ბორდი მზადაა, კონტრაქტის წინასწარ გაფორმებაზე იზრუნოს, რადგან: 1. დე ხეას ფასი მომავალში მხოლოდ გაიზრდება და არ შემცირდება, 2. დაასწრონ შესაძლო კონკურენტებს, მხოლოდ ინგლისში ასეთი 2-3 კლუბია.

სხვათა შორის, დე ხეამ ბრწყინვალედ ითამაშა „ვალენსიასთან" მატჩში, ისევე როგორც პრიმერას ახალი სეზონის წინა შეხვედრებში. ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთხელ უკვე შეეცადა დე ხეას შეძენას, მაშინ უარი თავად ფეხბურთელმა და მისმა ოჯახმა თქვეს და ტრანსფერიც აღარ გაიჩარხა. მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა სიტუაციაა. 24 წელიწადია სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედს" წვრთნის და მხოლოდ მესამე შემთხვევაა, როცა ის „წითელი ეშმაკების" თამაშს არ ესწრებოდა: პირველი ორი შემთხვევა მისი შვილის ნიშნობასა და ოჯახის წევრების დაკრძალვას უკავშირდებოდა.

პორტუგალია

# მიგელს ბენტუს მისვლა ეწყინა?

„ვალენსიას" პორტუგალიელმა მარჯვენა მცველმა **მიგელმა** (სრული სახელია **ლუიშ მიგელ ბრიტო გარსია მონტეირო**) საჯაროდ განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერას თავს ანებებს და პორტუგალიის ნაკრების მაისურას აღარასოდეს მოირგებს. 2010 წლის მუნდიალის შემდეგ უკვე მეოთხე პორტუგალიელმა ფეხბურთელმა გამოაცხადა ამის შესახებ. მანამდე ნაკრებიდან წავიდნენ: **დეკუ, სიმაო** და **პაულუ ფერეირა**.

მიგელმა ნაკრებში 59 მატჩში (1 გოლი) მიიღო მონაწილეობა. მიგელმა ეს განცხადება 48 საათის მერე გააკეთა, რაც ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი, **პაულუ ბენტუ** დაუნიშნეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ამაყობს ეროვნულ გუნდში გატარებული წლებით და მწვრთნელებს სთხოვა ოქტომბრის მატჩებისთვის ტყუილად ნუ გამოიძახებენ. 30 წლის ლისაბონელი „სპორტინგის" სკოლის აღზრდილია, თუმცა პროფესიულ დონეზე სწორედ „სპორტინგის" დაუძინებელი მტრის, „ბენფიკას" რიგებში უთამაშია. 2005 წელს „ვალენსიამ" „ბენფიკას" 7,5 მილიონი ევრო გადაუხადა მიგელის სანაცვლოდ და მას შემდეგ მარჯვენა მცველი „ლოს ჩეს" ღირსებას იცავს (142 თამაში, 2 გოლი). სხვათა შორის, მიგელი ენრიკე ზღვაოსნის ორდენოსანია.




ჰოლანდია

# გაიცანით: ასტეროიდი კრუიფი




„ფუტბალ ინტერნეშნლის" ცნობით ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდის, **იოჰან კრუიფის** საპატივცემულოდ ერთ-ერთ ასტეროიდს მისი სახელი უწოდეს. აქამდე ასტეროიდს გაცილებით პროზაული „სახელი" - ნომერი: 14282 - ერქვა. „კრუიფი" 9-კილომეტრიანი დიამეტრის ციური სხეულია, ის მზის გარშემო ერთ ბრუნს 5 წელიწადს, 3 თვესა და 18 დღეს ანდომებს. ეს ასტეროიდი ჰოლანდიელმა მეცნიერებმა 1960 წელს აღმოაჩინეს. სამეცნიერო თემაზე მწერალმა ჟურნალისტმა **კარლ კოპესხაარმა** ახლახან მშობლიურ ქვეყანაში კამპანია წამოიწყო უსახელო ასტეროიდისთვის „კრუიფის" სახელის მისანიჭებლად და მან მიზანს მიაღწია. სხვათა შორის, კრუიფი პირველი ფეხბურთელი არაა, რომლის სახელობის ასტეროიდები არსებობს: მზის ირგვლივ ორბიტაზე ტრიალებენ ასტეროიდები „იოზეფ ბიკანი" და „ფერენც პუშკაში".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ესპანეთი

ლა ლიგა. IV ტური

# შეუჩერებელი ნილმარი

წუხელ ლა ლიგის მე-4 ტური დასრულდა, „დეპორტივოს" მინიმალური სხვაობით დამარცხების შემდეგ ლიდერთა მარაქაში „ვილიარეალიც" გაერია. „ელ მადრიგალზე" პირველ ტაიმში თავი ბრაზილიელმა ფორვარდმა **ნილმარმა** გამოიჩინა. „ვილიარეალის" შემტევმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაუტანა **მანუს**. ეს ნილმარის მე-4 გოლია 4 ტურში და ბრაზილიელი ბომბარდირთა დავაში გაიჭრა წინ.

ამის შემდეგ ნილმარს კიდევ ერთხელ (ახლა უფრო) მართებდა გოლის გატანა, მაგრამ საგოლე მომენტი ქარს გაატანა - „დეპორტივო" კვლავაც მოგების გარეშე რჩება.

„სევილიამ" შინ ვერ შეძლო „რასინგის" დამარცხება. **ანტონიო ალვარესის** გუნდს რომ გაემარჯვა ბურთების უკეთესი შეფარდებით „რეალს" ასწრებდა და პირველ ადგილზე გადადიოდა. თავიდან სწორედ ასეც ვითარდებოდა მოვლენები, უკვე მე-13 წუთზე **ალვარო ნეგრედომ** პენალტით დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მე-2 ტაიმის მე-9 წუთზე **პაბლო პინილიოსმა** გაათანაბრა.

### ხეტაფე–მალაგა 0:2

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მანე - ბოატენგი, კასკერო (58. ალბინი) - არისმენდი (64. პ. რიოსი), პარეხო (64. სანჩესი), მანუ - კოლუნგა.

**მალაგა (4-3-3):** რუბენი - გამესი, სტადსგაარდი, ველიგტონი, მტილიგა - ფერნანდო, ს. სილვა, აპონიო (71. გომესი) - ელიზეუ (93. სება), რონდონი, ქვინსი (81. ხუანმი).

**გოლები:** 0:1 რონდონი (54), 0:2 აპონიო (62-პენ)

**გაფრთხილება:** რაფა, პარეხო-სტადსგაარდი, გამესი, მტილიგა, ხუანმი

**გაძევება:** რაფა (61), გამესი (66)

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 24-15 (7-5); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 8 000

### ვილიარეალი–დეპორტივო 1:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი, ა. ლოპესი, მარჩენა, მუსაჩიო, კაპდევილა - ბ. ვალერო (86. გონსალო), სენა, ბრუნო, კასორლა - ნილმარი, როსი (82. კანი).

**დეპორტივო (4-2-3-1):** მანუ - ლაურე, ლოპო, კოლოტო, მორელი - ჟუკა (60. ლასადი), პერესი - საული, როდრიგესი, დეზმარე (74. გუარდადო) - ადრიანი (66. დიონი).

**გოლი:** 1:0 ნილმარი (33)

**გაფრთხილება:** მარჩენა, ბ. ვალერო-ლაურე, ლოპო, საული

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 19-14 (8-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 500

### სევილია–რასინგი 1:1

**სევილია (4-1-4-1):** პალოპი - კონკო, ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო - ზოკორა - ჩიგარინი (69. ხოსე კარლოსი), ალფარო (79. აკოსტა), გუარენტე, პეროტი - ნეგრედო (74. ლ. ფაბიანო).ს

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - პინილიოსი, ერნიკე, ტორეხონი, სისმა - არანა (84. ბედია), ციოლისი, დიოპი, ადრიანი (70. ლასენი) - როსენბერგი (59. ნაუელპანი), მუნიტისი.

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (13-პენ), 1:1 პინილიოსი (54)

**გაფრთხილება:** ტონიო, ციოლისი

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-13 (4-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 2. ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 3. ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 5. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 6. ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 7. ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 8. მალაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 9-8 | 6 |
| 9. ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-8 | 6 |
| 10. სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 11. ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12. მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 13. ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 14. ერკულესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 15. სოსიედადი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 16. რასინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 17. დეპორტივო | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 18. ლევანტე | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 19. ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 20. სარაგოსა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

### მომდევნო ტური

25 სექტემბერი: სპორტინგი-ვალენსია, ლევანტე-რეალი, ბილბაო-ბარსელონა. 26 სექტემბერი: ესპანიოლი-ოსასუნა, დეპორტივო-ალმერია, მალიორკა-რეალ სოსიედადი, რასინგი-ხეტაფე, ერკულესი-სევილია, ატლეტიკო-სარაგოსა. 27 სექტემბერი: მალაგა-ვილიარეალი.



ნილმარი: 4 გოლი 4 თამაშში

ლიგის თასი

# ლივერპული შეარცხვინეს

"ლივერპული" შერცხვა – "ქარლინგის" იმავე ლიგის თასზე "ნორთჰემპტონმა" პენალტებში დაამარცხა, თუმცა, როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, დაამარცხა კი არა, შეურაცხყო. ეს "ნორთჰემპტონი" მეორე ლიგის გუნდია, რომელმაც გასულ ჩემპიონატში მაინცდამაინც იქაც ვერ ივარგა, მე-11 ადგილზე გავიდა. მის "სიქსფილდ სთედიუმზე" სულ 7653 კაცი ეტევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი დედაბუდიანად რომ აყრილიყო და "ენფილდზე" თავისი გუნდის მხარდასაჭერად მისულიყო, იქაურობას მაინცდამაინც ვერ დაეტყობოდა. სამაგიეროდ, მოედანზე ფეხბურთელები „დაეტყვნენ". მატჩის შემდეგ მერსისაიდელთა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** განაცხადა:

*"ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია გავაკეთო ბოდიშის მოხდაა. პატიებას ვთხოვ ფანებს, რომლებიც ჩვენგან გამარჯვებას ელოდნენ. რასაკვირველია, ფეხბურთელებმა პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ. მეც ჩემი წილი პასუხისმგებლობა მაწევს, შემადგენლობა ხომ ფაქტობრივად მთლიანად შევცვალე, მაგრამ მოთამაშეებს, რომლებიც მოედანზე იყვნენ, მაინც შესწევდათ "ნორთჰემპტონის" დამარცხების ძალა.*

*როდესაც ეთამაშები გუნდს, რომელიც სამი ლიგით დაბლაა, რასაკვირველია, გამარჯვებას გეგმავ და თუ ვერ იგებ, კრიტიკისთვის უნდა იყო მზად. ჩვენ ყველამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიტვირთოთ. "ნორთჰემპტონთან" წაგება "ლივერპულისთვის" დიდი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო".*

საინტერესოდ წარიმართა თავად შეხვედრაც. თავიდან ანგარიში მერსისაიდელებმა გახსნეს, თუმცა სტუმრებმა გაქვითეს და საქმე დამატებით დროში გადაიტანეს. იქ, "ნორთჰემპტონი" მრისხანე მეტოქეს არ შეეპუა, დაწინაურდა, თუმცა **დავიდ ნ'გოგმა** (რომელმაც პენალტების სერიაში ვეღარ ივარგა) გაათანაბრა. პენალტებში "წითელთაგან" ვერც **ნათან ეკლესტონმა** იყოჩაღა.



სოტირიოს კირიაკოსი და როი ჰოჯსონი

შეჯიბრებას გამოეთიშა ინგლისის ჩემპიონი "ჩელსიც", რომელსაც "ნიუკასლმა" მოუგო 4:3. ეს შეხვედრა "სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართა და თავისი შვიდი გოლით ძირითად დროში ჩაეტია. დასავლეთლონდონელებს **გაელ კაკუტა, სალომონ კალუ** და **იოსი ბენაიუნი** დაუშავდათ. საინტერესოა, რომ ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ "კაჭკაჭებმა" შეყარეს სამი გოლი. როგორც დრამებისა და თრილერების წესია, "ჩელსიმ" ანგარიში გაქვითა, მაგრამ 90-ე წუთზე **შოლა ამეობიმ** ამ შეხვედრაში თავისი მეორე და გამარჯვების გოლი გაიტანა.

"ქარლინგის თასის" მფლობელმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" მწვრთნელის, სერ **ალექს ფერგიუსონის** არყოფნის მიუხედავად "სკანთორპ იუნაიტედთან" მოსაგები თამაში მოიგო – 5:2. ფერგიუსონი ესპანეთს გახლდათ, ჩემპიონთა ლიგის მეტოქის "ველენსიას" დასაზვერად.

"უიგანმა" "პრესტონს" 2:1 მოუგო, რაც ჩვენი მკითხველისთვის შეიძლება ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ ბოლო წუთამდე ბრძოლის ინგლისური წესი ამ შეხვედრის მონაწილეებმაც დაიცვეს და **შარლ ნ'ზოგბიამ** გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე გაიტანა.

"ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა" შეიხ **მანსურის** "მანჩესტერ სიტის" მოუგო ასეთივე ანგარიშით, 2:1. რომ დათვალეს, ისტლენდელებს მოედანზე 100 მილიონი ფუნტის ხალხი ჰყავდათ გაყვანილი, მაგრამ რად გინდა. რომ შეატყო საქმე ცუდად იყო, **რობერტო მანჩინიმ** მოედანზე **ჯეიმს მილნერიც** შეუშვა და **დავიდ სილვაც**, მაგრამ ვაგლახ... მატჩის შემდეგ მანჩინიმ თქვა, სულაც არ ვნანობ ამ შეხვედრაში უძლიერესი შემადგენლობა რომ არ ვათამაშეო.

**ჟერარ ულიემ** კი "ასტონ ვილას" თავკაცის რანგში თავისი პირველი ნაღდი თამაში "ბლექბერნთან" 3:1 გამარჯვებით აღნიშნა.

**ილია ბაბუნაშვილი**

# მილა და სხვა ვარსკვლავები ყატარს ლობირებენ

ყატარის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავისი განაცხადის ელჩობა სახელგანთქმულ კამერუნელ **როჟე მილას** დააკისრა.

*"მერწმუნეთ, ყატარის განაცხადი უამრავ ინოვაციურ ასპექტს შეიცავს და წარმატების დიდი შანსიც ექნება,* - განაცხადა მილამ. - *არსებობს ალბათობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი უდაბნოში გაიმართოს. ყატარის სტადიონებზე ჰაერის გაგრილების სისტემებია დამონტაჟებული და ფეხბურთელებს თუ მაყურებლებს არანაირი დისკომფორტი არ ექმნებათ".*

ყატარის განაცხადს სხვა ელჩებიც ჰყავს - **ზინედინ ზიდანი, გაბრიელ ბატისტუტა, ბორა მილუტინოვიჩი** და **რონალდ დე ბური**, ხოლო 2022 წლის მუნდიალის მასპინძელი ქვეყანა 2 დეკემბერს დასახელდება. ფიფას აღმასკომი არჩევანს ყატარს, აშშ-ს, ავსტრალიას, იაპონიასა და, შესაძლოა, რუსეთს შორის გააკეთებს.

**სლავა გასპაროვი**




განახლებული რესტორანი თეთრი სახლი

გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

ღიაა ყოველდღე 11:00 –სთ-დან.

მ ა ლ ე

რესტორნის მეორე სართულზე გაიხსნება საბავშვო და თინეიჯერული სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ:.479567, 893907733, 899104344


სკანდალი



# ტიტუს ბრამბლმა ქალი გააუპატიურა

პრემიერლიგის კიდევ ერთი ფეხბურთელი გახდა სექსსკანდალის მთავარი გმირი. ნიუკასლის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში თინეიჯერი გოგოს გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს "სანდერლენდის" 29 წლის მცველი **ტიტუს ბრამბლი**. ის "ვერმონტ ოტელში" დილის 6 საათზე აიყვანეს. მას 19 წლის გოგოს გაუპატიურებას აბრალებენ.

ტიტუს ბრამბლთან ერთად დააკავეს მისი 30 წლის ძმა **ტესფაიე ბრამბლიც**, რომელიც სანდერლენდელისგან განსხვავებით, ნიჭიერი ფეხბურთელი არ არის - მხოლოდ და მხოლოდ ალმოსავლეთ საგრაფოთა პრემიერდივიზიონის კლუბ "ლეისტონში" თამაშობს.

ძმები ბრამბლები ნიუკასლის პოლიციის ოფისში წაიყვანეს და დაკითხეს. პოლიციელების აზრით, საჭიროა კიდევ ერთი კაცის დაკითხვა. სამართალდამცავთა პრესმდივანმა მოკლედ და მშრალად განაცხადა:

*"ჩვენთან შემოვიდა ცნობა ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ სასტუმროში, დილის საათებში ქალის გაუპატიურების შესახებ. გაუპატიურების ეჭვით დაკავებულია ორი კაცი, 29 და 30 წლის".*

ტაბლოიდებმა დაადგინეს, რომ დაზარალებულის ვერსიით ის მეგობართან ერთად სვამდა. ეს სამშაბათს, "სანდერლენდის" მიერ "ვესტ ჰემის" 2:1 ძლევიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა. ბრამბლი, რომელსაც იმ შეხვედრაში არ მონაწილეობდა თავის კამპანიასთან ერთად "ბეიბი ლინჩში" ატარებდა დროს. ამბობენ, რომ ამ კამპანიაში იყო ორი გოგოც, ოღონდ დაზარალებული და მისი მეგობარი თუ სხვა, ვერ გეტყვით. ცნობილია, რომ ამავე საღამოს ბრამბლს მისი ყოფილი გუნდის "უიგანის" გულშემატკივართან მოუვიდა კონფლიქტი. ფანი ბარიდან "მეპანღურეებს" გაუგდიათ.

მავანმა მოწმემ თქვა, რომ ბრამბლი, მისი ძმა და კიდევ ორი კაცი ძალიან ბევრს სვამდნენ. თავად ბრამბლი ხან ერთ გოგოს გამოელაპარაკებოდა და ხან მეორეს, ვერ გეტყვით ვინ იყვნენ ის გოგონები, მაგრამ ბარი მათთან ერთად კი დატოვა, ორივენი მართლაც ძალიან ლამაზები იყვნენო.

ამის შემდეგ ფაქტები უსაშველოდ არეულია და მათში გარკვევა შორს წაგვიყვანდა. გაუპატიურებული გოგო რა მარშრუტით და როგორ მოხვდა სასტუმროს ოთახში ძალიან ბუნდოვანია. ფაქტი ერთია, ძმები ბრამბლები ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. პოლიციელებმა მოიიყვანეს ფსიქოლოგები და ქალები მათ დააკითხინეს. ბუნებრივია ჩატარდა სამედიცინო შემოწმებაც.

**ილია ბაბუნაშვილი**

ბიზნესი პრემიერლიგაში

# იხვი დონალდი და მანჩესტერ სიტი დაძმობილდებიან

კომპანიას "უოლდ დისნეი" აპირებს "ჩელსისთან" თანამშრომლობას შეეშვას და ახალი კონტრაქტი "მანჩესტერ სიტისთან" გააფორმოს. ბედისირონიით ეს ამბავი მაინცდამაინც მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც პრემიერლიგის ეს ორი უმდიდრესი კლუბი ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს - შეხვედრა შაბათს, ისტლენდზე, საქართველოს დროით 15 საათსა და 45 წუთზე დაიწყება. გართობის ინდუსტრიის მსოფლიოში უდიდესი კომპანიის გადაწყვეტილება "დეილი მეილმა" მოსდო ქვეყანას.

კომპანია "უოლტ დისნეიმ" ფეხბურთში თავისი გავლენა 2007 წელს ტელეკომპანია ESPN-ის შეძენით გააძლიერა. საქმეში ჩახედული ხალხისთვის ადვილი მისახვედრია, რომ "დისნეისთან" საქმე ამერიკული კონტაქტებით ცნობილმა **გერი კუკმა** გააფორმა. კუკი "სიტის" აღმასრულებელი შეფია. არადა, "დისნეი", როგორც პარტნიორი, "ჩელსის" ბიზნესსტრატეგიის სერიოზული შემადგენელი ნაწილი გახლდათ. დასავლეთლონდონური კლუბი ამ კომპანიასთან ურთიერთობით დიდი მოგების ნახვას აპირებდა.

რასაკვირველია, კომპანია "უოლტ დისნეი" "ჩელსის" კონტრაქტს არ გაუწყვეტს. მხარეებს შორის ხელშეკრულებას ვადა 2011 წელს ისედაც ეწურება და სწორედ ამის მერე გააფორმებენ ამერიკელები კონტრაქტს კლუბთან, რომელიც უფრო პერსპექტიულად მიაჩნიათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანელი ტალანტები

# ვინ უფრო დიდი ბიჭი გაიზრდება?

## გერმანული ფეხბურთის უკვე ამოსული ვარსკვლავები უდიდესი პერსპექტივით

საფეხბურთო გერმანია დღესდღეობით ყველაზე მეტად ორი ფეხბურთელით ამაყობს - **თომას მიულერით** და **მესუთ იოზილით**. რაც ყველაზე მთავარია, ორივე 21 წლისაა და ექსპერტები ორივეს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში მიულერმა და იოზილმა დაამტკიცეს, რომ მათზე ავანსები ტყუილად არ გაცემულა.

მიულერმა „რომას" იშვიათი სილამაზის, ტექნიკურად ძალიან რთულად შესასრულებელი გოლი გაუტანა და ამით „ბაიერნის" გამარჯვებას (2:0) საფუძველი ჩაუყარა, მატჩის შემდეგ კი თქვა: *„კარში დარტყმა ძალიან სწრაფად, წამის მეათედში გადავწყვიტე. უბრალოდ ვიფიქრე, რომ უნდა დამერტყა. გაოცებისგან მეც პირი დავაღე, როცა ბურთი იტალიელების კარის ბადეში გაეხვია."*



თომას მიულერი

იოზილმა კი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში, ამსტერდამის „აიაქსთან" გაიბრწყინა - გარდა იმისა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში უნაკლოდ თამაშობდა, საგოლე პასი გააკეთა და როცა **ჟოზე მოურინიომ** შეცვალა, მას მთელი „სანტიაგო ბერნაბეუ" ფეხზე წამოუდგა.

*„ეს ბიჭი დღითიდღე მაოცებს! „რეალის" შემადგენლობაში პირველივე თამაშებში ასე უნაკლოდ ასპარეზობა ძალიან ძნელია. არ ველოდი, რომ მესუთი აქაურობას ალღოს ასე სწრაფად აუღებდა. ძალიან ძნელია ისიც, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკას თავი შეაყვარო და თანაც ასე სწრაფად. იოზილი ჯერჯერობით უნაკლოდ თამაშობს,"* - ეს მოურინიოს სიტყვებია.

*„მესუთმა გალაკონცერტი ჩაატარა! - წერდა „მარკა", - იოზილმა ესპანური საერთოდ არ იცის და მიუხედავად ამისა, თანაგუნდელებს იდეალურად უგებს. ენის ცოდნა ამისთვის საერთოდ არ სჭირდება. მისი ენა ფეხბურთია!"*

გერმანიაში კი დაფიქრდნენ: მიულერი თუ იოზილი - ვინ უფრო „დიდი ბიჭი" გაიზრდება? მიულერი „ბაიერნის" აღზრდილია და ცოტა ხნის წინ მიუნხენურ გრანდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლამდე აქვს. იოზილი კი გელზენკირხენელია, „ვერდერში" თამაშიც მოასწრო და მადრიდში ამ ზაფხულს სწორედ ბრემენიდან მოხვდა - „რეალმა" „ვერდერს" 18 მილიონი გადაუხადა.

„ბილდმა" ექსპერტებს შორის პატარა გამოკითხვა ჩაატარა იმის შესახებ, თუ ვის უფრო დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

„ვერდერის" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**: *„მესუთს თავიდანვე ეტყობოდა, რომ უდიდესი პოტენციალი აქვს. პირადად მე ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ „რეალის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდებოდა. მიულერიც გენიალურია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მესუთს მეტი პოტენციალი აქვს."*

გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი **ლოთარ მათეუსი**: *„მიულერი უკვე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაშობს და ვარსკვლავად სუპერგრანდში ჩამოყალიბდა. იოზილი კი კარგ გუნდში თამაშობდა, სუპერგრანდში კი მხოლოდ ახლახან გადავიდა. ჩემი აზრით, ორივეს უდიდესი მომავალი აქვს. არ მომწონს, ერთმანეთს რომ ადარებენ და არ მინდა, რომელიმეზე ვთქვა, რომ მას უფრო დიდი მომავალი აქვს. ფაქტი ისაა, რომ გერმანიის ნაკრები ყველა შემთხვევაში მხოლოდ მოგებული დარჩება. იოზილი იდეალური მეპასეა, მიულერი კი გოლეადორის ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელი."*

**შტეფან ეფენბერგი**: *„ჩემი აზრით, თომას მიულერი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო ტალანტია. ვფიქრობ, ლუის ვან გაალს მთელმა გერმანიამ დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს იმისათვის, რომ თომასი აღმოაჩინა და მას ენდო."*

თვითონ **ვან გაალი** კი აი, რას ამბობს: *„როცა თომასი მოედანზეა, მისგან ყოველ წამს გოლის გატანას ველი. მიულერი ყოველთვის საჭირო დროს, საჭირო ადგილზეა - სწორედ ამიტომ მიყვარს ასე ძალიან."*

ფაქტია ისიც, რომ გერმანიას ორი ასეთი ტალანტი ერთად დიდი ხანია, არ ჰყოლია. ბოლოს ასეთი დისკუსიები **ბასტიან შვაინშტაიგერისა** და **ლუკას პოდოლსკის** ყმაწვილკაცობის დროს მიდიოდა. შვაინი დიდ ფეხბურთს თამაშობს, პოდოლსკიმ კი ვერა და ვერააწყო კარიერა ისე, როგორც მისგან ელიან. გერმანიაში იმედოვნებენ, რომ პოლდის ბედს არც იოზილი გაიზიარებს და არც მიულერი...

გოტფრიდ **ლენცი**



მესუთ იოზილი



# ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა

## გოგშელიძე გამონწურულ ლიმონს შეადარეს

მოსკოვში დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის თაობაზე ბევრი შეფასება და კომენტარი გაკეთდა, თუმცა ჩვენ მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ ერთი მათგანიდან, რომელიც **გიორგი გოგშელიძეს** (96) ეხება. მისი ავტორი რუსთა სახელოვანი ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ხუთ-ხუთგზის, ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი **მახარბეკ ხადარცევია** და მსოფლიოს პირველობაზე 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამართულ ფინალურ შეხვედრას ეხება. შეგახსენებთ, რომ იქ ერთმანეთს ოსები - რუსეთის ნაკრების წევრი, ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** და აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე ოლიმპიური პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ხეტაგ გოზიუმოვი** შეხვდნენ. საკმაოდ დაძაბული შეხვედრა დამატებით დროში გოზიუმოვმა მოიგო და პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, რითაც გაცალოვს ამ ტიტულის მეხუთედ მოგების შანსი წაართვა. თავადაც ოსმა ხადარცევმა თანამემამულეთა შეხვედრას ასეთი კომენტარი გაუკეთა: *„ამ შეხვედრისგან ბევრად მეტს მოველოდი - ფინალში გავიდა ორი მაღალი კლასის მოჭიდავე, ორივე მდიდარი ტექნიკური არსენალით, რომელიც, მთლიანობაში, ვერ ვიხილეთ. გასაგებია, რომ ისინი ბევრჯერ შეხვედრიან და კარგად იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ სამ პერიოდში ერთადერთი შეტევა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სპორტსმენები კი არ ჭიდაობდნენ, ხელებით უბიძგებდნენ ერთმანეთს. ერთადერთი შეტევაც გოზიუმოვმა გააკეთა და ამიტომ საბოლოო შედეგს კანონზომიერად მივიჩნევ“.*

ამის შემდეგ ხადარცევმა იმ შეცდომებზეც ილაპარაკა, რაც, მისი აზრით, გაცალოვმა დაუშვა. ჩვენთვის საინტერესოც სწორედ ეს მონაკვეთია, რადგან გოგშელიძე აქ ახსენა. *„ვფიქრობ, ფინალში გაცალოვმა არასწორი ტაქტიკა აირჩია. ფიზიკური ძალით გოზიუმოვი არაფრით ჩამოუვარდება ჩვენს ფალავანს. ეგ კი არა, შეიძლება, აღემატება კიდეც. ამიტომ დგომში ჭიდაობაში გაცალოვს მასთან შანსი არ ჰქონდა. მგონი, აჯობებდა, ჩვენებურს ფინალშიც იგივე გეგმა აერჩია, რომლითაც თავის კიდევ ერთ უმთავრეს კონკურენტთან - ქართველ გიორგი გოგშელიძესთან იჭიდავა. მან გოგშელიძეს მაღალი ტემპი შესთავაზა, ხოლო ყველა შეტევა ცრუ მანევრით მთავრდებოდა. ამიტომ შეხვედრის ბოლოს გოგშელიძე გამონწურულ ლიმონს ჰგავდა, გაცალოვმა კი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. შესაძლოა, ამ შეხვედრამ მას ბევრი ძალაც წაართვა, რაც ფინალში არ ეყო. თუ ასეა, მაშინ გაცალოვი ფუნქციურად არ ყოფილა მზად“.*

ცხადია, ხადარცევი ძირითად აქცენტს გაცალოვზე აკეთებს, რაც სულაც არაა გასაკვირი - თავისი ქვეყნის ფალავანი უფრო ადარდებს, მაგრამ რასაც ჩვენებურზე ამბობს, საყურადღებო უნდა იყოს გოგშელიძისთვისაც, ჩვენი მწვრთნელების და ფედერაციისთვისაც. რუსულ საჭიდაო ფორუმებზე ოსი თუ ჩრდილოკავკასიელი ქომაგების დაწერილს, გოგშელიძე ძალიან მაღალი დონის მოჭიდავეა, ამ წონაში ტექნიკურად და ფიზიკურად საუკეთესო, მაგრამ ზარმაცია და საკმარისად არ მუშაობსო. ხადარცევს მთლად ვერ დავეთანხმებით, რომ თითქოს გაცალოვთან შეხვედრის ბოლოს ლიმონივით იყო გამონწურული, მაგრამ გამძლეობა კი მეტი მოეთხოვებოდა. სავარჯიშო პროცესისადმი მის არაპროფესიულ დამოკიდებულებაზე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ამასწინდელ ალმასკომზეც ითქვა. ვიმედოვნებთ, ამიერიდან მაინც ყველა მხარე სათანადო დასკვნას გამოიტანს - სპორტსმენიც, მწვრთნელთა კორპუსიც (როგორც ნაკრების, ასევე - პირადი) და ფედერაციაც, რომელიც ყველაფერს სრულად უნდა აკონტროლებდეს, ასეთი მიდგომა კი იმ დიდ შედეგს მოიტანს, რასაც გოგშელიძისგან ყველა ტურნირზე ველით.

**ირაკლი თავაძე**



გიორგი გოგშელიძე



**ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში, ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის საქართველოს ნაკრებს ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი ერგო. ქართველთა წარმატებულ გამოსვლას სათავე 55 კგ-ში მოასპარეზე გორელმა ძიუდოისტმა ოთარ კაიდარაშვილმა დაუდო. პირველი სწორედ ის დადგა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. შინ დაბრუნებულ ოთარს გუშინ გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში მწვრთნელებმა და თანაქალაქელმა ფალავნებმა შეხვედრა მოუწყვეს.**

● ინტერვიუ ოთარ კაიდარაშვილთან

## მეც დამიფასდა და მწვრთნელებსაც

— ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მთლად გამოუცდელი ნამდვილად არ ვიყავი, ჭაბუკთა შორის კონტინენტის პრიზიორიც ვარ, მაგრამ ახლა უწინდელზე გაცილებით უკეთ ვიყავი მომზადებული და ოქროს მედლის მოპოვების იმედიც მქონდა. პირველი მოწინაალმდეგის, უკრაინელი ვალენტინ კოპილოვის იპონით დამარცხების შემდეგ სტიმული უფრო მომემატა. მერე ფიზიკურად ძლიერ აზერბაიჯანელ ელსევარ სადიგზადეს ტექნიკური არსენალით ვაჯობე — ერთი იუკოთი ვძლიე. ჰოლანდიელ იანიკ კლაპროტთან პაექრობაშიც გავიმარჯვე და ფინალისკენ გამეხსნა გზა.

**— ფინალში კი, როგორც ვიცით, ყველაზე მეტად გაგიჭირდა გამარჯვება.**

— ფინალში მოგება არავისთვისაა იოლი. აქ ჩემმა მეტოქემ, სომეხმა გრიგორ ივანიანმა წლეულს გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე ოქროს მედალი მოიპოვა, ჩეხეთში კი, სადაც მე მეორე ადგილით დავკმაყოფილდი, ისიც ასპარეზობდა, მაგრამ სამეულს მიღმა დარჩა. ბულგარეთში ჩვენი უშუალო დაპირისპირება მართლაც ძალიან დაძაბული გამოდგა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, დამატებითში მე ვაჯობე. ბოლომდე ბრძოლა, ფაქტობრივად, არ გამჭირვებია.

**— შენმა ოქროს მედალმა, ბუნებრივია, თანაგუნდელებიც წაახალისა...**

— ორმაგად გამიხარდა, რომ გუნდისთვის სახარბიელო სტარტი ავილე. ბატონი სოსო ლიპარტელიანი თავიდანვე მთხოვდა, მედალი აუცილებლად უნდა მოიპოვოო. ბედნიერი ვარ, რომ გავუმართლე. აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონ სოსოს და ჩემს პირად მწვრთნელებს ანზორ თენაძესა და ნიკო ბიბილაშვილს ამ ოქროს მედალში ძალიან დიდი წილი უდევთ! მიხარია, რომ გაწეული შრომა მათაც დაუფასდათ და მეც!

**— წლევანდელი სეზონი მსოფლიოს ჩემპიონატით სრულდება, იქაც ოქროს მედლისთვის იბრძოლებ?**

— ცდას არ დავაკლებ, რომ ეს შედეგი მსოფლიოზეც გავიმეორო. საბრძოლო განწყობა შენარჩუნებული მაქვს, დასახვენს ვარჯიშებზე დავხვენ.

**— ფიზიკურ მომზადებაზე მეტი გაქვს სამუშაო თუ ტექნიკურზე...**

— მეტ-ნაკლებად ორივეზე. წლეულს ახალგაზრდებში ჩემი ბოლო სეზონია, გაისად დიდებში მომიწევს ჭიდაობა და იქ წარმატებული ასპარეზობისთვისაც საფუძველი მაქვს ჩასაყრელი. მომავალსაც იმედით ვუყურებ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ჩოგბურთი

## ტატიშვილმა სტივენსონს კიდევ ერთხელ მოუგო

ამერიკის ქალაქ ალბუკერკის საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) პირველი ეტაპი გაიარა მე-5 ნომრად განთესილმა **ანა ტატიშვილმა** (152). ჩვენებურმა ერთ დროს მსოფლიოს მე-18 ჩოგანი, ამერიკელი **ალექსანდრა სტივენსონი** (323) გააგდო - 7:6 (2), 6:3. ტატიშვილი მერვედფინალში ამერიკელ **ჯული დიტის** (359) დაუპირისპირდა (შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა).

ამერიკულ კოსტა მესაში **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** პირველ წრეში ნორვეგიელ **ადრიან ფორბერგს** მოუგო - 6:1, 6:4, მერვედფინალში კი უკრაინელ **ოლექსი ჟორნიაკს** ხვდება. იტალიურ ბრუზაპორტოში **ლადო ჩიხლაძე** მერვედფინალში დამარცხდა პირველ ნომრად განთესილ ხორვატ **ფილიპ პრპიჩთან** (302) - 6:7 (5), 4:6 და სარეიტინგო ქულის გარეშე დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

● სუმოს სამყარო. აკი ბაშო (ტოკიო). 12-26 სექტემბერი

## ორი დაბინავდა, დარჩა ტოჩინოშინი

გუშინ შემოდგომის ბაშოს მე-12 დღისთვის ორი კაჩი კოში ვისურვეთ და აგვისრულდა კიდეც - ორმა ქართველმა, **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** და **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** უკვე დაიბევეს დადებითი ბალანსი და აქედან გამომდინარე სიკეთეები. მოგეხსენებათ, სუმოს სისტემა სწორედ დადებით და უარყოფით (მაკე კოში) ბალანსზეა აგებული - ვინც ბაშოს კაჩი კოშით დაასრულებს, მან აუცილებლად წინ უნდა წაიწიოს რეიტინგში, ვინც არა - იერარქიის კიბეზე უკან უნდა დაიხიოს. მე-8 მოგება ყოველთვის გადამწყვეტია, რადგან ბაშო 15 დღე გრძელდება, 8 კი უკვე დადებითი ბალანსის ტოლფასია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს კაჩი კოში გაგამარუსთვის იყო, რომელიც მე-15 მაეგაშირაა და გავარდნის საფრთხის წინაშე იყო. 2-ცენტნერიანი ქართველი პირველად დაასრულებს ბაშოს უმაღლეს დივიზიონში დადებითი ბალანსით, ჩვენებური აუცილებლად დაწინაურდება რეიტინგში და დაქვეითების შიში აღარ ექნება ისე იჭიდავებს შემდგომ ბაშოზე. თეიმურაზს ბოლო სამი ორთაბრძოლის გამოყენება შეუძლია უფრო დიდი ნახტომის შესასრულებლად რეიტინგში, ხოლო „შავი“ ზღვა ელიტის ელიტას, სენიაკუს რანგის რიკიშებს დაუახლოვდება - მაღალი რანგის მაეგაშირა გახდება.



კოკაიმ ცაციათი სუკუინაგეს ილეთი ისე ლონივრად შეასრულა, რომ მონლოლი „არწივი“ **ტამავაში** მაყურებელთა პირველ რიგებში ისროლა. გაგამარუ ისეთი ძალით მიაწვა **ტოსაიუტაკას**, რომ ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო და ზურგით დოჰიოზე დაეცა. იდეალურ შემთხვევაში ჩვენებურებს 11-11 მოგებით შეუძლიათ ბაშოს დასრულება. კოკაი ყოჩალ **იოშიკაძეს** (10-2) ერკინება (7:6 ქართველის სასარგებლოდ), ხოლო გაგამარუს მეტოქე მე-11 მაეგაშირა **კოტოკასუგაა** (6-6), რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 1:1-ია. „შავი ზღვა“ კარიერაში 750-ე ორთაბრძოლას გამართავს.

დასანანი მარცხი იწვნია ერთი ხანობა დაწინაურებულმა ფალავანმა **ტოჩინოშინმა** (მე-2 მაეგაშირა). **ლევან გორგაძე** კომუსუბი **კაკურიუსთან** დამარცხდა იორიკირის ილეთით. ტოჩინოშინს 6-6 ბალანსი აქვს. დღეს ქართველი მონღოლ **ჰაკუბას** ხვდება, რომელმაც დადებითი ბალანსი უკვე გაინაღდა. ამათ ურთიერთდაპირისპირებაში ქართველი დიდი უპირატესობით იგებს - 5:1.

თუკი დღეს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ესტონელ ჩემპიონ **ბარუტოს** დაამარცხებს, ზედიზედ მე-60 გამარჯვებას იზეიმებს. ამით მონღოლი, ფაქტობრივად, იმპერატორის თასს გაინაღდებს.

**XII დღე:** ჰაკუჰო-კაიო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-არანი (ოშიტაოში), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (ოშიდაში), ამინიშიკი-ბარუტო (ოკურიდაში), კაკურიუ-ტოჩინოშინი (იორიკირი), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოკუსეგავა-ვაკანოსატო (კირიკაეში), ჰომაშოტოკიტენკუ (ოშიდაში), ასასეკირიუ-კოტოშოგიკუ (უვატენაგე), ჰაკუბა-კიმურაიამა (ოშიდაში), ტაკამისაკარი-ჰოკუტორიკი (ოშიტაოში), მოკონამი-ბუშუიამა (უვატენაგე), გაგამარუ-ტოსაიუტაკა (იორიტაოში), კიტატაიკი-კიოკუნანკაი (ოშიდაში), კოკაი-ტამავაში (სუკუინაგე), ტაკეკაძე-შიმოტორი (ცუკიოტოში), იოშიკაძე-სოკოკურაი (ოკურიდაში), კოტოკასუგა-კაკიძოე (იორიკირი), კორიუ-ტოჩინონადა (იორიკირი), ტოიოძაკურა-კასუგაო (ჰიკიოტოში), ტოსანოუმი-ვაკატენრო (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა: 12-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **10-2: იოშიკაძე** (მაეგაშირა 11), **ტაკეკაძე** (მ 12). **9-3: კოტოოშუ** (ოძეკი), **ტოჩიოძანი** (სეკივაკე). **8-4: ბარუტო** (ოძეკი), **კაკურიუ** (კომუსუბი), **ჰაკუბა** (მ 5), **კოკაი** (მ 8), **ტამავაში** (მ 14), **გაგამარუ** (მ 15)... **6-6: ტოჩინოშინი** (მ 2).

**XIII დღე:** ჰაკუჰო-ბარუტო, კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი, კაიო-ამინიშიკი, არანი-ტოჩიოძანი, კისენოსატო-ტოკუსეგავა, კაკურიუ-კოტოშოგიკუ, ტოკიტენკუ-ტაკამისაკარი, ვაკანოსატო-ჰომაშო, ტოჩინოშინი-ჰაკუბა, კიოკუტენჰო-ტოსაიუტაკა, მოკონამი-შიმოტორი, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი, კიტატაიკი-ტოჩინონადა, კოკაი-იოშიკაძე, კიმურაიამა-ტაკეკაძე, ტამავაში-ბუშუიამა, კოტოკასუგა-გაგამარუ, კორიუ-კაკიძოე, კასუგაო-კიოკუნანკაი, სოკოკურაი-ტოსანოუმი, ტოიოძაკურა-ტოიოჰიბიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# დღეს ფავორიტთან გვიწევს დუელი

ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. არც ჩვენ ვაპირებთ ვინმეს გაკრიტიკებას, პირიქით, ძალიან გაგვიხარდა, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებმა ყაზახებს 3:1 მოუგო, მაგრამ გული დაგვწყვიტა იმან, რომ ჩვენებმა გუშინ ქულა დათმეს აშკარად სუსტ გუნდთან. როცა მეტოქეს სამასი ან მეტი პუნქტით უსწრებ რეიტინგში, თუნდაც შავი ფიგურებით, მოგების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. მახსოვს, შარშან საქართველოს მანდილოსანთა ნაკრებმა აზერბაიჯანელებთან ფრედ დაამთავრა შეხვედრა, რაც ოქროს დაკარგვად დაგვიჯდა. ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამე ხანტი-მანსიისკშიც გამეორდეს.



მე-3 ტურში ნახევარ-ნახევარი ქულა ლელა ჯავახიშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა დათმეს. გაუწყებთ ჩვენებურთა შეხვედრების შედეგებს: **ნანა ძაგნიძე** (2534)-**გულმირა დაულეტოვა** (2235) 1:0, **მადინა დავლეტბაიევა** (2163)-**ლელა ჯავახიშვილი** (2451) 0,5:0,5, **სალომე მელია** (2439)-**დინარა სადუაკასოვა** (2142) 1:0, **ელენა ანკუდინოვა** (2124)-**ბელა ხოტენაშვილი** (2464) 0,5:0,5. ამ გამარჯვებით ქართველმა ქალებმა 6 ქულა (საერთო ჯამში 10,5 ქულა) მოუყარეს თავი და დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. არადა, 6-6 ქულა 11-მა გუნდმა მოაგროვა: რუსეთი (1)-სლოვაკეთი 3,5:0,5, გერმანია-რუსეთი (2) 2:2, ჩეხეთი-სერბეთი 1,5:2,5, ჩინეთი-ლატვია 3:1, უკრაინა-აზერბაიჯანი 3:1, ინდოეთი-მოლდოვა 3:1, პოლონეთი-ბულგარეთი 1,5:2,5 აშშ-არგენტინა 3,5:0,5, სლოვენია-ჰოლანდია 2,5:1,5, უნგრეთი-იტალია 2,5:1,5, შვედეთი-კუბა 1:3.

დღეს მე-4 ტურში საქართველოს ნაკრები ტურნირის უმთავრეს ფავორიტსა და უპირველეს კონკურენტ რუსეთის პირველ გუნდს დაუპირისპირდება, რომლის ღირსებასაც ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (2573), კონტინენტის მრავალგზის პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა** (2565), მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2524), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ალისა გალიამოვა** (2482) და **ვალენტინა გუნინა** (2465) იცავენ. რუსებს დამატებითი მაჩვენებლებით მე-6 ადგილი უკავიათ, პირველზე უკრაინელები არიან, რომლებიც კუბელებს შეხვდებიან. დანარჩენი ექვსქულიანები ასე დაწყვილდნენ: უნგრეთი-აშშ, ბულგარეთი-ინდოეთი, სერბეთი-ჩინეთი, გერმანია-სლოვენია.

გუშინ მესამე წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ბიჭებმაც, ამჯერად მოკრძალებული ანგარიშით სძლიეს თითქმის თანაბარი ძალის მექსიკელებს — 2,5:1,5: **მანუელ ლეონი** (2579)-**ბაადურ ჯობავა (2710)** 1:0, **მერაბ გაგუნაშვილი (2598)-სამორა იუან კარლოს გონსალესი** (2564) 0,5:0,5, **გარსია ხოსე გონსალესი** (2543)-ლევან ფანცულაია (2599) 0:1, თამაზ გელაშვილი (2611)-**გუერეს ხილბერტო ერნანდესი** (2540) 1:0. ლიდერთა ჯგუფში კიდევ ცამეტმა გუნდმა მიაღწია წარმატებას: პერუ-რუსეთი (2) 0,5:3:5, აშშ-ჩილე 3:1, ინდოეთი-კოლუმბია 2,5:1,5, რუსეთი (3)-კუბა 2,5:1,5, ესპანეთი-ლატვია 4:0, რუსეთი (5)-ნორვეგია 1:3, ვიეტნამი-უზბეკეთი 2,5:1,5, ბელგია-ესტონეთი 1:3, ჩეხეთი-უნგრეთი 1,5:2,5, იტალია-რუსეთი (1) 1:3, ჩინეთი-მოლდოვა 3,5:0,5, თურქეთი-სომხეთი 0,5:3,5, ჰოლანდია-სლოვაკეთი 2,5:1,5.

მეწინავეთაგან დღეს ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას საქართველო (10,5)-ნორვეგია (9,5), რუსეთი-2 (11)-ინდოეთი (10), უნგრეთი (8,5)-ჩინეთი (10), სომხეთი (10)-რუსეთი-3 (8,5), ჰოლანდია (8)-ესპანეთი (10), რუსეთი-1 (9,5)-აშშ (10,5), ესტონეთი (10,5)-ვიეტნამი (9).

ვაჟა **დანელია**

# ჩვენ აქ გამარჯვებისთვის ჩამოვედით

**ხანტი-მანსიისკის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის პრესცენტრში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრმა სალომე მელიამ და მწვრთნელმა დავით არუთინიანმა ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს. გთავაზობთ ინტერვიუს მცირე შემოკლებით.**

**- დავით, თქვენ აქ გასამარჯვებლად ჩამოხვედით?**

- დიახ, ჩვენ 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონები ვართ და აქაც უნდა გავიმარჯვოთ. აქვე აღვნიშნავ, რომ 2009 წელს საქართველოს ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. კარგად მოვემზადეთ და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ეს ტურნირიც მოვიგოთ.

**- ხანტი-მანსიისკში ლეგენდარული მაია ჩიბურდანიძე რატომ არ გვეწვია?**

- მაია ძალიან ძლიერი მოთამაშეა და გუნდში ძალიან გვაკლია. 2008 წელს იგი დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის გმირი გახდა - პირველ დაფაზე ოქროს მედალი მოიპოვა, ყველა ძლიერი მეტოქე დაამარცხა. მმან წლეულს ობიექტური მიზეზებით ოლიმპიადაში მონაწილეობა ვერ შეძლო. ჩვენ მაინც ვეცდებით, ისე კარგად ვითამაშოთ, როგორც ორი წლის წინათ...

**- სალომე, თქვენ ვის მიიჩნევთ ძირითად კონკურენტებად?**

- როგორც ყოველთვის, რუსეთს და უკრაინას. თამაში ახლა დავიწყეთ და ტურნირის განმავლობაში გაირკვევა, ვინ უკეთეს ფორმაშია და მომავალში ჩვენი კონკურენტი ვინ იქნება.



**- ჩინეთის ნაკრები ხომ არ დაგავიწყდა?**

—- არა, არ დამვიწყებია, მე მხოლოდ სამი ფავორიტი დავასახელე. ესენი არიან - საქართველო, რუსეთი და უკრაინა.

**- დავით, იქნებ გვითხრათ საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონთა მომზადების საიდუმლოება?**

- საიდუმლო იმისაა, რომ ის ასეთად უნდა დარჩეს.

**სალომე**: ყველა საიდუმლოს ტურნირის შემდეგ გავხსნით.

—- **დავით, ვაჟთა ნაკრების პერსპექტივაზე რას იტყვით?**

—- როგორც მოქმედმა მოჭადრაკემ და ნაკრების ყოფილმა წევრმა შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს გუნდს კარგი პოტენციალი და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ჩინებული შესაძლებლობა აქვს. ცხადია, კონკურენცია უზარმაზარია - ოლიმპიადაზე ბევრი ძლიერი გუნდი და მოთამაშე ჩამოვიდა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩვენს ნაკრებს ყველაფერი შეუძლია, თუკი ძალიან მოინდომებს.

მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**

# დებიუტი საქართველოს სახელით

**ანჟელიკა ფიცპატრიკი ინგლისელია, მანჩესტერთან ახლოს პატარა ქალაქ ბარნლიში ცხოვრობს. ბათუმის ხშირი სტუმარია, რადგან დედა ჰყავს აქაური, ნადეჟდა მალცევა. ზაფხულობით ბებიას სანახავად ჩამოდის.**

ოთხი წლის წინათ დედამ გადაწყვიტა, ქალიშვილი სპორტულ ტანვარჯიშზე მიეყვანა, მაგრამ სპორტული დარბაზის შესასვლელთან საჭადრაკო კლუბის განცხადებას მოჰკრა თვალი და არჩევანიც შეცვალა - ანჟელიკა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **გურამ ჭანტურიასთან** მიიყვანა. გოგონას სვლები მამისგან ჰქონდა ნასწავლი, ამიტომ დებიუტების სწავლა არ გასჭირვებია. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვარჯიში არ გაუცდენია.

— ბრიტანეთში რომ დავბრუნდი, მამას იოლად მოვუგე, — გაიხსენა ანჟელიკამ. — ბარნლის საჭადრაკო კლუბში მიმიყვანეს. თანატოლებსაც რომ ვძლიე, იქაური მწვრთნელი მეთამაშა. ცხადია, წავაგე, მაგრამ



გია ჭანტურია და ანჟელიკა ფიცპატრიკი

შემაქო. სად ისწავლეო, მკითხა. ყველაფერი ვუამბე. ახლა ინგლისელებს სურთ, ბათუმის საჭადრაკო კლუბთან იმეგობრონ და დელეგაციები გაცვალონ.

**— ევროპის პირველობაზე როგორ აღმოჩნდი?**

— ოთხი წელიწადია, გურამ ჭანტურია და მისი ვაჟი გია მავარჯიშებენ — ზაფხულობით აქ, ბათუმში, დანარჩენ დროს ინტერნეტით ვუკავშირდებით ერთმანეთს. ბარნლიშიც ვმეცადინეობ. უკვე ჭადრაკის დედოფლის სექციაში ვარ, მალე მეფის სექციაში გადამიყვანენ. მართალია, ჯერ ქართველი მოჭადრაკეების დონეზე ვერ ვთამაშობ, მაგრამ ძალიან მიყვარს ეს სახეობა და მინდა კარგად ვისწავლო. წლეულს ბათუმში რომ ჩამოვედი დედასთან ერთად, მწვრთნელებმა ევროპის პირველობაში მონაწილეობა შემომთავაზეს. მეც დავთანხმდი. საქართველო დედაჩემის სამშობლოა, აქედან გამომდინარე, ჩემიც, ამიტომ გადავწყვიტე, დიდ ჭადრაკში პირველი ნაბიჯები საქართველოს სახელით გადავდგა...

ანჟელიკა ფიცპატრიკი ბათუმში 12-წლიანთა ტურნირში მონაწილეობს. გუშინ იგი შავი ფიგურებით **ნინო დახუნდარიძესთან** დამარცხდა. ამ ასაკში 5 ტურის შემდეგ გოგონათა შორის უდანაკარგოდ **ალექსანდრა გორიაჩკინა** (რუსეთი) მეწინავეობს. ქართველთაგან სხვებზე უკეთესი შედეგი **ნინო ხომერიკს** აქვს - 3,5 ქულა. ბიჭებში 4 ქულით მე-9 ადგილზეა **ნოე თუთისანი.** პირველ ადგილზე მყოფი **ეგორ კუზმინი** (რუსეთი) მას ქულით უსწრებს. .

18-წლიანებში კვლავ იყოჩაღა **ქეთი ნანალაშვილმა.** მე-4 ტურში მან შავი ფიგურებით **მონიკა მოტისაკოვას** (სლოვაკეთი) სძლია, მეხუთეში კი **ელენა სემიონოვას** (რუსეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი და ტაიმაუტის წინ გათამაშების ცხრილში პირველობა შეინარჩუნა. უახლოესი მდევრები ჩვენებურს თითო ქულით ჩამორჩებიან. ზურაბ ჯავახაძემ მე-4 ტურში სომეხ **ნაიკ თამაზიანს** მოუგო, მომდევნოში კი შავებით **სტანისლავ ბოგდანოვიჩს** შეუთანხმდა ყაიმზე და 3,5 ქულას მოუყარა თავი. პირველზეა **ვასიფ დურარბეილი** (აზერბაიჯანი) - 4,5 ქულა.

16-წლიანების მე-4 ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმეს **მერი არაბიძემ** და **მარიამ დანელიამ,** რომლებმაც, შესაბამისად, **საბინა იბრაჰიმოვას** (აზერბაიჯანი) და **აისა იმეევას** (რუსეთი) აჯობეს. ოთხი წლის წინათ ბათუმში მსოფლიოს პირველობაზე დანელია ბოლოსწინა ტურში **ალექსანდრა ლაჩთან** (პოლონეთი) დამარცხდა. ქართველმა მოჭადრაკემ გუშინ მე-5 ტურში რევანში აიღო და 4,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან მერი არაბიძემ შავი ფიგურებით **ნარმინ ხალაფოვასთან** ქულა გაიყო და 4 ქულით მეორე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს. ამ ასაკის ვაჟებში **ნოდარ ლორთქიფანიძე ალექსანდრ პრედკეს** (რუსეთი) დაუზავდა 3,5 ქულა მოაგროვა. 4,5-4,5 ქულით **ვიაჩესავ ტოლიჩევი** (რუსეთი) და **ჰოვანეს გაბუზიანი** (სომხეთი) ლიდერობენ.

14-წლიანი ქართველი გოგონებისთვის მე-4 ტური წარმატებული გამოდგა. **ნატო იმნაძემ** და **დეა გოგიშვილმა** ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმეს — შესაბამისად, **ელისე ბელიჩე** (საფრანგეთი) და **მარია ხალიძიჩი** (ბელარუსი) დაამარცხეს. **თეკლა მაჭარაშვილმა მონიკა მაჩილიკს** (ნორვეგია) მოუგო. მეხუთეში ქართველები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. იმნაძემ თეთრებით აჯობა გოგიშვილს და უდანაკარგოდ ერთპიროვნულად დაწინაურდა. მე-5 ტურში **ირაკლი ბერაძემაც** მიაღწია წარმატებას - აზერბაიჯანელ **ელვინ ბაირამოვს** გააჩერებინა საათი და 4,5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია. **გიგლა ბენიძემ იონას ლამპერტს** (გერმანია) სძლია და ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ხუთი ტურის შემდეგ დანარჩენ ასაკებში ასეთი მგომარეობაა: 8-წლიან გოგონებში უდანაკარგოდ **ეკატერინა გოლცევა** (რუსეთი) მეწინავეობს. თითო ქულით ნაკლები აქვთ **თამარ ესაძეს, მაია ბეჭვაიას, სანდრა კაპანაძეს** და **ანასტასია სიდამონიძეს.** ბიჭებში 5 ქულით **კირილ შევჩენკო** დაწინაურდა. **მათე თოდაშვილი** და **ნიკოლოზ ფეტვიაშვილი** 4,5-4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. 10-წლიან გოგონებში 5 ქულით პირველ ადგილზეა **ალკიმ ერესე** (თურქეთი). გათამაშების მეორე-მეხუთე საფეხურზე 4-4 ქულით **ელენე კოსტავა, ნინო ჯალალონია, მარიამ დოლიძე** და **ნატა ჯიბუტი** იმყოფებიან.

ევროპის პირველობის მონაწილენი დღეს ისვენებენ. ხვალ მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა **დანელია**
ავტორის ფოტო

სამბო



# გორელთა მონაგარი მრავლდება

**„ლელო" უკვე წერდა გლდანში გამართულ სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატზე, რომელშიც ორასამდე მოჭიდავემ იასპარეზა. გორელებმა გუნდურ ჩათვლაში იპირველეს. მათმა მთავარმა მწვრთნელმა გივი ზაუტაშვილმა ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნა: „თუ არ ჩავთვლით დაშავებული დავით კარბელაშვილის არყოფნას, ჩვენი გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდა საასპარეზოდ. ფავორიტებად კი გვთვლიან, მაგრამ გუნდური პირველობა დიდი ხანია, აღარ ვიცით. სასიხარულოა, რომ ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში გორის საჭიდაო სკოლის ბოლოდროინდელი წარმატებები ახლა სამბომაც გაამდიდრა. შეჯიბრება სამი ჩემპიონით, ამდენივე ფინალისტით და ოთხი მესამე პრიზიორით დავასრულეთ".**

**— მედლების სავარაუდო კანდიდატთაგან ყველამ გაამართლა?**

— ყველამ, თუმცა, ბუნებრივია, ზოგიერთ შემთხვევაში სხვა სინჯის მედალი მივიღეთ. მაგალითად, 62 კილოგრამში იოსებ ქოქაშვილის ოქრო ჩვენთვის სიურპრიზი იყო. გადამწყვეტი ბრძოლა მან ბექა კიკაძეს შვიდი ქულით მოუგო. 82 კილოში კი ჩემპიონი, ფინალისტი და ორივე ბრინჯაოს პრიზიორი გორელები იყვნენ. 74 კილოში გორული ფინალი შედგა — ზვიად ბაზანდარაშვილმა ზვიად კაპანაძეს საინტერესო პაექრობაში აჯობა. სასიამოვნოა, რომ ხუთწლიანი შესვენების შემდეგ არენაზე დაბრუნდა ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ ბიბილაშვილი (100 კგ). მან საქართველოს ნაკრების ლიდერს მირიან პავლიაშვილს მოუგო ნახევარფინალი.

**— კიდევ ვის ჭიდაობას გამოყოფდით?**

— დაძაბული და საინტერესო იყო ბაზანდარაშვილ-ნახუცრიშვილის (74 კგ) ფინალში გადასასვლელი შეხვედრა. განსაკუთრებით გამორჩეული კი 82 კილოში ჩილინდრიშვილისა და ბაინდურაშვილის ფინალი და ამ უკანასკნელის გამარჯვება იყო.

**— როგორც ცნობილია, საქართველოს ჩემპიონები მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ მიდიან. საამისო შემადგენლობა ნაკრების თავკაცს უკვე გარკვეული აქვს.**

— წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ შეჯიბრების შედეგებით გაისად ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დაკომპლექტდებოდა, თუმცა, ვფიქრობ, არ უნდა გამოვრიცხოთ ცვლილებები გუნდში იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს საერთაშორისო ტურნირზე მოსკოვში ამჟამინდელი შემადგენლობიდან რომელიმე ფალავანმა ცუდად იჭიდავა.

ვასილ **ბალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები. ევრობასკეტი 2011




# გაირკვა!

## ფორმატი, განრიგი, წილისყრა

5 სექტემბერს ფიბა-ევროპამ ევრობასკეტი-2011-ის მონაწილე გუნდების რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდა გადაწყვიტა. შესაბამისად, გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრები გაისად ევროფორუმზე იასპარეზებს. სწორედ ამიტომ ლიტვაში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისადმი ქართველთა ინტერესი გაათმაგდა.

თვის დასაწყისში მონაწილეთა რაოდენობა 24 გუნდამდე კი გაზარდეს, მაგრამ ბურუსით იყო მოცული უამრავი საინტერესო საკითხი: ევროპის ჩემპიონატის ფორმატი, ტურნირის გამართვის ვადები, წილისყრის თარიღი...

ფიბა-ევროპას ბურუსის გასაფანტად 20 დღეც არ დასჭირდა, გაირკვა, რომ წილისყრა 25 იანვარს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გაიმართება, დაზუსტდა გათამაშების ფორმატი და შეჯიბრების ყველა თარიღი.

■ ■ ■

დავიწყოთ კალენდრით. როგორც წესი, ფიბა-ევროპა წინასწარ აქვეყნებს ევროპის ჩემპიონატის მატჩების განრიგს. შემდეგ ატარებს წილისყრას და ჯგუფში განაწილებისთანავე ირკვევა გუნდების კალენდარი. ეს ტრადიცია არც ამჯერად შეცვლილა - საქართველოს ნაკრების შეხვედრათა განრიგი ევროპის ჩემპიონატის წილისყრის დასრულებისთანავე გვეცოდინება.

აქამდე ვიცოდით, რომ ევროპის ჩემპიონატი 3 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, თუმცა გახსნამ სამი დღით გადმოიწია - ევრობასკეტი-2011 31 აგვისტოს დაიწყება. ჯგუფური ეტაპის სამი მატჩი 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს ჩატარდება, 3-ში ყველა ჯგუფში დასვენებაა, დარჩენილი ორი თამაში კი 4 და 5 სექტემბერს გაიმართება.

მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩები 7 სექტემბერს დაიწყება, ხოლო მეოთხედფინალები - 14-ში. ფინალური შეხვედრა 18 სექტემბერს იგეგმება. ასე რომ, ევროფორუმი 31 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე გასტანს.

■ ■ ■

ტურნირის დასაწყისის სამი დღით გადმოწევის მიზეზი ფორმატია. ერთი ვარიანტის მიხედვით, 24 გუნდი 4 ექვსგუნდიან ჯგუფად უნდა გაყოფილიყო, საიდანაც საუკეთესო ოთხეულები მერვედფინალებს ითამაშებდნენ. ასეთ შემთხვევაში ფინალისტ გუნდებს 9 მატჩის ჩატარება მოუწევდათ და ტურნირიც 3 სექტემბერს დაიწყებოდა.

საბოლოოდ დამტკიცდა მეორე ვარიანტი, რომლის მიხედვით ფინალისტ გუნდებს 11 შეხვედრის ჩატარება მოუწევთ. ამიტომაც გადაწყდა ჩემპიონატის 31 აგვისტოს დაწყება. ეს ფორმატიც 24 ნაკრების ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფად განაწილებას ითვალისწინებს, თუმცა მომდევნო ეტაპზე 3-3 საუკეთესო, ანუ 12 ნაკრები გავა, რომლებიც ორ ჯგუფად დაიყოფიან. ერთი ჯგუფიდან გადასულ სამეულებს ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგები მეორე ეტაპზეც გადაჰყვებათ. მეოთხედფინალში გასასვლელად საკმარისია ოთხეულში მოხვედრა. ამას მოჰყვება ნახევარფინალი და ფინალი...

■ ■ ■

დაველოდოთ 25 იანვარს და ვნახოთ, საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად წილისყრა ვის არგუნებს. მანამდე ვავეცნოთ განთესვის შედეგებს, რომლის მიხედვით საქართველოს ნაკრები მეოთხე კალათშია.

I კალათი: **თურქეთი, ლიტვა, სერბეთი, ესპანეთი.**

II კალათი: **რუსეთი, სლოვენია, საბერძნეთი, საფრანგეთი.**

III კალათი: **ხორვატია, გერმანია, ჩერნოგორია, ბელგია.**

IV კალათი: **დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო.**

V კალათი: **იტალია, ბულგარეთი, უკრაინა, პოლონეთი.**

VI კალათი: **ბოსნია, ლატვია...**

მეექვსე კალათში დარჩენილ ორ ადგილს საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილე გუნდები (**ფინეთი, უნგრეთი, პორტუგალია**) შეავსებენ. ეს შეჯიბრება 3-24 აგვისტოს მიმოსვლის სისტემით გაიმართება.

ლეგიონერი

## ვლადიმერ ბოისა:
# დეკემბერში ან იანვრის დასაწყისში

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვლადიმერ ბოისა** კარიერას სლოვენიის „ოლიმპიაში" გააგრძელებს. ამის შესახებ სლოვენიურ გამოცემებს კლუბის ხელმძღვანელობამაც აცნობა და ბოისამაც დაუდასტურა.

სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის მოთხოვნით, ჩემპიონატში თითოეულ გუნდს მინიმუმ შვიდი სლოვენიელი უნდა ჰყავდეს. ვოვას სლოვენიის პასპორტი აქვს და მწვრთნელიც გახარებულია - ადგილობრივების ლიმიტი ასეთი მაღალი დონის კალათბურთელით შევავსეთო.

ქართველი ფორვარდის დამატებას სლოვენიური გაზეთებიც დადებით ფაქტად ასახელებენ: ბოისა 17 წლიდან სლოვენიაშია, დიდი ხნის განმავლობაში იცავდა „ოლიმპიას" ღირსებას, ორი წელი კაპიტანიც იყო და ახალ სეზონში გუნდს საგრძნობლად გააძლიერებსო. მის გარდა ლიუბლიანელებს არაერთი ძველი ოლიმპიელი დაუბრუნდა: **ილიევსკი, მარკოტა, ოზბოლტი, ლორბეკი...**

ახალ სეზონში „ოლიმპია" სამ ფრონტზე იბრძოლებს - ევროლიგაზე, ადრიატიკის თასსა და სლოვენიის ჩემპიონატში. ვოვა გუნდს ჯერ ვერ დაეხმარება, მას რეაბილიტაციისთვის კიდევ ორი თვე სჭირდება...

*- მკურნალობა გართულებების გარეშე მიმდინარეობს. თუ ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა, მოედანს დეკემბერში დავუბრუნდები. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ თამაში 2011 წლის დამდეგს დავიწყო,* - აცხადებს ბოისა.

206 სმ სიმაღლის ქართველმა თავდამსხმელმა „ოლიმპიაში" დაბრუნებას მცირე ისტორიული ექსკურსი წაუმძღვარა:

*- ბოლო წლებში „ოლიმპიასთან" კონტრაქტის გაფორმებას არაერთხელ მივუახლოვდი, მაგრამ აქამდე სლოვენიაში დაბრუნება ვერ მოვახერხე. ლიუბლიანაში 17 წლისა გადმოვედი და მას მერე დიდი გამოცდილება შევიძინე. კარიერის კულმინაციისას მინდა, ჩემი გამოცდილება „ოლიმპიას" მოვახმარო. ლიუბლიანაში სახლი მაქვს, ოჯახი აქ ცხოვრობს. ასე რომ, შინ დავბრუნდი. იმედი მაქვს, აქ უფრო კარგად ვითამაშებ, ვიდრე ბოლო წლებში „ზადარში". შარშან ორი წინადადება მქონდა - ხორვატიის „ზადარიდან" და „ოლიმპიადან". მწვრთნელმა, ზმაგო საგადინმა ხორვატიაში სერიოზული გუნდი შექმნა, დიდი ამბიციებიც ჰქონდა და ამიტომ კარიერის „ზადარში" გაგრძელება გადავწყვიტე. მაშინვე ვთქვი, ადრე თუ გვიან სლოვენიაში აუცილებლად დავბრუნდები-მეთქი.*

წლეულს ოლიმპიელებს გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავთ, ვიდრე შარშან. ამიტომ ბოისა, როგორც ყოველთვის, „ოლიმპიასთან" ერთად მაღალ მწვერვალებს შეეჭიდება.

*- ევროპული დონის გუნდი გვყავს - ევროლიგაზე ღირსეულად უნდა ვითამაშოთ. მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში გუნდი ჩვეული წარმატებებით ვერ გამოირჩა, სლოვენიაში მაინც პირველია. ხელმძღვანელობაცა და მწვრთნელებიც ბევრს შრომობენ და ვიმედოვნებ, მათ კალათბურთელებიც სათანადოდ შევუწყობთ ხელს,* - დასძენს ვლადიმერ ბოისა.

■ ■ ■

ბოლოს არანაკლებ საინტერესო თემაზე: სლოვენიური გამოცემა „სიოლის" ინფორმაციით, ბოისამ ესპანურ კლუბ „მენორკას" არბიტრაჟში საქმე მოუგო, რომლის მიხედვით გუნდმა კალათბურთელს 2008-09 წლების დავალიანება უნდა გადაუხადოს.





## ვლადიმირ ბოგოიევიჩი:
# ლაშა გამყრელიძე ფასეული შენაძენია

გერმანიის ბუნდესლიგისთვის ემზადება **ლაშა გამყრელიძის** „გისენი", რომელსაც ქართველმა გამთამაშებელმა თვის დამდეგს მიაშურა და, გერმანელი მიმომხილველების თქმით, კარგადაც მოერგო. რაც მთავარია, აქამდე ჩატარებულ საკონტროლო მატჩებში ლაშამ „გისენის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა.

მეტიც, ბოლო შეხვედრაში „ბრაუნშვაიგის" დამარცხება მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ბოგოიევიჩმა** ლაშა გამყრელიძეს მიაწერა:

*- მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ. ამ წარმატებით ხასიათი გამოვიკეთეთ. მინდა გამოვყო ქართველი გამყრელიძის თამაში, რომელიც გუნდს კარგად შეეწყო. იგი დაცვისას ძალიან სასარგებლო იყო, შეტევისას კი ტემპს კარგად აკონტროლებდა. როცა და როგორც საჭირო იყო, სიჩქარეს ისე უკლებდა და უმატებდა. იგი შეტევების კარგი ორგანიზატორია. სასიამოვნოა, რომ ასეთი სასარგებლო კალათბურთელი დავიმატეთ.*

„გისენმა" „ბრაუნშვაიგს," ფაქტობრივად, 30 წუთში მოუგო - მეოთხე პერიოდის წინ 66:46 დაწინაურდა, თუმცა ბოლო რაუნდში მეტოქემ სხვაობის შემცირება მოახერხა — 82:75 „გისენის" სასარგებლოდ.

გამყრელიძემ 25 წუთი ითამაშა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო: 10 ქულა (ერთი სამქულიანი), 2 შედეგიანი გადაცემა, 3 ჩაჭრა... ლაშაზე 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

უფრო ადრე ქართველი გამთამაშებლის გისენური დებიუტი მწვრთნელმა ასე შეაფასა:

*- უკვე დავრწმუნდით, რა შეუძლია გამყრელიძეს. იგი გუნდისთვის ფასეული შენაძენია.*

ახლა თავად კალათბურთელს მოვუსმინოთ, რომელსაც გისენში რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ახალი გუნდით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- თავს შესანიშნავად ვგრძნობ. „გისენში" კარგი სიტუაციაა და ახალ გარემოსთან შეგუება არ გამჭირვებია.

**- ბოლო მატჩში 10 ქულა ჩააგდე...**

- კარგი თამაში გამოგვივიდა. მანამდე რამდენიმე შეხვედრა წავაგეთ და „ბრაუნშვაიგის" ძლევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც სასარგებლო იყო.

**- სასტარტო ხუთეულში ითამაშე?**

- აქამდე ყველა მატჩი ხუთეულში დავიწყე. ალბათ, რეგულარულ ჩემპიონატშიც ასე იქნება.

**- შემადგენლობის მიხედვით, რა შეიძლება ითქვას სამომავლო პერსპექტივებზე?**

- საჩემპიონო გუნდი ნამდვილად არ გვყავს. პლეი ოფში მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა იოლი არ იქნება.

**- შარშან ამ დროს „მიტელდოიჩერთან" ერთად 2009-10 წლების სეზონისთვის ემზადებოდი. მაშინაც თითქმის იგივე მითხარი - ამ სეზონში გუნდისგან ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ითხოვენ, პლეი ოფში გასვლა გაგვიჭირდებაო...**

- ასე იყო. თუმცა, საბედნიეროდ, სეზონის დასაწყისში სხვა სურათი მივიღეთ - შესანიშნავად დავიწყეთ და პირველობის არაერთი ფავორიტი დავამარცხეთ. იმედია, წლეულსაც იგივე განმეორდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ლელო პირველ ადგილზე დაბრუნდა

23 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ლელო | 26 |
| ლოკომოტივი | 17 |

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია, ანდღულაძე (მანჯავიძე 52), გუგავა, ლომინაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე, ჭყონია, სუჯაშვილი, ხორბალაძე, აზალაძე, ი.მაისურაძე (ჯალაღონია 65), დაუშვილი, ჭყოიძე.

*3ლ: ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კაჭარავა. 3ს,გ: ყიასაშვილი*

ლოკომოტივი (15-9) ჟამუტაშვილი, შიოშვილი, ხუციშვილი, კობერიძე, ჩიტიძე, კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი, ზარიძე, პეტრიაშვილი, ოზგებაშვილი, გუჯარაიძე, ნიშნიანიძე, ბერიშვილი, ზ.მაისურაძე.

*2ლ: ზარიძე, გუჯარაიძე. 2გ,ს: კვინიხიძე.*

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატში ვითარება ყოველი ტურის შემდეგ მკვეთრად იძაბება. მეათე ტურის შეხვედრებში ყველა წყვილის ორთაბრძოლა საინტერესო იყო, თუმცა ცენტრალურ მატჩად, საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის, მეორეადგილოსანი „ლელოსა" და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, მესამეადგილოსანი „ლოკომოტივის" დაპირისპირება მიიჩნეოდა. ლელოელებმა მეტოქეს, რომელსაც, როგორც ჩანს, საკადრო პრობლემები მოეძალა, ზედიზედ მერვედ მოუგეს - 26:17

ორივე გუნდს ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. თუმცა დანაკლისი რკინიგზელებს უფრო დაეტყოთ. თავად განსაჯეთ, „ლოკომოტივის" მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ, მეორეხაზელი **დავით ჩიტიძე** გარემარბად გაემწესებინათ.

მეტოქის მსგავსად „ლელოსაც" ტრავმების ეპიდემია სჭირს, მაგრამ საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამის ხარჯზე მაინც ახერხებს ჩვეული სტილით თამაშს. ლელოელებმა თამაში მეტოქეზე ბევრად კონცენტრირებულებმა დაიწყეს და პირველი ტაიმი მშრალად - 13:0 მოიგეს.

ანგარიში „ლელომ" მე-9 წუთზე გახსნა. შუამარბმა **ნონო ანდღულაძემ** ბურთი ცენტრთან ახლოს მიიღო, მეტოქის ხაზი გაჭრა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე იერიშში ჩართო გარემარბი **გოდერძი ჯოგლიძე**, რომელმაც რამდენიმე მოწინააღმდეგეს გვერდი აუარა და ლელოსკენ დაიძრა. რკინიგზელებმა მისი შეჩერება ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრში შეძლეს. ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა, სადაც ლელოელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ლელო კი უკნიდან შეტევაში ჩართულმა ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გაიტანა. გარდასახვა მანვე დაარტყა, თუმცა არაზუსტად - 5:0.

„ლელომ" ხუთ წუთში კიდევ ერთი, ულამაზესი ლელო გაიტანა. რკინიგზელებმა მოედნის ცენტრალურ ხაზთან ახლოს საკუთარი დერეფანი წააგეს. ლელოელებმა მრავალფაზიანი შეტევა წამოიწყეს, მორკინალების მოკლე დარტყმებს იერიშის მიმართულების ცვლით უკანახაზელების ხელდახელ ბურთაობა ცვლიდა. „ლელომ" ჯერ მარცხენა ფრთაზე შეძლო მეტოქის ჩათვლის მოედანთან მიახლოება და, როცა შეტევა შეფერხდა, ბურთი უმალ მარჯვნივ ჩამოათამაშეს და ლელო გარემარბმა გოდერძი ჯოგლიძემ გაიტანა. ყიასაშვილმა ისევ ვერ გარდასახა - 10:0.

„ლოკომოტივი" ამის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდა. „ლელო" სულ უფრო მეტ შეცდომას უშვებდა და რკინიგზელებს სამჯერ მიეცათ ლელოს გატანის შანსი. თუმცა ვერც ერთი ვერ გამოიყენეს - ბოლო მომენტში ბურთი ხელიდან უვარდებოდათ.

ტაიმის მიწურულს „ლელომ" კიდევ ერთი შეტევის ორგანიზება შეძლო, თუმცა ამჯერად მხოლოდ საჯარიმოს დასჯერდა. ყიასაშვილმა ხელსაყრელი პოზოციიდან შანის ხელიდან არ გაუშვა - 13:0.

შესვენების შემდეგ ისევ ლელოელებმა იაქტიურეს და 44-ე წუთზე მესამე ლელო გაიტანეს. მოედნის შუაგულში ჯოგლიძემ იყოჩაღა, რამდენიმე მეტოქეს ხელიდან გაუსხლტა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე იქვე მიმყოლ მეორეხაზელ **ლაშა აზალაძეს** გადააწოდა, ამან კიდევ უფრო მარჯვნივ, კიდისკენ შეტევაში გიორგი კაჭარავა ჩართო, რომელმაც ლელომდე ოციოდ მეტრი ირბინა. ყიასაშვილმა გარდასახა - 20:0.

„ლოკომოტივმა" ნელ-ნელა თავისი თამაში იპოვა. მორკინალებმა, როგორც სჩვევიათ, მეტოქე საგრძნობლად შეავიწროეს, მომდევნო 20 წუთი მუდმივ შეტევებში გაატარეს და, რაც მთავარია, შედეგიანადაც. 59-ე წუთზე რკინიგზელთა თითქმის ათწუთიან.. იერიში მეორეხაზელმა **ბაჩუკი გუჯარაიძემ** ლელოთი დაასრულა. მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** გარდასახა - 7:20.

ოთხ წუთში „ლოკომოტივის" მორიგ შეტევას ისევ ლელო მოჰყვა. ამჯერად მრავალფაზიანი მიძალების შემდეგ ლელო პირველხაზელმა **ლევან ზარიძემ** გაიტანა. კვინიხიძემ ისევ გარდასახა და სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა - 14:20.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა და რკინიგზელებს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ. თუმცა, ლელოელები გონს დროულად მოეგნენ და მეტოეს დარჩენილ დროში მხოლოდ სამი ქულა დაანებეს. საჯარიმო კვინიხიძემ გაიტანა, რაზეც ყიასაშვილმა ორით უპასუხა - 26:17.

ამ გამარჯვებით „ლელომ" სატურნირო ცხრილში ბოლო წლებში მისთვის ჩვეული პირველი ადგილი დაიბრუნა.



ლელო-ლოკომოტივი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ბურთით ზურაბ გოგლიჩიძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ლიდერის მეორე მარცხი

23 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აია | 11 |
| აკადემია | 18 |

აია (15-9) ხამაშურიძე (შარვაშიძე 60), გოგლიჩიძე, ი.ჩხიკვაძე, აშვეთია, აბრამიძე, სინაურიძე (გოშაძე 72), როხვაძე (გოგია 30). (1-8) ლომიძე (ტ.ჩხიკვაძე 65), სხულუხია (მატკავა 70), გურეშიძე (ერისთავი 72), იობიძე, მეტრეველი, რევიშვილი, გ.შალამბერიძე, თხელიძე.

*ლ: გ.შალამბერიძე. 2ს: სინაურიძე.*

სინბინი: ტ.ჩხიკვაძე

აკადემია (15-9) ი.დავითაშვილი, მარგიანი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, კიზირია, ელიზბარაშვილი, ქოპილაშვილი. (1-8) ფირცხალაიშვილი (ზაქაშვილი 59), მეკოკიშვილი, ლამბაშიძე, ნებულიშვილი, გელაძე, ნიბლაძე, ნ.ჩხიკვაძე (ჩაჩუა 50), მჭედლიძე (ბერძული 70).

მსაჯი: თ. ჩერგოლეიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა, ქუთაისის „აიამ" ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა. ქუთათურებმა ამჯერად ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისის „აკადემიასთან" წააგეს - 11:18.

აკადემიელებმა ამ მატჩში შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. დაცვაში თავდადებით, რაც მთავარია, ტაქტიკურად გამართულად ირჯებოდნენ და პირველ ტაიმში მეტოქეს მხოლოდ სამი ქულის აღების საშუალება მისცეს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელი მორაგბეები ბევრ შეცდომას უშვებდნენ, რაც აკადემიელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს. ისევე, როგორც წინა ტურის მატჩში „არმაზთან", ქუთათურები ამჯერადაც ხშირად არღვევდნენ წესს. „აკადემიას" შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** „აიას" კარში შვიდი საჯარიმო დაარტყა და ექვსი გაიტანა. ამათგან სამი საკმაოდ შორიდან, თითქმის ცენტრიდან.

პირველი ტაიმი „აკადემიამ" 9:3 მოიგო. ანგარიში „აიას" მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** საჯარიმოთი მე-10 წუთზე გახსნა, რაზეც მეკოკიშვილმა ტაიმის ბოლომდე სამით უპასუხა.

მეორე ნახევარში „ტაისონამ", როგორც უკვე ვთქვით, კიდევ სამჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე „აიამ" ლელოს გატანა შეძლო. ქუთაისელთა საკმაოდ ლამაზი, მრავალფაზიანი შეტევა „აკადემიამ" საკუთარი ლელოს მისადგომებთან წესის დარღვევით შეაჩერა. „აიამ" საჯარიმო იქვე გაითამაშა, მორკინალთა პირველ დარტყმას მალევე მეორეც მოჰყვა და მესამეხაზელმა **გელა შალამბერიძემ** ჩათვლის მოედანში შეაღწია. შეცვლაზე შესულმა **ლევან შარვაშიძემ** ვერ გარდასახა - 11:18.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა. „აიას" მატჩის გადარჩენისთვის მცირე დრო ჰქონდა. „აკადემია" არ შედრკა და ლიდერის დამარცხებით სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორა.

X ტური

**ბათუმი XV -არმაზი 27:13, ვისოლი\ყოჩები-ხარები 32:16**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 10 | 8 | 0 | 2 | +154 | 16 |
| 2. აია | 10 | 7 | 0 | 3 | +55 | 14 |
| 3. ყოჩები | 10 | 6 | 1 | 3 | +59 | 13 |
| 4. ლოკომოტივი | 10 | 6 | 0 | 4 | +59 | 12 |
| 5. არმაზი | 10 | 4 | 0 | 6 | -92 | 8 |
| 6. აკადემია | 10 | 3 | 1 | 6 | -27 | 7 |
| 7. ხარები | 10 | 3 | 0 | 7 | -128 | 6 |
| 8. ბათუმი XV | 10 | 2 | 0 | 8 | -83 | 4 |

პრეზენტაცია

# დეუ ქართული რაგბის სამსახურში

**კორეულ ავტომობილ „დეუს" ოფიციალური დილერი საქართველოში „უზაუტო-ჯეო" სარაგბო კლუბ „ივერიას" სპონსორი გახდა. ამასთან დაკავშირებით გუშინ "დეუს" ცენტრში პრეზენტაცია გაიმართა.**

**შავკატჟონ ნაზაროვი**, „უზაუტო-ჯეოს" გენერალური დირექტორი:

„სარაგბო კლუბ თბილისის „ივერიას" ხელმძღვანელობა ორი თვის წინ გავიცანით. ამ დროის განმავლობაში გუნდის რამდენიმე თამაში ვნახეთ. ისევე როგორც ჩვენი კომპანიაა ახალი შემოსული საქართველოში, „ივერიაც" ახალი გუნდია, ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეებით დაკომპლექტებული. მოვიხიბლეთ მწვრთნელთა მუშაობით, ისინი მაღალი დონის პროფესიონალები არიან, გამოირჩევიან შრომისმოყვარეობითა და დასახული მიზნისკენ სწრაფვით.

რადგან ქართულ ბაზარზე ახალი შემოსულები ვართ და ჩვენი ნიშა გვჭირდება, გადავწყვიტეთ. თქვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობის გუნდის სპონსორობა გაგვეწია.

ჩვენი კომპანია ერთი დღით ან ერთი წლით არ შემოსულა საქართველოში. საკმაოდ სერიოზული გეგმები გვაქვს, „დეუს" და „ივერიას" თანამშრომლობის ხანგრძლივობა და ხარისხი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად წარმატებული იქნება ჩვენი ბიზნესი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, როგორ შედეგს აჩვენებს გუნდი.

ამ ეტაპზე ჩვენი საერთო მიზანია, უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვოთ. საამისოდ გუნდს ყველანაირად ვეხმარებით. სამომავლოდ განზრახული გვაქვს, კლუბის ინფრასტრუქტურაზეც ვიზრუნოთ. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი"

**კანოიდ ხუდეირბერგენოვი**, „დეუს" მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი:

„კონტრაქტი ერთწლიანია, მისი გახანგრძლივება ორივე მხარის წარმატებულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. თუ ბიზნესი წარმატებით განვითარდება, შესაძლოა, სპორტის სხვა სახეობების გუნდებსაც გავუწიოთ სპონსორობა.

ახლახან სილამაზის კონკურსი „მის საქართველო 2010" დავაფინანსეთ და მამაკაცებისთვის გული რომ არ დაგვეწყვიტა, რაგბის გუნდსაც დავეხმარებით."




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი

# ჰოვარდი: დურანტი ლებრონს მირჩევნია

„ორლანდო მეჯიქის“ ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** საინტერესო ინტერვიუ მისცა ESPN-ს. ლიგის უძლიერესი ცენტრი დღევანდელ აქტუალურ თემებზე ლაპარაკობს.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღეს ყველამ დაივიწყა „ლეიკერსი“, არადა, ამ გუნდმა ზედიზედ ორი ტიტული მოიგო. გასაგებია, რომ ახლა ყველანი გატაცებულნი არიან „მაიამითა“ და მისი სამი ვარსკვლავით. რა თქმა უნდა, დუეინის, კრისისა და ლებრონის ერთად ხილვა საინტერესო იქნება, მაგრამ „ლეიკერსის“ უფრო უნდა გვეშინოდეს“.

კარმელო ენტონის გაჭიანურებულ ტრანსფერზე ჰოვარდმა შემდეგი თქვა: „კარმელოს ძალიან მოუხდებოდა „ორლანდოს“ ფორმა“.

მსოფლიოს ჩემპიონატის გმირის **კევინ დურანტისა** და ბოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშის **ლებრონ ჯეიმსის** შედარება: „მე უპირატესობას დურანტს მივანიჭებდი“.

დუაიტმა თეთრკანიან კალათბურთელებს შორის ჩატენების კონკურსის ჩატარების სურვილი გამოთქვა, მაგრამ ამისთვის მხოლოდ ორი მოთამაშის გვარი გაიხსენა. მისი აზრით, ღირსეული კანდიდატები არიან - **ჯო ალექსანდერი** და **კრის ანდერსონი**.

ამბები

## დამპიემ მაიამი აირჩია

ვეტერანმა ცენტრმა **ერიკ დამპიემ** „მაიამი ჰიტში“ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. შეგახსენებთ, რომ 35 წლის თავისუფალ აგენტზე პრეტენზიას „ფინიქსი“ და „ჰიუსტონიც“ აცხადებდნენ.

საბოლოოდ, „დალასის“ ყოფილმა მოთამაშემ არჩევანი „მაიამიზე“ გააკეთა და კონტრაქტის გაფორმების შესახებ ოფიციალურად დღეს გამოაცხადებენ.

## ლეიკერსის ყოფილი მწვრთნელი გარდაიცვალა

81 წლის ასაკში გარდაიცვალა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილი მწვრთნელი **ფრენკ ო'ნილი**, რომელიც კალიფორნიულ კლუბს 1960-74 წლებში ავარჯიშებდა. ო'ნილს „ლეიკერსის“ საწვრთნელ ბაზასთან ახლოს, საკუთარ სახლში მოუვიდა გულის შეტევა.

„ლეიკერსამდე“ ეს მწვრთნელი „ლოს ანჯელეს რემსში“, „ფილადელფია იგლზსა“ და სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში მუშაობდა.

## ნოას ჩიკაგო ურჩევნია

როგორც უკვე ვწერდით, „ჩიკაგო ბულზი“ არ აპირებს თავისი ცენტრის **ჟოაკიმ ნოას კარმელო ენტონიში** გაცვლას, თუმცა ფრანგთან არც მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას ჩქარობს. თავად კალათბურთელი ამ ფაქტს გაგებით ეკიდება.

*„კარგად მესმის, რომ მსგავს სიტუაციაში ნებისმიერი კალათბურელი ყოფილა. ეს ბიზნესია და არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ბევრი ჭორი მოვისმინე ჩემი შესაძლო გაცვლის თაობაზე, მაგრამ მირჩევნია „ჩიკაგოში“ დავრჩე. კარმელო მაღალი დონის მოთამაშეა, თუმცა ისედაც შესანიშნავი გუნდი გვყავს და ერთად ბევრი რამის მიღწევა შეგვიძლია“*, - ამბობს ნოა, რომელიც მომავალ სეზონში 3.12 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

## იუტას ახალწვეული ჰყავს

„იუტა ჯაზმა“ არაგარანტირებული კონტრაქტი გააფორმა მცველ **რაიან ტომპსონთან**. *„ძალიან მინდა მთელი სეზონით დავრჩე გუნდში“*, - ამბობს კალათბურთელი.

NCAA-ის შარშანდელ ჩემპიონატში ტომპსონი საშუალოდ მატჩში 17.2 ქულასა და 5.0 მოხსნას აგროვებდა, მაგრამ ამ სტატისტიკის მიუხედავად, 2010 წლის დრაფტზე ის არც ერთმა კლუბმა არ აიყვანა.

## ბინუმი სპარინგებს არ ითამაშებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**, რომელმაც მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, წინასასეზონო მატჩებს გამოტოვებს. კალათბურთელი გუნდთან ერთად იმოგზაურებს, მაგრამ მოედანზე გასვლის უფლება არ ექნება

ბინუმმა ტრავმა პლეი ოფის პირველ წრეში, „ოკლაჰომასთან“ მეექვე მატჩის დროს მიიღო, თუმცა ბოლომდე ითამაშა პლეი ოფში და გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. მისი საშუალო სტატისტიკა 8.6 ქულას, 6.9 მოხსნასა და 1.57 დაფარებას უდრიდა.

## ნეში რეჟისორი გახდა

„ფინიქს სანზის“ ვარსკვლავ გამთამაშებელს **სტივ ნეშს** დებიუტი ჰქონდა რეჟისორის ამპლუაში. მის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი - „ქარის საწინააღმდეგოდ“ ESPN-ის ეთერში გუშინ აჩვენეს. მანამდე ფილმი ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო წარმოდგენილი.

ნეშის ნამუშევარი კანადის ეროვნულ გმირ **ტერი ფოქსს** ეხება, რომელმაც 1980 წელს ე. წ. „იმედის მარათონი“ გაირბინა. 21 წლის ფოქსს კიბოს გამო ფეხი მოაჭრეს, რის შემდეგაც მან სირბილით შემოიარა მთელი კანადა, რათა შემოწირულობა შეეგროვებინა ონკოლოგიური დაავადების მიზეზების გამოსაკვლევად.

## პენი საპურსში ისინჯება

„სან ანტონიო სპურსმა“ საწვრთნელ ბანაკში მიიწვია ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერი **კირკ პენი**. 29 წლის მცველი მეორედ ეცდება მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში დამკვიდრებას. 2004-05 წლებში სეზონში კირკი „კლიპერსში“ თამაშობდა, მაგრამ სულ ოთხჯერ მოუწია მოედანზე გასვლამ. მანამდე პენიმ „მაიამიში“ ორი მატჩი ჩაატარა.

შარშან, პენი D-ლიგაში თამაშობდა, სადაც საშუალოდ 22.7 ქულასა და 4.1 მოხსნას აგროვებდა. ეს კალათბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი იყო - მისი მონაგარი საშუალოდ 24.7 ქულას შეადგენდა.

## არტესტს კლიპერსის წასვლა უნდა

„ლეიკერსის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის **რონ არტესტის** აზრით, „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ სხვა ქალაქში უნდა გააგრძელოს თამაში.

*„კლიპერსს“ დიდი პატივისცემით ვეპყრობი და ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს გუნდი სხვა ქალაქში უნდა გადავიდეს სათამაშოდ. მაგალითად, სან-დიეგოში არის ამერიკული ფეხბურთის შესანიშნავი გუნდი - „სან დიეგო ჩარჯესი“. კარგი იქნებოდა, თუ „ჩარჯესი“ ლოს-ანჯელესში გადმოვიდოდა, ხოლო „კლიპერსი“ - სან-დიეგოში დაიმკვიდრებდა ადგილს“*, - ამბობს არტესტი.

ფორმულა 1

# ღამის ცვლა


ღამის რბოლა სინგაპურში

ფორმულა 1-ის პილოტები სინგაპურის გრან-პრის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, მაგრამ ამავდროულად საყვარელ ეტაპად მოიხსენიებენ. რაში მდგომარეობს ჩემპიონატის კალენდარში ერთადერთი ღამის რბოლის თავისებურება?

ეს წელი სინგაპურის გრან-პრისთვის მესამე იქნება ფორმულა 1-ში, მაგრამ ღამის რბოლის სტატუსი და უჩვეულო განრიგი ამ ეტაპს კვლავაც სიახლის ელფერს უნარჩუნებს. ეს არის ტრადიციული და მობეზრებული სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალება, ეს კი შანსს აძლევს სინგაპურს, იყოს ყველაზე გამორჩეული და პოპულარული ეტაპი. საინტერესოა ერთი რამ: ღამით მუშაობისას გუნდები აგრძელებენ ჩვეულებრივ ევროპულ საათობრივ სარტყელში მუშაობას. *„მართალია, ევროპასთან სხვაობა შვიდ საათს შეადგენს, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვიდეთ თვითმფრინავის ტრაპიდან და ვიმუშაოთ ევროპული დროით. ამიტომაც სინგაპურში მგზავრობა ყველაზე ნაკლებ გავლენას ახდენს ჩვენს განწყობაზე, ვიდრე მაგალითად, ჩინეთში ჩასვლა. ასე იმიტომ ხდება, რომ აკლიმატიზაცია არ არის საჭირო“*, - ამბობს „რენოს“ სპორტული დირექტორი **სტივ ნილსენი**.

ევროპულ განრიგთან შესაბამისობა იმასაც ნიშნავს, რომ გუნდებს შეუძლიათ სინგაპურში უფრო გვიან გაემგზავრონ, ვიდრე ეს სხვა ოკეანის გაღმა რბოლების შემთხვევაში ხდება. *„ჩვეულებრივ, აზიაში ან ამერიკის კონტინენტზე ერთი დღით ადრე მივემგზავრებით - ეს აკლიმატიზაციისთვის არის საჭირო, მაგრამ სინგაპურის შემთხვევაში ასეთი პრობლემა არ არსებობს და შეგვიძლია ყველაფერი ჩვეულებრივად დავგეგმოთ.*

*რომელ საათებში მუშაობენ სინგაპურში? ჩვეულებრივ, ევროპული რბოლის განრიგით მუშაობა დილის 7-8 საათზე იწყება. ასე რომ, სინგაპურში ავტოდრომზე 8 საათზე მისვლის ნაცვლად, 15 საათზე მივდივართ, სამუშაოს კი ადგილობრივი დროით დილით ადრე ვასრულებთ. ხანდახან, შინ დაბრუნებისას საშუალება გვაქვს, მზის ამოსვლას ვუცქიროთ. ასე რომ, ეს ჩვენთვის რეალურად ღამის ცვლა გამოდის“*, - აგრძელებს ნილსენი.

რა თქმა უნდა, ღამის რბოლის ჩატარება მხოლოდ ისეთ ადგილზეა შესაძლებელი, როგორიც სინგაპური გახლავთ. ეს არის ქალაქი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ცხოვრობს და აქ არ არსებობს სადღელამისო რესტორნის პოვნის პრობლემა. ხოლო იმ სასტუმროების პერსონალი, რომლებშიც გუნდები ჩერდებიან, მზად არის სპეციალური საუზმე 14-16 საათისთვის მოამზადოს.

რაც შეეხება ხელოვნურ განათებას, ის თითქმის მიახლოებულია დღის განათებასთან, ასე რომ, გუნდებს არ სჭირდებათ სინგაპურში დამატებითი გასანათებელი საშუალებების ჩატანა. *„სინგაპურის პირველი გრან-პრის წინ ვფიქრობდით, რომ მექანიკოსებისთვის ჩაფხუტებზე მეშახტის მინინათურების დაყენება დაგვჭირდებოდა*, - ჰყვება ნილსენი. - *მაგრამ რეალურად განათების დონე იმდენად მაღალი აღმოჩნდა, რომ არანაირი დამატებითი განათება არ დაგვჭირვებია. სანამ ბნელ ცას არ ახედავთ, თითქმის გავიწყდებათ, რომ ღამით მუშაობთ“*.

სინგაპურის გრან-პრის დროს პიტლეინზე განათება 2200 ლუქსია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სატელევიზიო სტუდიის განათებას (ჩვეულებრივ 1000 ლუქსს უდრის). ბოქსებში განათება 800 ლუქსს აღწევს, ეს კი ორჯერ მეტია კარგად განათებული ოფისის შუქზე (400 ლუქსი). სასტარტო სწორი მონაკვეთი და პირველი მოსახვევი 1600 ლუქსით არის განათებული.

სინგაპურის უქმეებზე პილოტთა მთავარი პრობლემა - სინესტეა. *„მიუხედავად იმისა, რომ რბოლა ღამით ტარდება, აქ მაინც ძალიან დიდი სინესტეა. ოფლი კანზე რჩება და არ შრება. ასე რომ, პილოტის სხეულის ტემპერატურა ძალიან მაღლა იწევს და მრბოლელები შეიძლება „გადაიწვან“. ეს კი ენერგიის სერიოზულ დაკარგვას, კონცენტრაციის გაფანტვასა და რეაქციის დაქვეითებას იწვევს“*, - ამბობს ექიმი **რიკარდო ჩეჩარელი**.

და როცა სინესტეს ემატება „მარინა-ბეის“ ტრასის კონფიგურაცია, რომელიც შეცდომებს არავის აპატიებს, ცხადი ხდება, რატომ მიიჩნევენ სინგაპურს სეზონის ერთ-ერთ ურთულეს გამოცდად. *„აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მონაკოს ფსიქოლოგიური გამოწვევა და სეპანგის ფიზიკური გამოცდა“*, - ასკვნის ჩეჩარელი.

# მაკლარენი 2011 წელზეც ფიქრობს


მაკლარენში დიდი მუშაობაა

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანულ საჯინიბო „მაკლარენს“ დიდი ბრძოლა აქვს გამართული ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, გუნდმა პარალელურად 2011 წლის ჩემპიონატისთვის დაიწყო მზადება. ეს ინფორმაცია „მაკლარენის“ მთავარმა ინჟინერმა **ფილ პრიუმ** გაავრცელა.

*„ჩვენს განკარგულებაშია ინჟინერთა და მექანიკოსთა ცალკე ჯგუფი, რომელიც ახალი ავტომობილის შექმნაზე მუშაობს. რა თქმა უნდა, მათ სურთ მიიღონ რაც შეიძლება მეტი რესურსი და დრო აეროდინამიკურ მილში მუშაობისთვის - დაახლოებით იმდენი, რაც დღევანდელ ბოლიდზე მომუშავე ჯგუფს სჭირდება. ამ შემთხვევაში ბალანსის მონახვაა საჭირო, რასაც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ვახერხებთ.*

*დაგეგმილი გვაქვს წლევანდელი ბოლიდისთვის რამდენიმე ტექნიკური განახლება, მაგრამ სრულიად ახალი პროექტის დაწყება ამ ეტაპზე ძალიან რთულია. რაც შეიძლება ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ფინანსები და დრო უკვე არსებული მანქანის განსავითარებლად.*

*სიახლეების დასანერგად სულ უფრო ნაკლები დრო გვრჩება, ასე რომ, ჩვენი ძირითადი მიზანია - მაქსიმალური პოტენციალი მივიღოთ იმ კომპონენტებისგან, რომელიც ამჟამად არის გუნდის არსენალში“*, - ამბობს პრიუ „ავტოსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

# ბრიატორე არ დაბრუნდება?


ფლავიოს გულშემატკივრობა ურჩევნია

„რენოს“ ყოფილმა შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ში აპირებს დაბრუნებას. 2008 წელს „დიდი ცირკიდან“ სკანდალით წასული იტალიელი აცხადებს, რომ მას არ აქვს მუშაობის განახლების სურვილი.

*„მამა გავხდი და დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ. სხვადასხვა გუნდთან ერთად შვიდი ტიტული მოვიგე, ასე რომ, დაბრუნებისთვის განსაკუთრებული მოტივაცია არ გამაჩნია. ახლა რბოლებს ტელევიზორში ვუყურებ და შემიძლია ყველაფერი გულშემატკივრის თვალით შევაფასო. მთავარი - ტრასაზე ბრძოლაა. ხშირად გუნდები ივიწყებენ, რომ მაყურებელი მათგან სანახაობას ელის. გულშემატკივრებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიმე ადამიანი მუშაობს ბოლიდზე და რა ოდენობის თანხა იხარჯება მის შესაქმნელად“*, - აცხადებს იტალიელი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# დელ პოტრო ბრუნდება, სერენა ჯერ არა

გადაიდო მსოფლიოს პირველი ჩოგნის **სერენა უილიამსის** პროფესიულ ტურში დაბრუნება. ამერიკელმა ჩოგბურთელმა განაცხადი გამოიტანა ტოკიოს ტურნირიდან, რომელიც მომავალ კვირას აიღებს სტარტს. ამის შესახებ ტურნირის ორგანიზატორებმა გუშინ გამოაცხადეს.

შეგახსენებთ, რომ უიმბლდონის შემდეგ უმცროსმა უილიამსმა, რომელიც 26 სექტემბერს 29 წლის გახდება, რესტორანში ჭიქის ნამსხვრევზე გაიჭრა ფეხი და ოპერაციის გაკეთება მოუხდა. სერენამ ამ თვის დასაწყისში განაახლა ვარჯიშები.

ამერიკის ღია პირველობის დასრულების შემდეგ უილიამსმა განაცხადა, რომ ჯერ არ დაუდგენია ტურში დაბრუნების ზუსტი თარიღი, თუმცა მის გეგმებშია ფედერაციის თასის ფინალში თამაში, რომელშიც 6-7 ნოემბერს ამერიკის ნაკრები შინ ეთამაშება მოქმედ ჩემპიონ იტალიას.

თუმცა სერენას გარეშეც ტოკიოში ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.



ხუან მარტინ დელ პოტრო

აქ იქნებიან როლან გაროსის ჩემპიონი, იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე**, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, სერბი **ელენა იანკოვიჩი** და რუსი **მარია შარაპოვა**, რომელიც იაპონიის დედაქალაქში შარშანდელ ტიტული დაცვას შეეცდება.

■ ■ ■

სერენა უილიამსისგან განსხვავებით, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მომავალ კვირას კორტზე ვიხილავთ არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს**. მსოფლიოს 35-ე ჩოგანი მონაწილეობას მიიღებს ტაილანდის ღია პირველობაში, რომელიც ბანგკოკში გაიმართება.

ამერიკის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი მაჯის ტრავმის გამო იანვრის შემდეგ არ გასულა კორტზე. მისი ბოლო მატჩი იყო ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალი, სადაც არგენტინელი ხუთ სეტში დამარცხდა ხორვატ **მარინ ჩილიჩთან**.

ბანგკოკში დელ პოტროს მთავარი მეტოქე მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** იქნება.

# მიურეი არ ჩქარობს

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **ენდი მიურეი** სამშაბათს ჟურნალისტებს შეხვდა, რომლებსაც განუცხადა, რომ ახალი მწვრთნელის არჩევისას არ იჩქარებს, რადგან მრავალწლიანი თანამშრომლობა აქვს ჩაფიქრებული.

*„უკვე რამდენიმე ადამიანმა შემომთავაზა დახმარება და ზოგიერთ მათგანთან მართლაც ვისურვებდი თანამშრომლობას,* - ამბობს მიურეი. - *ისეთი სპეციალისტი მჭირდება, ვისგანაც ხუთი-ექვსი წელი შევძლებ სწავლას. ამიტომაც არ ვჩქარობ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. შეიძლება ისე მოხდეს, რომ რამდენიმე თვეში აღარ მოვისურვო ახალ მწვრთნელთან მუშაობა, ეს კი არ მაწყობს. სტაბილური სიტუაცია მჭირდება“.*

ამავდროულად, ბრიტანელმა განაცხადა, რომ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე სურს ყურადღების გამახვილება. ამ აზრამდე ის ამერიკის ღია პირველობაზე შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკასთან** წაგების შემდეგ მივიდა. *„ფიზიკურად კარგად არ ვიყავი მომზადებული და ამან ყველაზე მეტად გამანაწყენა,* - აღიარა მიურეიმ. - *ორი სეტის შემდეგ კორტზე გადაადგილება მიჭირდა - ასეთი რამ კარგა ხანია არ მომსვლია. ამ კომპონენტში სერიოზული მუშაობა მომიწევს. ეს ტრავმებთან არ ყოფილა დაკავშირებული. თავად ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. ბოლო წლებში ფიზიკური მომზადების მხრივ ძალიან ძლიერი ვიყავი, ამიტომაც დავიბენი,* - დაამატა ბრიტანელმა ჩოგბურთელმა.

● ამბები

**ჩოგბურთი**

## გონსალესი ვერდასკომ შეცვალა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** ტრავმის სამკურნალოდ ოპერაციას დათანხმდა და ამის გამო ცხრა თვე ვერ შეძლებს თამაშს. ოლიმპიურ ჩემპიონს მომავალ კვირას ტაილანდის პირველობაზე უნდა ეთამაშა, მაგრამ განაცხადი გამოიტანა. ძირითად ბადეში ჩილელს ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო** შეცვლის.

## მუსტერი მეოთხედფინალში ვერ გავიდა

ავსტრიელმა **ტომას მუსტერმა** ვერ შეძლო ლიუბლიანის ჩელენჯერის მეოთხედფინალში გასვლა. პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ, 41 წლის ჩოგბურთელმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია იტალიელ **ალესიო დი მაუროს** და ორ სეტში დამარცხდა - 3:6, 2:6. ნახევარფინალში გასასვლელად დი მაურო ფრანგ **ავგუსტიენ ჟენსეს** შეხვდება.

ლიუბლიანაში გამოსვლისთვის როლან გაროსის 1995 წლის ჩემპიონმა 730 ევრო და 7 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

**ველოსპორტი**

## კანჩელარა მსოფლიოზე იქნება

დროზე განცალკევებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** მონაწილეობას მიიღებს პლანეტის პირველობაში, რომელიც სექტემბრის ბოლოს ავსტრალიაში დაიწყება.

კანჩელარამ აღიარა, რომ შარშანდელთან შედარებით უარეს სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც აქვს გამარჯვების იმედი. შვეიცარიელი როგორც დროზე განცალკევებით რბოლაში, ასევე ჯგუფურ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.

**დოპინგი**

## WADA-მ ახალი დოპინგი იპოვა

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) აკრძალული პრეპარატების ახალი სია გამოაქვეყნა. მასში ახალი სახის დოპინგია შესული, რომელიც „შავ ბაზარზე“ ახლახან გამოჩნდა. გარდა ამისა, შეცვლილია ზოგიერთი ცნობილი პრეპარატის კლასი.

WADA-ის გენერალური დირექტორის **დევიდ ჰოუმანის** თქმით, ამ ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა ახალი სახის დოპინგის იქამდე აღმოჩენა, სანამ სპორტსმენებს შორის მისი მასობრივი გამოყენება დაიწყება.

## ოლიმპიური პრიზიორი დოპინგზე ჩავარდა

დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს გერმანელი ჩოგბურთელი **დმიტრი ოვჩაროვი**, რომელიც 2008 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია გუნდურ პირველობაში. 22 წლის სპორტსმენის ორგანიზმში კლენბუტეროლის კვალი აღმოაჩინეს. ეს პრეპარატი ცხიმის „დასაწვავად“ გამოიყენება. დოპინგსინჯი 2010 წლის 23 აგვისტოს არის აღებული.

ოვჩაროვი წარმოშობით უკრაინელია, მაგრამ გერმანიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ნაკრებში გამოდის. ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციამ დმიტრი დროებით მოკვეთა საერთაშორისო ტურნირებიდან.

ოლიმპიური პრიზიორი ამტკიცებს, რომ აკრძალული პრეპარატი, შესაძლოა, ხორცისგან დამზადებულ იმ კერძში იყო გარეული, რომელიც გერმანელმა ჩინეთში მიირთვა. ოვჩაროვის თქმით, ამის შესახებ მას ექსპერტებმა უთხრეს.

**ჰოკეი**

## ზურგიდან დარტყმა აიკრძალა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად აკრძალა ჰოკეისტების მიერ ძალისმიერი ილეთების გამოყენება თავისა და ზურგის არეში.

NHL-ის ვებგვერდის ინფორმაციით, საგამოფენო მატჩების დაწყებამდე გენერალურ მენეჯერებს, მწვრთნელებსა და მოთამაშეებს წესის ცვლილებების შესახებ დოკუმენტები დაურიგდათ. მთავარი აქცენტი ზურგის მხრიდან თავის არეში ძალისმიერი ილეთების გამოყენების აკრძალვაზე გაკეთდა. ახლა უკნიდან მეტოქისთვის ჩარტყმა მკაცრად არის აკრძალული. ამისთვის დამნაშავეებს მატჩის ბოლომდე გაძევება ელით. თუ სეზონის მსვლელობისას ჰოკეისტი ორჯერ დაისჯება ამ დარღვევის გამო, ის ავტომატურად გამოტოვებს მომდევნო თამაშს.

**კალათბურთი**

## ჟალგირისი ძლიერდება

კაუნასის „ჟალგირისმა“ შემადგენლობა ლიტვის ნაკრების მცველ **ტომას დელინინკაიტისით** გააძლიერა. კონტრაქტი ორწლიანია, თუმცა მისი ერთი სეზონით გახანგრძლივებაც არის შესაძლებელი. ხელშეკრულება სამედიცინო შემოწმების შემდეგ შევა ძალაში.

გასულ სეზონს დელინინკაიტისი საბერძნეთის პაოკ-ში ასრულებდა, რომლის შემადგენლობაშიც 12.3 ქულა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| უიმბლდონი-ქროული | 2:1 |
| **იტალია** | |
| იუვენტუსი-პალერმო | 1:3 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-მალაგა | 0:2 |
| ვილიარეალი-დეპორტივო | 1:0 |
| სევილია-რასინგი | 1:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **III რაუნდი** | |
| ახილესი-ტოპ ოსი | 2:0 |
| დორდრეხტი-ნიიმეგენი | 4:3 |
| ბრედა-ვენლო | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჟილ ვისენტე-ლეიქსოეში | 0:0 |
| **დანიის თასი** | |
| **III რაუნდი** | |
| ჰიორინგი-ნორდსილანდი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოსტერი-ვასბი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| ბელინცონა-თუნი | 2:2 |
| სიონი-ქსამაქსი | 1:2 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-იაუნიბა | 3:1 |
| იურმალა-მეტალურგსი | 1:4 |
| ოლიმპსი-ტრანზიტსი | 0:2 |
| ბალჟმა-სკონტო | 1:4 |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 17** | |
| რუმინეთი-ლიხტენშტაინი | 9:0 |
| ყაზახეთი-ბელარუსი | 2:6 |
| **კალათბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ბელარუსი-ჩინეთი | 68:57 |
| იაპონია-რუსეთი | 63:86 |
| ავსტრალია-კანადა | 72:47 |
| ს. კორეა-ბრაზილია | 61:60 |
| აშშ-საბერძნეთი | 99:73 |
| ჩეხეთი-არგენტინა | 67:53 |
| მალი-ესპანეთი | 36:80 |
| საფრანგეთი-სენეგალი | 83:45 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-სიბირი | 1:3 |
| ს. იულიაევი-მეტალ. (ნ) | 2:2 ბულ. 0:1 |
| ტრაქტორი-ამური | 3:0 |
| ვიტიაზი-ავანგარდი | 2:4 |
| ლოკომოტივი-სკა | 4:1 |
| სევერსტალი-ატლანტი | 1:3 |
| დინამო (მ)-ბარისი | 3:1 |
| სპარტაკი-ტორპედო | 2:2 დ.დ. 2:3 |
| ცსკა-აკ ბარსი | 1:4 |
| დინამო (მნ)-ნეფტეხიმიკი | 1:6 |
| დინამო (რ)-ავტომობილისტი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სტიორნენი | 6:2 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 3:5 |
| რუსენბორგი-ფრისკ ასკერი | 3:2 |
| სპარტა-მანგლერუდი | 6:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვაკეთი (U20)-ტრენჩინი | 0:4 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კალპა | 5:2 |
| ილვესი-ჰიფკ | 6:1 |
| იოკერიტი-ლუკო | 1:2 |
| კერპეტი-პელიკანსი | 0:3 |
| სეი პა-ესეტი | 1:4 |
| იუვიასკიულა-ტპს | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-სლავია | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-სიოდერტალე | 4:4 დ.დ. 4:5 |
| ბრიუნესი-იურგორდენი | 4:2 |
| ტიმრა-ლულეო | 1:1 ბულ. 2:1 |
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 2:3 |
| ჰვ71-ლინჩოპინგი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| შელეფტეო-მოდო | 4:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბუქარესტი** | |
| კუევასი-ბერლოკი | 6:4, 6:0 |
| ფ. მაიერი-**ანდუხარი** | 3:6, 6:3, 2:6 |
| **გრანოლერსი**-ვოლანდრი | 4:6, 7:5, 6:1 |
| **სტარაჩე**-კრივოი | 4:6, 7:6, 6:4 |
| **ATP. მეცი** | |
| **მალისე**-ლუბიჩიჩი | 7:5, 6:2 |
| **ნიემინენი**-ვლიგენი | 6:4, 6:1 |
| **სიმონი**-სისლინგი | 6:1, 6:7, 6:3 |
| **ჩილიჩი**-ლაჩკო | 7:5, 7:6 |
| მაუ-**ზვერევი** | 4:6, 2:6 |
| **WTA. სეული** | |
| კირილენკო-**საფინა** | 2:6, 3:6 |
| **მაკაროვა**-მარტინეს სანჩესი | 6:4, 7:5 |
| შავაი-ბალტაჩა | 6:3, 7:5 |
| **დატე**-პავლიუჩენკოვა | 6:2, 6:1 |
| **ზაკოპალოვა**-დუშევინა | 6:4, 7:6 |
| **ფლიპკენსი**-შვედოვა | 6:4, 6:1 |
| **პეტროვა**-კინგი | 6:3, 6:4 |
| **კლეიბანოვა**-პერვაკი | 6:7, 6:1, 6:2 |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| ფოგელი-**როდინა** | 4:6, 6:4, 0:6 |
| დულგერუ-**ნიკულესკუ** | 6:7, 6:2, 3:6 |
| **ვესნინა**-კუსტოვა | 6:0, 6:1 |
| ამანმურადოვა-**კუდრიავცევა** | 6:7, 3:6 |

● TV პროგრამა

**24 სექტემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:50** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-დეპორტივო.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-პალერმო.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:00** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:05** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:05** ახალი ამბები.
**16:25** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:55** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი.
**19:40** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**19:45** ახალი ამბები.
**20:10** სასტვენი.
**21:00** საფეხბურთო კლუბი.
**21:55** საფეხბურთო პროგრამა.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
**00:25** ახალი ამბები.
**00:45** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
**02:35** გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ჰოფენჰაიმი.
**04:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.

**EUROSPORT**

**10:30** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტოკიო. იაპონია.
**11:00** სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. VI დღე. გლაზგო. შოტლანდია.
**12:00** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (75 კგ). ანტალია. თურქეთი.
**13:15** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (77 კგ). ანტალია. თურქეთი.
**15:30** სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/8 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
**20:00** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (77 კგ). ანტალია. თურქეთი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (85 კგ). ანტალია. თურქეთი (LIVE).
**23:00** სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/8 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
**01:00** რალი. IRC-ის სერია. I დღე. სან რემო. იტალია.
**01:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**02:00** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (85 კგ). ანტალია. თურქეთი.



მარია ბავშვთა ცენტრში

# ქველმოქმედები

„დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ჩემპიონი **მარია შარაპოვა** გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია, ათასგვარი საქველმოქმედო აქციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე გახლავთ.

ასე მაგალითად, გასულ კვირას მარიამ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიუძღვნა თავი. შარაპოვამ ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელ **ზინედინ ზიდანთან** და პოპულარულ მსახიობ **ანტონიო ბანდერასთან** ერთად მონაწილეობა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაში, რომლის დღის წესრიგი იყო მთელ მსოფლიოში შიმშილისა და სიღარიბის წინააღმდეგ ათწლიანი პროგრამის განხილვა. ასევე განხილულ იქნა მესამე სამყაროს ქვეყნებში შობადობის გაზრდისა და უნივერსალური დაწყებითი განათლების საკითხები.

რამდენიმე დღით ადრე, მარიამ მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო აქციაში, რომლის მიზანი იყო ცენტრ Golden Heart Ranch-ის მშენებლობისთვის თანხის შეგროვება. ამ სახლში ის ბავშვები იცხოვრებენ, რომლებსაც სპეციალური დახმარება სჭირდებათ. ღონისძიების მონაწილეები, რომელთა შორის იყო მარიას ბოიფრენდი, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი **საშა ვუიაჩიჩი**, ორ გუნდად გაიყვნენ. მათ ბანქოსა და მინიშნებების დახმარებით დამალული პრიზი უნდა ეპოვათ. შარაპოვას გუნდი დამარცხდა. საბოლოოდ, ბავშვთა ცენტრისთვის მარიამ და სხვა ცნობილმა მონაწილეებმა 40 ათასი დოლარი შეაგროვეს.

■ ■ ■


ვოზნიაცკის ჩოგანი ძვირად ფასობს

შარაპოვას არ ჩამორჩა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**. ამერიკის ღია პირველობის შემდეგ, სკანდინაველი გარკვეული ხანი ნიუ-იორკში დარჩა. ამის მიზეზი გახდა რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა.

მაგალითად, დანიელის შრომის იარაღი - Babolat-ის ფირმის ჩოგანი უახლოეს ხანში აუქციონზე გაიყიდება. მისგან შემოსული თანხა მსახიობ **შონ პენის** მიერ დაარსებულ ფონდში გადაირიცხება და ჰაიტიში მიწისძვრით დაზარალებულებს მოხმარდება.

ჟურნალი
რომელსაც კითხულობენ
სექტემბრის ნომერი


ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე, ილია ბაბუნაშვილი, დათო ტურაშვილი, ედიშერ ზერაძე, ლაშა ბაბუნია, გაგა გოგრონიძე, დავით კოპზირიძე, კოტე ჯანდიერი, ლელა ჯიყაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ნინო რეხვიაშვილი...

# ვენუს უილიამსი ინვალიდის ეტლში

ერაყელ ჩოგბურთელ **ზაინაბ ჰადიმ ალვანს** სურს გახდეს „ვენუს უილიამსი ინვალიდის სავარძელში“. სპორტსმენი, რომელმაც ორივე ფეხი ამერიკელების მიერ ბაღდადის დაბომბვისას დაკარგა, დარწმუნებულია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეძლებს ინვალიდებს შორის რომელიმე დიდი საერთაშორისო ტურნირის მოგებას.

ალვანი ასე აღწერს იმ დღეს, როცა ორივე ფეხი დაკარგა: *„სულ რაღაც ერთ წუთში მთელი ცხოვრება შეიცვალა. რაკეტები თითქოს ყველგან დაგვდევდნენ. რამდენიმე წამში გონება დავკარგე, შემდეგ გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ ფეხები აღარ მქონდა. დიდხანს ვერ ვურიგდებოდი რეალობას და საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ეს უბრალოდ ცუდი სიზმარი იყო“.*

დღეს სპორტსმენი კვირაში სამჯერ ვარჯიშობს და ზედიზედ ორი წელია არ ტოვებს სპეციალურ ერთჯერად ვარჯიშებს. ის ცხრა მამაკაცთან ერთად მეცადინეობს, რომლებმაც ასევე ამერიკული შეტევებისას დაკარგეს ქვედა კიდურები.

ალვანი ერთადერთი ქალია ინვალიდ ჩოგბურთელთა ეროვნულ ნაკრებში. მან ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, ამ წლის მაისში კი პირველ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია - თურქეთის ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

ერთ-ერთ პრობლემა, რომელიც ალვანს და მის თანამემამულეებს მაღალ დონეზე გამოსვლაში უშლის ხელს, ძლიერ მეტოქეებთან სატურნირო პრაქტიკის ნაკლებობაა. ეს კი სხვა ქვეყნებში ერაყელების მიმართ ზედმეტად ფრთხილი დამოკიდებულებით არის გამოწვეული. ასე მაგალითად, ალვანმა და სხვა ერაყელმა ჩოგბურთელებმა წელს ლონდონის ტურნირში ვერ მიიღეს მონაწილეობა, რადგან ბრიტანეთის მთავრობამ მათ ვიზები არ გამოუყო.

ანალოგიური სიტუაცია წარმოიშვა ფრენბურთში ინვალიდების ნაკრებთან დაკავშირებით - ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატში უნდა მიელო მონაწილეობა, რომელსაც ამერიკა მასპინძლობდა. მაშინ ნაკრების მხოლოდ ექვსმა წევრმა მიიღო ქვეყანაში შესვლის უფლება.

*„საინტერესოა, კიდევ რამდენი ხანი უნდა მიიჩნიონ ერაყელი სპორტსმენები ტერორისტებად? სინამდვილეში, ტერორიზმის მსხვერპლნი ჩვენ ვართ“*, - ამბობს ერაყის ინვალიდ ჩოგბურთელთა ფედერაციის პრეზიდენტი **ქარიმ აბდელ ჰუსეინი**.


ზაინაბ ჰადიმ ალვანი

■ ■ ■

2003 წელს ერაყში ინვალიდი სპორტსმენებისთვის სპეციალური კლუბი შეიქმნა, რომელსაც „ალ-ტური“ ჰქვია. ახლა იქ ასზე მეტი სპორტსმენია გაერთიანებული, რომელიც კალათბურთში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვასა და ფრენბურთში ვარჯიშობს. ათლეტთა უმრავლესობა - ახალგაზრდა მამაკაცია.

*„ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ეს ადამიანები, რომ ცხოვრება არ დასრულებულა და მათთვისაც არსებობს პერსპექტივა*, - ამბობს კლუბის პრეზიდენტი **აჰმედ ფლაი აიაჯი**. *- ისინი ხვდებიან, რომ სპორტი ფიზიკური ძალის დაბრუნების, იზოლაციისგან თავის დაღწევისა და ახალი გამარჯვების მოპოვების საუკეთესო საშუალებაა“.*

# მიურეი, ფეხბურთი და მოდა

ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** ამერიკის ღია პირველობის შემდეგ შვებულება აიღო და თავის შეყვარებულთან ერთად ისვენებს. ენდი და **კიმ სირსი** ლონდონში მოდის ჩვენებას დაესწრნენ, სადაც მათ მხარს უმშვენებდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**. სხვათა შორის, სერენა ჩვენებაზე ჰოლივუდის ვარსკვლავ **სარა-ჯესიკა პარკერთან** („სექსი დიდ ქალაქში“) ერთად მივიდა.

უფრო ადრე კი მიურეი ინგლისის ლიგის თასზე ლონდონურ დერბის სტუმრობდა, რომელშიც ერთმანეთს „ტოტენჰემი“ და „არსენალი“ ხვდებოდნენ.


სარა, სერენა და ენდი


ენდი და არსენ ვენგერი

## ამბები

**კრივი**

### პატონს ლიცენზია აღარ აქვს

ბრიტანეთის საკრივო ასოციაციამ საკრივო ლიცენზია ჩამოართვა **რიკი ჰატონს**, რომელიც კოკაინის მიღებაში ამხილეს. გარდა ამისა, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ჯარიმის სახით 20 ათასი ფუნტის გადახდა მოუწევს.

*„კომიტეტმა დაადგინა, რომ რიკი ჰატონმა ქცევის წესები დაარღვია და თავისი მოქმედებით ზიანი მიაყენა კრივის ინტერესებს. ჰატონი არ არის აქტიური მოკრივე და ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევს რინგზე გასვლის საშუალებას. ამიტომაც სასამართლომ მისთვის ლიცენზიის ჩამორთმევა გადაწყვიტა“*, - იტყობინებიან ჩინოვნიკები.

ამ სანქციების მიუხედავად, ჰატონმა მოახერხა პრომოუტერული ლიცენზიის შენარჩუნება.

**ფორმულა 1**

### ბერნი ისეთ მედლებზე ალაპარაკდა

2008 წლის დეკემბერში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ უარყო **ბერნი ექლსტოუნის** იდეა ფორმულა 1-ში პილოტების მედლებით დაჯილდოებისა და ჩემპიონის გამარჯვებების რაოდენობით გამოვლენის შესახებ. ამის ნაცვლად, ფედერაციამ ქულათა დარიცხვის სისტემა შეცვალა - კერძოდ, პირველ და მეორე ადგილებს შორის სხვაობა გაზარდა, რითაც გამარჯვების მნიშვნელობა ამაღლდა.

სინგაპურში გამართულ პრესკონფერენციაზე ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი ისევ დაუბრუნდა მედლების იდეას.

*„თუ ჩემპიონატის ცხრილს გადავხედავთ, მიხვდებით, რომ ქულათა დარიცხვის სისტემას არაფერი შეუცვლია. წინა წესის მიხედვით მრბოლელები იმავე პოზიციებზე იქნებოდნენ.*

*ვფიქრობ, ფედერაციაში უნდა გაილვიძონ და გაიხსენონ ჩემი იდეა მედლების შესახებ. ახლა უებერს ოთხი მედალი ექნებოდა, ორ პილოტს - სამ-სამი და სულ სხვა ინტრიგას ვიხილავდით. შესაძლოა თუ არა ასეთი სისტემის მიღება? ეს მხოლოდ დროის საკითხია“*, - ამბობს ექლსტოუნი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა